ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

5 მარტიდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
ეს სამყაროა
მფრინავები
!) კფჰბ




js[if,fsb7 % vfhnb7 @)!$ 153 (6364) afcb5 #) stshb

# „ნაციონალები საქართველოში ახალ მაიდანს ამზადებენ!“ გვ.2



## ახალ ხელისუფლებაში თემურ ჭყონიას მფარველები გამოუჩნდნენ გვ.3

ალეკო ალადაშვილი: „სამართლიანობის აღდგენა პროკურორებს ხელს არ აძლევს“





## თემურ შაშიაშვილმა, შესაძლოა, ქუთაისის მერად იყაროს კენჭი გვ.5

რატომ სთხოვა ყოფილმა გუბერნატორმა ივანიშვილს 3 თვით ქუთაისში წასვლა

## საქართველოს პარლამენტი უკრაინის მხარდამჭერ რიგით მესამე რეზოლუციას მიიღებს გვ. 5

## ილია II: მე დარწმუნება არ მჭირდება, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს“ გვ.6



## შტეფან ფულე საქართველოს ეწვია გვ.6





## მარგველაშვილი თურქ და პოლონელ კოლეგებს ტელეფონით ესაუბრა გვ.7



## ვისთან გაერთიანდებიან ახალი მემარჯვენეები გვ.6



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ამერიკა ალ-ქაიდასთან თანამშრომლობს“ გვ.6

## ალექსანდრე ჭიკაიძე: მომავალში ქალი პოლიციელების რაოდენობა გაიზრდება“ გვ.2



ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 ევროკავშირი საქართველოს 21 მილიონ ევროს გამოუყოფს

3 მიუსაფარი ბავშვებისთვის დასარიგებელ ჰუმანიტარულ საჩუქრებს ყიდდა

4 დემოკრატიული მოძრაობა“, ქართული დასი“ და თავისუფალი საქართველო“, შესაძლოა, გაერთიანდნენ

3 ირაკლი ღარიბაშვილი: ბავშვის უფლებების დაცვა უპირველესი პრიორიტეტია“

# ნაციონალები საქართველოში ახალ მაიდანს ამზადებენ!“

## ირინა სარიშვილი: „მიხეილ სააკაშვილს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს სთავაზობენ“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში დღეს უკრაინაში მიმდინარე პროცესებია. როგორია თქვენი შეფასებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

— ეს ყველაფერი, რაც ხდება უკრაინაში, მიმართულია, სამწუხაროდ, უკრაინის დაშლისკენ. ჩვენ ეს ერთხელ უკვე 2008 წლის აგვისტოში ვნახეთ. ძალიან სამწუხაროა, რომ უკრაინამ ვერ გამოიყენა ის მომენტი, რომ ჩვენს მაგალითზე აღარ გაემეორებინათ იგივე შეცდომები. მე როდესაც ვამბობ ჩვენს, მხედველობაში მყავს ხალხი და არა კონკრეტული პროვოკატორები. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ საქართველომ, რომელმაც დაუშვა ერთხელ უკვე შეცდომა და ახლა თავისი თვალით უყურებს ლაივში, რაც ხდება უკრაინაში, არ არის გამორიცხული, რომ მეორედ აპირებდეს იმავე შეცდომის გამეორებას.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— აქ საუბარია რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარე ფართომასშტაბიან ბრძოლაზე გლობალისტური სამყაროს მიმართ და ამ ბრძოლაში კონკრეტული სახელმწიფოების ჩაბმაში, მათ შორის საქართველოსი და უკრაინის. უკრაინის დაშლა ერთმნიშვნელოვნად შედის დასავლეთის გეგმაში, იმიტომ რომ უკრაინის დაშლა, ფაქტობრივად, რუსეთის დაშლის დასაწყისს ნიშნავს. ის, რომ უკრაინა დაშლისკენ მიდის, სამწუხაროდ, ამაში უკვე ეჭვი არავის აღარ ეპარება. თავიდან პროცესები დაიწყო, დასავლეთის მხრიდან ორგანიზებული კლიჩკოს და კლიჩკოს გარემოცვის აქტიურობით. ეს იმდენად ნათელი იყო, რომ მაიდანზე ამას აღარც მალავდნენ არც კლიჩკო და მისი ძმები და არც მათი დასავლელი კოლეგები. მეორე მხრიდან იყო იანუკოვიჩი, უაღრესად კორუმპირებული მთავრობით და თვითონაც ძალიან კორუმპირებული, რომელმაც ისე გაამწარა ხალხი, რომ ეს ხალხი შემდეგ ბრმა იარაღად გამოიყენა იმავე კლიჩკომ სულ სხვა მიზნებისთვის. იანუკოვიჩმა, გარდა იმისა, რომ კორუმპირებული იყო, კიდევ მეორე დანაშაული ჩაიდინა ანუ სკამის და ჯიბის შენარჩუნების მიზნით მან არ დაამყარა წესრიგი, როდესაც არეულობები იწყებოდა უკრაინაში, მაშინ, როდესაც ამის გაკეთება უმტკივნეულოდ შეიძლებოდა, ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე. მან აბსოლუტურად შეგნებულად მიუშვა პროცესები ესკალაციამდე. ესეც ჩვენთვის ნაცნობი სცენარია, სამწუხაროდ, მე ბევრად უფრო ადრინდელ პროცესებს ვგულისხმობ და არა აგვისტოს ომს. როგორც ჩანს, იანუკოვიჩი გარანტიებს ელოდებოდა რუსეთისგან და მხოლოდ მაშინ გაანძრევდა ხელს. პატრიოტი და ეროვნული ხელისუფლება კი არც ერთი მხრიდან გარანტიას არ უნდა დაელოდოს და ხელისუფლებაში რომ არის, უკვე აქვს იმის ძალა, რომ რაღაცა პროვოკაცია საკუთარ ქვეყანას ააცილოს ან გადაავადოს მაინც ანუ დრო მოიგოს. იანუკოვიჩმა ეს არ გააკეთა და ამიტომ იანუკოვიჩიც და კლიჩკოც თანაბრად აგებენ პასუხს იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება უკრაინაში. ყირიმის თემა ყველასთვის გასაგებია, რაც არის. მე, ცოტა არ იყოს, გაოგნებული ვარ უკვე მერამდენედ ქართველი საზოგადოების ნაწილის რეაქციით იმაზე, რაც ხდება ყირიმში, რუსეთის გააქტიურებას რომ აპროტესტებენ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მსხვერპლი და ძალადობა და საერთოდ ბრბოს ინსტინქტები ყველა მხრიდან დასაგმობია. როცა ქუჩაში გადადის მოქმედება, ამას ვერც ერთი მხარე ვერ ასცდება, მაგრამ მე ერთი შეკითხვა მაქვს ყველა ქართველთან და საქართველოს მოქალაქესთან, კარგად დაფიქრდნენ, როცა აპროტესტებენ რუსეთის აქტიურობას ყირიმში,



სინამდვილეში რას აპროტესტებენ? რუსეთმა რომ ახლა, ამ სიტუაციაში ყირიმში არ იაქტიუროს, ამ საქმეში თურქეთი ჩაერთვება.

***— თქვენ ასე ფიქრობთ?***

— სწორედ რომ ასე იქნება, იმიტომ რომ რუსეთისგან განზე გადგომა არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ყირიმი დარჩება უკრაინას. უკრაინაში რღვევის პროცესი დაწყებულია და არც ის გამოვრიცხოთ, რომ თურქეთმა იქ ცოტა ხანში პასპორტების გაცემაც დაიწყოს. ეს რას ნიშნავს საქართველოსთვის, მე მგონი, სადღაც მეხუთე კლასის ისტორიის დონეზე მაინც უნდა ვიცოდეთ. ამიტომ, სანამ რაღაც გაუგებარ ემოციებს ავყვებით, კარგად უნდა დავფიქრდეთ, ჩვენი სახელმწიფო ინტერესი სად არის. სამწუხაროდ, ამ ჩვენს სახელმწიფო ინტერესზე არც ჩვენი ხელისუფლება ფიქრობს, არც მის მიერვე „გაპრავებული“ ნაციონალური მოძრაობა და არც საზოგადოების ნაწილი. ყველაზე მთავარი, რაც დღეს ჩვენ გვემუქრება, ეს არის ის, რომ ჩვენი ხელისუფლების უსუსურობის თუ შეგნებული მოქმედების წყალობით ნაციონალები ჩვენ თვალწინ ამზადებენ ახალ მაიდანს. ეს ხდება ჩვენ თვალწინ ეს ხდება იმ ნაციონალების მხრიდან, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ ბუჩქებში იმალებოდნენ, სოროებში იყვნენ ჩამძვრალი და ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების მეცადინეობით და დიდი მონდომებით არათუ ამოძვრნენ სოროებიდან, უფრო მეტიც, ძველებური რიხით გააგრძელეს მოღვაწეობა და დღესაც მოღვაწეობენ, სამწუხაროდ. რაიონებში, რეგიონებში იმართება რეგიონის მხარდამჭერი მიტინგები. სააკაშვილს, როგორც ვიცი, უკრაინაში საგარეო საქმეთა მინისტრიეს პოსტს სთავაზობენ. აქ მდგომარეობა იძაბება და ჩვენი ხელისუფლება, საუკეთესო შემთხვევაში, ლუღლუღებს და მეტი არაფერი. ის სააკაშვილი რასაც ხმამაღლა ამბობს, ჩვენი ხელისუფლება აკეთებს, ოღონდ ასეთი რიხით არ აფორმებს თავის გაკეთებულს. მოკლედ, კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

***— უკვე კეთდება შეფასებები, რომ მაიდანრეპეტიციაა ნაციონალებისთვის და ისინი საქართველოშიც გაიმეორებენ მაიდანსო.***

— ეს ყველაფერი ღიად ხდება ჩვენ თვალწინ, ყოველგვარი დამალვისა და გასაიდუმლოების გარეშე და ასევე ჩვენ თვალწინ ცვედანივით იქცევა ხელისუფლება. მე არ მყავს მხედველობაში რესპუბლიკელები, რომლებიც, ეჭვი ხომ არავის ეპარება, რომ მაიდანსაც გულშემატკივრობენ და თან შეგნებულად გულშემატკივრობენ, ბევრი სხვა დაზნეულისგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ნაციონალების დაბრუნება ან რაიმე სხვა სახით რეინკარნაცია ხელისუფლებაში იდეოლოგიურად არ წარმოადგენს არანაირ ბარიერს. რესპუბლიკელები, ალბათ, თავიანთი ცხოველური ინსტინქტით უნდა გრძნობდნენ, რომ მიუხედავად იდეოლოგიური იდენტურობისა, ნაციონალები არც მათ გაახარებენ, იმიტომ რომ აქ მხოლოდ იდეოლოგიაზე არ არის საუბარი. ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, საქართველოში არეულობა კიდევ ერთხელ შედის დასავლეთის ინტერესში, კიდევ ერთხელ უნდა განვითარდეს ანტირუსული ისტერიკა, იმიტომ რომ ეს ისტერიკა სჭირდება შტატებსა და დასავლეთს რუსეთზე მასირებული შეტევის განსახორციელებლად, ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკურის, მაგრამ ჩვენ ვხედავთ უკვე რუსეთის გააქტიურების დონეს, იქ მობილიზაციას ყველა თვალსაზრისით, მათ შორის ატომური შეიარაღების. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით იმავე უკრაინაში შეიარაღების მნიშვნელობა. საერთოდ, როდესაც კონკრეტული ხელშეკრულებები იდებოდა უკრაინასთან დაკავშირებით, უკრაინის მხრიდან ატომური შეიარაღების გამოუყენებლობაზე იყო საუბარი. ახლა ვინ დაარღვია ეს შეთანხმება, იურიდიულად ვის დაუმტკიცდება, დასავლეთს თუ რუსეთს, ამას, ალბათ, ნაკლები მნიშვნელობა აქვს უკვე. ფაქტია, რომ ჩვენ ვდგავართ გარკვეული საფრთხის წინაშე, არა მხოლოდ ჩვენს რეგიონშიო, არამედ მესამე მსოფლიო ომის მოსამზადებელ ეტაპზე ვიმყოფებით. ისეთი პროცესები იწყება, რომლის უკუქცევასაც ვერავინ ველარ მოახერხებს და ეს პროცესები თავისთავად დაიწყებს განვითარებას კიდევ უფრო ცუდისკენ.

***— ამ ვითარებაში როგორ უნდა მოქცეულიყო ჩვენი ხელისუფლება თუ საზოგადოება?***

— აი, ასეთ ვითარებაში უაღრესად ჭკვიანურად იქცევა აზერბაიჯანი, ისევე, როგორც აგვისტოს ომის დროს მოიქცა. საერთოდ, სოლიდარობა და რაღაცა პოზიციის გამოხატვა ადამიანურ დონეზე უნდა მოხდეს ყველა შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა. რაც შეეხება პოლიტიკურ დონეებს, პოლიტიკურ დონეზე სოლიდარობა, არასოლიდარობა და რაღაც განცხადებების კეთება ან არკეთება იქიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს, რა შედის შენი საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებში. აზერბაიჯანი იცავს გამოუცხადებელ ნეიტრალიტეტს. არავინ თქვას, რომ აზერბაიჯანს ამის საშუალება აქვს, იმიტომ რომ ნავთობი აქვს. საქართველოს ნავთობზე ბევრად უფრო მყარი რესურსი აქვს. ეს არის მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და გზა, ოღონდ ეს მყარი რესურსი საქართველოს გამოადგება ძალიან კარგად, თუ სათავისოდ გამოიყენებს და კატასტროფად გადაიქცევა საქართველოსთვის, თუ ამის გამოყენების საშუალებას რომელიმე მხარეს მიცემს ამ სუპერსახელმწიფოებიდან. საქართველო თავისი უაზრო აქტიურობითა და გამყიდველური, მოღალატური საშინაო და საგარეო პოლიტიკით უდიდესი საფრთხის წინაშე დგას. მე ამ შემთხვევაში ხელისუფლებაზე, მის პოლიტიკასა და მის მიერ გაპრავებულ ერთადერთ ოპოზიციაზე, ნაციონალურ მოძრაობაზე მაქვს საუბარი. ეს არის უაღრესად დიდი საფრთხე, სადაც არანაირი მნიშვნელობა არანაირ ორიენტაციულ ცვლილებებს არ ექნება, იმიტომ რომ ქვეყანა ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფართომასშტაბიან და უფრო გავრცელებულ მოქმედებებში, რუსეთის გარდა, რომელიც დაშლილიც და დაუშლელიც ჩვენ მეზობლად რჩება და ჩვენთვის საკმარისი ძალა ყოველთვის ექნება, ირანიც გვყავს მეზობლად.

***— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის, რაც მოხდა საქართველოში 2008 წელს, ხდება უკრაინაში და ეს ყველაფერი დასავლეთის მხრიდან იყო პროვოცირებული როგორც ჩვენთან, ისე უკრაინაში?***

— რასაკვირველია, დასავლეთის პროვოცირებული რომ იყო უკრაინაში, ამას აღარც კლიჩკო მალავდა მაიდანზე და აღარც დასავლეთი. მისი ეს ერთმნიშვნელოვანი მოწოდებები ხელისუფლების მხრიდან, რომ ძალა არ გამოეყენებინათ, სწორედ ამაზე მიუთითებდა, იმიტომ რომ დასაწყისში უხეშ ძალადობას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ოპოზიციის მხრიდან და არა ხელისუფლების. გვახსოვს ეს მოლოტოვის კოქტეილები და ასე შემდეგ. ყველაზე სასაცილო იყო ამ შემთხვევაში ქართველი ნაციონალების აღშფოთება, იმიტომ რომ ჩვენთან როცა მართლა მშვიდობიანი მიტინგები ტარდებოდა და იქ საერთოდ თითი არ გაუნძრევია არავის, ვნახეთ, რა დღეში ჩაყარეს ოპოზიციონერები. მაშინ საკუთარ ხალხზე არ ფიქრობდნენ და უკრაინაში, სადაც ცოცხლად წვავდნენ ბერკუტის წარმომადგენლებს და ეს კადრები ყველამ მშვენივრად ვნახეთ, იქ თურმე ხელისუფლებას ძალა არ უნდა გამოეყენებინა. ესეც ცნობილი ორმაგი სტანდარტებია, რომელიც ახასიათებს დასავლეთს და, თუ დასჭირდა, რუსეთსაც, რა თქმა უნდა. ამ შემთხვევაში კი ჩვენ ჩვენს ინტერესებზე უნდა ვილაპარაკოთ.

***— საუბრის ბოლოს გკითხავთ, როგორია სააკაშვილის როლი ამ ყველაფერში? არაერთხელ დააფიქსირა ის კამერამ ბიძასთან ერთად. ვიცით, რომ უკრაინაში იმყოფება. რამდენად სახიფათოა იქ მყოფი სააკაშვილი ჩვენი ქვეყნისთვის?***

— სააკაშვილი და ნაციონალები სახიფათოები არიან იმდენად, რამდენადაც ჩვენი ხელისუფლება მას ხელს შეუწყობს. დღეს უკვე მე პირადად და კიდევ ბევრ ადამიანს არანაირი ეჭვი აღარ გვეპარება იმაში, რომ დღევანდელი ხელისუფლება, ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით, ხელისუფლებაში მოვიდა არა ნაციონალების დასამარცხებლად, არამედ მათ გადასარჩენად. რეალურად ჩვენ ასეთ შედეგს ვხედავთ, იმიტომ რომ სააკაშვილი რეალურად პრეზიდენტი მაინც ვეღარ იქნებოდა და ივანიშვილის ხელისუფლების ადგილზე რომ ყოფილიყო ისეთი ძალა, რომელიც ყველა დამნაშავეს პასუხს მოსთხოვდა, რა თქმა უნდა, ნაციონალების საერთოდ ხსენებაც აღარ იქნებოდა. ამიტომ, ფაქტია, რომ მოხდა ნაციონალური მოძრაობის რეინკარნაცია და სააკაშვილის მხრიდან ზიანისა და საფრთხის მოტანა საქართველოსთვის, სწორედ აქედან გამომდინარე გრძელდება. რა თქმა უნდა, ეს არის საფრთხე. კიდევ ერთი, როდესაც ჩვენ გულის ფიცრის ჩამტვრევამდე მუშტებს ვირტყამთ და აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ვლაპარაკობთ, დღეისათვის, ამ მოცემულობით, როგორც იქცევა ჩვენი ხელისუფლება და როგორი მოქცევის საშუალებასაც აბსოლუტურად შეგნებულად აძლევს ნაციონალურ მოძრაობას, ამ სიტუაციაში არათუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ლაპარაკს არა აქვს აზრი, ჩვენ წინ გველოდება ახალი პრობლემები, რომელსაც აუცილებლად შექმნის რუსეთი, იმიტომ რომ საქართველოს იყენებენ მის წინააღმდეგ იარაღად და ამ შემთხვევაში არც ერთ ქართველს არ ეწყინოს, თუ რუსეთის პრეზიდენტი ან რომელიმე რუსი საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს დაიცავს და ნამდვილად არ იფიქრებს იმაზე, რა მოხდება საქართველოში, ისევე, როგორც დასავლეთი როცა იყენებს საქართველოს და იყენებს უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ, არანაირად არ ფიქრობს და არ აინტერესებს, რა მოგვივა ჩვენ ამ გამოყენების დროს. ეს მათ ინტერესებში არ შედის. არაერთხელ დავინახეთ ეს ჩვენ საქართველოს მაგალითზეც და ვხედავთ უკრაინის მაგალითზეც. დასავლეთიდან არც უკრაინა და არც საქართველო არანაირ დახმარებას არ უნდა ელოდეს, ერთჯერადი შპრიცების ფუნქციებით ვართ.

## ალექსანდრე ჭიკაიძე: მომავალში ქალი პოლიციელების რაოდენობა გაიზრდება“

შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის განცხადებით, შს სისტემაში სამომავლოდ ქალი პოლიციელების რაოდენობის გაზრდა იგეგმება. ჭიკაიძემ გუშინ თბილისში მიმდინარე რეგიონული კონფერენცია სახელწოდებით – „ქალები პოლიციაში“ გახსნა.



მან ქალბატონების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში ქალი სამართალდამცველების როლსა და მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

„ქალბატონების მიმართ დანაშაული ხშირად ხდება, ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც დაზარალებული ქალბატონი გამომძიებელ ქალთან თანამშრომლობს, ეს გამოძიებისთვის ბერად კარგია“– განაცხადა მან.

ნიუსპრესი

## ევროკავშირი საქართველოს 21 მილიონ ევროს გამოუყოფს

ევროკავშირი საქართველოს 21 მილიონი ევროს ოდენობით დახმარებას გამოუყოფს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში,“ გუშინ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და ევროკომისარი ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში შტეფან ფულე, ხელს საფინანსო შეთანხმებას მოაწერენ. ხელმოწერის ცერემონია 15:45 საათზე გაიმართება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ალეკო ალადაშვილი: სამართლიანობის აღდგენა პროკურორებს ხელს არ აძლევს“

## ახალ ხელისუფლებაში თემურ ჭყონიას მფარველები გამოუჩნდნენ

შორენა კოწოწაშვილი

**რა დანაშაულებრივი ქმედება აღიარა ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ, არის თუ არა დღეს ქვეყანაში შერჩევითი სამართალი და რა გზას უნდა დაადგეს ხელისუფლება სააკაშვილის მაღალჩინოსანთა მიერ მიტაცებული ქონების დასაბრუნებლად? _ ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ ალექსანდრე ალადაშვილთან.**

***– ბატონო ალეკო, სამართლიანობის აღდგენის თემა საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ თემად რჩება. სად ხედავთ ამ პრობლემის მიზეზს – პროკურატურის უნიათობაში თუ პოლიტიკური ნების არქონაში?***

– მთავარი რაც არის, ხელისუფლება მშვიდობიანად შეიცვალა, რაც, რა თქმა უნდა, ივანიშვილის და ამ ხელისუფლების დიდი დამსახურებაა. რაც დადებითია, იმას ვერ წაართმევ. მეორე მომენტი – ხელისუფლების ცვლილებამ ხალხს თავისუფლება მოუტანა და ეს უნდა დავაფასოთ. ადამიანები თავისუფლად ლაპარაკობენ და აღარ ეშინიათ, რომ ამის გამო დაიჭერენ. აღარ ეშინიათ, რომ მათ შვილს დაიჭერენ და ნარკოტიკს ჩაუდებენ. დღეს შენი აზრის თავისუფლად გამოხატვისთვის არავინ გსჯის. ეს არის ფუნდამენტი. დანარჩენი ამაზე უნდა ააგო. ეს რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, იგივე საშინელი სისტემა იქნებოდა ანდა უარესი. ახლა ყველამ საკუთარი საქმე უნდა აკეთოს და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულმა ადამიანებმა ხელი გაანძრიონ და წარმატებული მუშაობის შედეგი აჩვენონ. ამ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, გაკოტრებული ბიუჯეტი მიიღო, რადგანაც ყველამ ვიცით, რა გზით და როგორ ივსებოდა ნაციონალების დროს ბიუჯეტი, რა ტერორის ქვეშ იყვნენ ბიზნესმენები და როგორ აიძულებდნენ, მათ სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონება დაეთმოთ და სოლიდური თანხები გადაეხადათ. დღეს ტყუილად ბაქიბუქობენ ნაციონალების დეპუტატები, რომ წარმატებული ეკონომიკა ჰქონდათ. თუ ასე იყო, რატომ ხსნიდა სააკაშვილი ერთ ობიექტს ხუთჯერ. რაც შეეხება ბიუჯეტის ზრდას, რაზეც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ, ფულის წართმევის ხარჯზე და ბიზნესმენთა ე.წ. ,,გაპარსვის“ ხარჯზე ხდებოდა. ასეთი მეთოდით ამ ხელისუფლებამაც რომ გააგრძელოს მართვა, არც ახლა იქნება ბიუჯეტის შევსების პრობლემა. მთავარი დაპირება, რასაც ხალხი გაჰყვა, იყო სამართლიანობის აღდგენა. ამაში კი ამ ხელისუფლებამ ცოტა მოიკოჭლა. ამის მთავარი მიზეზი მხოლოდ კადრების პრობლემა არ არის. თუმცა ეს მნიშვნელოვანია. ბევრი ისეთი ხალხი დარჩა პროკურატურაში, ვინც იძულებულია ხელი შეუშალოს სამართლიანობის აღდგენას. ასეც იქნებოდა იმიტომ, რომ ობიექტური გამოძიება რომ წავიდეს მთელ რიგ საქმეებზე, საბოლოოდ მათაც პასუხისგება მოუწევთ. ეს კი არ უნდათ. უკვე ერთმანეთს შეეკვრნენ ეს ადამიანები, რომ ეს არ მოხდეს.



***– ხელისუფლების წარმომადგენლები და უკვე ადვოკატებიც საუბრობენ, რომ პროკურატურაში კადრები ჭირს.***

– ჭირს, მაგრამ რაც უფრო გაიწელება ეს პროცესი, მით უფრო უარესი იქნება. ყველამ იცით, რაზე იყო აგებული 9 წლის მანძილზე გამოძიება. დაიჭერდნენ ადამიანს, დაათმობინებდნენ ქონებას, ღამით, დაშინებით, შანტაჟით. მიიღებდნენ აღიარებით ჩვენებას და საპროცესო გარიგებაზე დათანხმებას აიძულებდნენ. ამ ყველაფერმა კი საბოლოოდ ის განაპირობა, რომ პროკურატურაში მომუშავე კვალიფიციური კადრები ბევრი წავიდა, ხოლო ვინც დარჩა, იმანაც დაკარგა კვალიფიკაცია. იმიტომ, რომ სააკაშვილის დროს სისხლის სამართლის საქმეებს გამოძიება აღარ სჭირდებოდა. ადამიანებს აღიარებინებდნენ იმას, რაც არ ჩაუდენიათ. თუმცა ეს ყველას არ ეხება. დღეს ამით ბევრი სარგებლობს. პროკურატურაც ასეთი მეთოდით მუშაობას შეეჩვია. სასამართლოც პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. საქმის გარეკანზე მთავარია ვინმეს სახელი და გვარი დაგეწერა, საქმეს არც კი ეცნობოდნენ, ისე გამოჰქონდათ პროკურატურისთვის სასურველი გადაწყვეტილება. ასეთი საქმე ათასობითაა. იმ საქმეებში, სადაც მართლა მტკიცებულებებიც შეიძლებოდა შეგროვებულიყო და მართლა არსებობდა დანაშაული, იმ საქმეებზეც არ ხდებოდა სათანადო გამოძიება. ისე გათავხედდნენ, რომ გამოძიებას საერთოდ არ აწარმოებდნენ, აღარ სჭირდებოდათ. არავინ მუშაობდა თავის თავზე და პროკურორებიც არ ფიქრობდნენ კვალიფიკაციის ამაღლებაზე, საქმის ძირფესვიანად გამოძიებაზე და ა.შ. რასაც პროკურორი იტყოდა, სასამართლოზეც თავიდან ბოლომდე ის გადიოდა.

***– ანუ საქმეების გამოძიებას ძირითადად არაკვალიფიციური პროკურორების ფაქტორი აფერხებს.***

– კი და არა მხოლოდ ეს. დღეს ამბობენ, რომ სასამართლო თავისუფალია. ეს გარკვეულწილად აისახა განაჩენებშიც. მოსამართლეების გარკვეული ნაწილის მიდგომაც შეიცვალა.

***– გასაგებია, თუმცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ითხოვს, ის ადამიანები მინიმუმ სამსახურს მაინც ჩამოშორდნენ, რომლებმაც საქართველოს სახელით უკანონო განაჩენები დაადგინეს. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება საჭირო არ არის?***

– გეთანხმებით. პასუხი ყველამ უნდა აგოს, მაგრამ ყველა ასე უცებ რომ გაყარო, ვაკუუმი შეიქმნება. უნდა აიღო საქმეები, სადაც პროკურატურას და სასამართლოს საშინელებები აქვს ნაკეთები და ამ საქმეებზე სამართლიანობა უნდა აღდგეს. ვიღაცას, რა თქმა უნდა, პასუხი უნდა მოეთხოვოს უდანაშაულო ადამიანების გასამართლებისთვის. ეს უნდა იყოს განსჯის საგანი. რაც შეეხება სასამართლოს, როგორც გითხარით, უკვე ზოგიერთი მოსამართლე ცდილობს სამართლიანობა აღადგინოს. ალბათ დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რას სჩადიოდნენ და რადგან შანსი აქვთ, რომ დღეს გამოასწორონ, ცდილობენ ობიექტურები იყვნენ. საზოგადოებაში არის ჯერ კიდევ განცდა, რომ ძველი მოსამართლეები და პროკურორები ისევ ძველ ხელისუფლებას ემსახურებიან. მართლა არიან ის ადამიანები, ვინც მზადაა ნაცმოძრაობას ბოლომდე სამარეში ჩაყვეს.

***– რამდენად ქმედუნარიანია იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოსამართლეთა საქმიანობიდან გამომდინარე დისციპლინურ სამართალწარმოებას უნდა ახორციელებდეს?***

– ეს საკითხი, რაც ეხება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მოქმედმა ხელისუფლებამ წააგო. რაც წინა ხელისუფლების დროს იყო ეს საბჭო, ის დარჩა. არაფერი ცვლილება არ არის. მთლიანად უნდა მოხდეს ამ საბჭოს გადახალისება. მანამ ეს არ მოხდება, სასამართლოს არაფერი ეშველება. არ შეიძლება სასამართლოში წინა რეჟიმის მონები იყვნენ. მაშინ სასამართლოზე ზემოქმედებას სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებდა. მოსამართლეები დაშინებული ჰყავდათ და რაც უნდოდათ, იმას აკეთებინებდნენ.

***– ბატონო ალეკო, თქვენ წინა ხელისუფლების მიერ დატერორებულ არაერთ ბიზნესმენს იცავთ. როგორ ფიქრობთ, იმ საქმეებზე მაინც რატომ არ ხდება სამართლიანობის აღდგენა, რომელზეც კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა გაიცეს?***

– ეს მეც ვერ გავიგე. მესმის, რომ ბიუჯეტს დიდი თანხების გადახდის შესაძლებლობა არ აქვს, მაგრამ ასეთ საქმეებზე გამოძიება მაინც უნდა დაიწყოს. ხალხს უნდა აუხსნან, რომ კომპენსაციები მოგვიანებით გაიცემა. რაღაც სქემა უნდა შემუშავდეს და ამ ადამიანებთან შეთანხმება უნდა მოხდეს. ხალხი გაიგებს, რომ უცებ ყველას დაკმაყოფილება შეუძლებელია. ვიმეორებ, ფინანსური კომპენსაცია არ უნდა იყოს ობიექტური გამოძიების დამაბრკოლებელი. მეორეც, მილიონები რომ აქვთ წაღებული ყოფილ მაღალჩინოსნებს და ეს ხელისუფლება ედავება, მოატანინონ ის ფული, როგორ ახერხებდნენ ამას ნაციონალები? მაინტერესებს, რატომ არ იღებენ კანონს, რომლითაც მარტივად შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. მე ეკონომისტი არ გახლავართ და ვფიქრობ, ამ პრობლემის მოგვარება მარტივად შეიძლება. გამოაცხადოს ხელისუფლებამ, რომ ოფშორში დარეგისტრირებული ფირმებიდან ვინც არ გაასაჯაროვებს დამფუძნებლებს, მათ საქართველოში მოღვაწეობა აეკრძალოთ. რატომ არ აკეთებენ ამას? გახსოვთ, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიმართ რომ ატყდა ხმაური, ხომ უცებ გამოჩნდნენ დამფუძნებლები. დარწმუნებული ვარ, ეს ოფშორში დარეგისტრირებული ფირმები ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებისაა, ანდა მათი ნათესავების. ამის შემოწმებას რა უნდა. როცა აუკრძალავენ ფუნქციონირებას, მერე ყველაფერი გამოჩნდება და ხალხი დაინახავს, ვინ წავა აქედან და ვინ გაასაჯაროვებს. როცა გაასაჯაროვებენ, მარტივად გამოჩნდება, ვისია ეს ფული, საიდან იშოვა და ა.შ. პროკურატურაში ძალიან ბევრია ისეთი, ვინც ფინანსური პოლიციიდან გადაიყვანეს. მათ ფინანსური დანაშაულების გამოძიება არ გაუჭირდებათ. სხვა საკითხია მკვლელობების და სხვა დანაშაულების გამოძიება, რაც მათ აშკარად უჭირთ. მთავარია პოლიტიკური ნება იყოს, თორემ ასეთი საქმეების გამოძიება პრობლემა არ არის. ბევრი კვალიფიციური კარდი წავიდა თავის დროზე პროკურატურიდან. ამ ადამიანების დაბრუნება შეიძლება. მარტივი ამბავია, მასწავლებელი თუ არა გყავს, კარგ პროკურორად ვერ გაიზრდები. ვინ ჰყავდათ ამ პროკურორებს მასწავლებელი, ზურაბ ადეიშვილი?! ეს ახალგაზრდა კადრები ისე გაიზარდნენ, მარტო საპროცესოს გაფორმება იციან. შესაძლებელია ძველმა გამომძიებლებმა კომპიუტერი ისე არ იციან, როგორც ახალგაზრდებმა, მაგრამ სამაგიეროდ, მათ გამოძიება იციან და ეს დღეს აშკარად პრობლემაა.

***– თუ არ ვცდები, თქვენ იცავთ იმ თურქ ინვესტორთა ინტერესებს, რომლებიც ბიზნესმენ თემურ ჭყონიას დოკუმენტაციის გაყალბების გზით სოლიდური კაპიტალის მითვისებაში ადანაშაულებენ. ეს საქმეც თაროზე შემოდო პროკურატურამ თუ ინვესტორთა ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური გამოძიება წარმოებს?***

– რადგან ზემოთ ზიანის ანაზღაურებაზე ვსაუბრობდით, მართლაც მიკვირს, ისეთ საქმეებს რატომ არ ჰკიდებენ ხელს პროკურატურაში, რომლის ანაზღაურებაც კერძო პირს ეკისრება და არა ბიუჯეტს. ბატონ ჭყონიას საქმეც სწორედ ასეთია. საქმის გამოძიება უკვე 4 წელია მიმდინარეობს, უფრო სწორად, ჭიანურდება. გამოძიება რაღაც ეტაპამდე მივიდა, მერე გაჩერდა. ვეკითხები, რატომ არ დაკითხეთ თემურ ჭყონია? საქმე აღძრულია სხვისი ქონების მითვისების მუხლით. დაახლოებით 14 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. საქმე ისაა, რომ 1995 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა სააქციო საზოგადოება „ექსპორტ-იმპორტ ბანკი“, რომლის დამფუძნებლები იყვნენ თურქეთის ორი მოქალაქე და ერთი – შვეიცარიის მოქალაქე, რომლებიც აღნიშნული ბანკის 65% -ს ფლობდნენ. მათ თემურ ჭყონიასთან ერთად შექმნეს ეს ბანკი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ ჭყონია დაინიშნა. 1999 წელს ბანკებს გარკვეულ თანხაზე უნდო ჰქონოდათ ლიცენზია ანუ სადამფუძნებლო თანხა გაიზარდა და ზემოაღნიშნული ბანკი ,,დისკონტბანკს“ შეერწყა. კაპიტალის გასაზრდელად ეს ოპერაცია მათ ისე გააკეთეს, რომ 65%-იანი დამფუძნებლები ვინც იყვნენ ბანკის, ისინი საქმის კურსში არ ჩააყენეს, ყალბი დოკუმენტები შექმნეს. ამას თავად ჭყონიაც აღიარებს. ამ ორი ბანკის შექმნის საფუძველზე შეიქმნა ახალი ბანკი აზრეშუმის გზა. ამ ბანკის დამფუძნებელთა შორის უცხოელი ინვესტორების გვარები აღარ ფიგურირებს.

***– დადგენილია თემურ ჭყონიას კანონსაწინააღმდეგო ქმედება?***

– საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, რომ ჭყონიამ მათ საწინააღმდეგოდ მიითვისა ალი ტურგაის, დოგან ერბეკის და ვერნენ მეტცის კუთვნილი მილიონ სამასი ათასი ლარი.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ არიდებს თავს გამოძიება კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და ჭყონიას დაკითხვას?***

– როგორც ჩანს, ჭყონიას ამ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდა მფარველები, რომლებიც მისი მილიონების ხათრით ყველა ზომას მიმართავენ, რათა გამოძიებაზე ზეწოლით არა თუ არ აგებინონ პასუხი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებულ ჭყონიას, არამედ გამოძიებას მისი დაკითხვის უფლებასაც კი არ აძლევენ..

---

# მიუსაფარი ბავშვებისთვის დასარიგებელ ჰუმანიტარულ საჩუქრებს ყიდდა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ჩადენის ფაქტზე, ლია მარგიშვილი დააკავეს. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „სამარიტანს პურსე“ საქართველოში მცხოვრები ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისთვის უსასყიდლოდ დასარიგებლად, ყოველწლიურად ჰუმანიტარულ საჩუქრებს აგზავნის, რომლის მიღებაც და უსასყიდლოდ განაწილება ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში რეგისტრირებული ააიპ „კეთილი სამარიელი საქართველოში“ თავმჯდომარეს მერაბ ორაგველიძეს ევალება.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დადგინდა, რომ მერაბ ორაგველიძემ ობოლი და მიუსაფარი ბავშვებისთვის დასარიგებელი ტვირთი ლია მარგიშვილს გადასცა, რომელიც შემოსავლის მიღების მიზნით, ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე, აღნიშნული ტვირთის რეალიზაციას სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე ახდენდა.

აღნიშნული ქმედებით, ლია მარგიშვილმა დანაშაული ჩაიდინა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც 1-დან 3-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

---

# ირაკლი ღარიბაშვილი: ბავშვის უფლებების დაცვა უპირველესი პრიორიტეტია“

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, გაეროს ბავშვთა ფონდის 2011-2015 წლების პროგრამა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომ ამ სფეროში არსებული გამოწვევები გადაიჭრას და აღებული ვალდებულებები საქართველოს მთავრობამაც შეასრულოს. მისი თქმით, მთავრობა მოწოდებულია ადამიანის უფლებები დაიცვას.

პრემიერმა ამის შესახებ საქართველოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი სამოქმედო გეგმის განხილვისას განაცხადა და ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე გაამახვილა ყურადღება.

„2013 წელს სხვადასხვა ღონისძიება განხორციელდა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ იყო მიმართული. ამჟამად, მეოთხე პერიოდულ ანგარიშს ვასრულებთ, რომელიც ბავშვის უფლებების კონვენციის განხორციელებას ეხება“ – განაცხადა პრემიერმა.

ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობისთვის ბავშვთა დაცვის საკითხები ძალიან დიდი მნიშვნელობისაა.

„ბავშვები ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალია. ყველა ბავშვის უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია. ბავშვის უფლებების დაცვა ესაა უპირველესი პრიორიტეტი ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველო ბავშვთა მზრუნველობის სისტემის რეფორმაში აქტიურად მონაწილეობს, რათა მათი უფლებები იქნას დაცული“ – განაცხადა ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივ სამოქმედო გეგმას სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ განიხილავენ. ღონისძიება პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა და გაეროს ბავშვთა ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და დსტ-ს ქვეყნების რეგიონალურმა დირექტორმა მარი-პიერ პუარიემ გახსნეს. მასზე საქართველოში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ განახლებულ მონაცემებზე საუბრობენ. შეხვედრაში განათლების, ჯანდაცვის, იუსტიციის, სასჯელაღსრულების და ფინანსთა მინისტრები, ასევე, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მონაწილეობს



მედიანიუსი

# გოჩა ჯოჯუა: ‚მთავრობაში ერთადერთი პოლიტიკოსი ირაკლი ალასანიაა“

მარიკა მჭედლიშვილი

**ახალი თაობა“ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და საქართველოს პრობლემებზე ყოფილ დეპუტატ გოჩა ჯოჯუას ესაუბრა**



***— უკრაინასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ყველა შტომ გააკეთა განცხადებები. თუმცა, „ნაციონალებმა“ მეტი სიხისტე მოითხოვეს, პოლიტიკოსების ნაწილმა კი - თავშეკავება და სიფრთხილე...***

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ისტორია გვასწავლის, რომ წინასწარ ყველაფრის გათვლა შეიძლება. ახლაც კარგად ჩანს, თუ საით მიდის ეს ყველაფერი. მით უმეტეს, რომ საქართველოს ეს ნანახი აქვს.

***— საუბრობთ იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორად უნდა გათვალოს?***

— ყველასთვის მთავარი უნდა იყოს სახელმწიფოს ინტერესები. სახელმწიფოს ინტერესი იმაში არ მდგომარეობს, რასაც ყოველ წუთში ჩაგვჩიჩინებენ. ჩვენი სტრატეგია ნატო და ევროკავშირიაო, ამბობენ. ნატო და ევროკავშირი საშუალებაა მიზნის მისაღწევად, შენი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის და არა სტრატეგია. ჩვენ ერთმანეთში აგვერია მიზანი და საშუალება. დამოუკიდებლობის მისაღწევად საქართველომ დიდი ფასი გაიღო. ესაა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. თუმცა, პროცესი დამთავრებული არ არის და საქართველოს საფასურის გადახდა, სამწუხაროდ, კიდევ მოუწევს. ჩვენამდე სახელმწიფოს დაშლის ფაქტი მოხდა ევროპაში. იუგოსლავიის სახით გვქონდა ამის მაგალითი. ფაქტიურად, ევროპულმა სახელმწიფოებმა და რუსეთმა გავლენები გაიყვეს. ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა აქაც მომხდარიყო და ევროპა ამას დაუშვებდა. თუმცა, რიბენტროპ-მოლოტოვის ზავი და სხვა გარიგებები მანამდეც მომხდარა. მსოფლიოში გავლენების გადანაწილება მუდმივად ხდება. დავუბრუნდეთ უკრაინას. მნიშვნელოვანია, თუ ვის ხელში აღმოჩნდება კიევი. შეიძლება კიევი რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცეს. თორემ, მთელი აღმოსავლეთი უკრაინა, ფაქტიურად, რუსულია. ეს ტერიტორია ისტორიულად უკუთვნოდა რუსეთს. ვფიქრობ, უკრაინაში საბოლოოდ ჭკუა გაიმარჯვებს და რადიკალურ ნაბიჯებს არც რუსეთი და არც ევროპა არ გადადგამენ. ომი არ მოხდება. რეალურად, მსოფლიო ომის წინაშე ვდგავართ.

***— 2008 წელსაც ამბობდნენ, მსოფლიო ომის წინაშე ვდგავართო...***

— 2008 წლის აგვისტოშიც იდგა საზოგადოება მსოფლიო ომის წინაშე. მაგრამ ომი არ დაწყებულა. წინასწარვე ცხადი იყო, რომ ჩვენს გამო ომი არ დაიწყებოდა. აშშ-ს გემები ბრძოლაში არ ჩაერთვებოდა და ჩვენ ეს უნდა გაგვეთვალა. უნდა მივმხდარიყავით, რა მოჰყვებოდა ამ მოვლენებს. უკრაინელებმაც უნდა იცოდნენ, რომ მოუწევთ სახელმწიფოს ნაწილის დათმობა. ჩვენთან უცნაური განცხადებები კეთდებოდა-ჩატარდება უკრაინაში არჩევნები და ყველაფერი მოწესრიგდებაო. არჩევნები ჩატარდება და მერე რა? იქ ერთი ნაწილი არ ცნობს მეორეს ლეგიტიმურობას და ამით დამთავრდა ყველაფერი. პრორუსული ძალა თუ გაიმარჯვებს, მას დასავლეთი უკრაინა არ ცნობს და პირიქით.

***— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თქვენც უფრო ფრთხილ განცხადებებს უჭერთ მხარს?***

— მე სხვანაირად ვიტყვი-საერთოდ რა გვინდა, ვიცით? ნატო და ევროკავშირი საშუალებაა და არა სტრატეგია. სამწუხაროა, რომ ეს საშუალება ვერ გამოვიყენეთ. ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა. უნდა გამოგვეყენებინა მომენტები, როცა შეგვეძლო მაქსიმუმის მიღება ჩვენი სახელმწიფოსათვის. პოლიტიკოსის არსი იმაშია, რომ იცოდეს, რა დროს შეწყვიტოს ვაჭრობა. 10 წლის წინ ნატოში რომ მივეღეთ, 2008 წლის მოვლენებს ავცდებოდით. სააკაშვილი რომ რუსეთში იყო ჩასული, თითქოს წამოსწია საქართველოს ინტერესები და რუსებს დაელაპარაკა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ შეთანხმება ჰქონდა აშშ-სთან და ამის მერე ელაპარაკებოდა რუსებს. თავის დროზე, ერეკლესაც ჰქონდა ერთნაირი შეთანხმებები თურქეთთან, ირანთან და რუსეთთან. ესე იგი, სამივეს ატყუებდა. საბოლოოდ, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ბოლო დროს აქტიურად მიდიოდა საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე. ამ საუბრებს, ფაქტიურად, ვაჭრობას, უნდა დაეჩქარებინა ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი აშშ-ში. თუმცა, ეს ზედმეტი იყო, იმიტომ რომ უკრაინის მოვლენების გამო ამერიკაში მიღების პრობლემა ისედაც არ იქნებოდა. მაგრამ ამის მერე რუსთან დალაპარაკებას შევძლებთ?

***— ანუ, მიგაჩნიათ, რომ ეს ნაბიჯი არასწორად იყო გათვლილი?***

— მთელი პრობლემა იცით, რაშია? რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ბრძოლა მიდის იმაზე, პოლიტიკური მთავრობა გვეყოლება თავისი პოლიტიკური მიზნებით თუ ტექნიკური მთავრობა. გამსახურდიასდროინდელი პოლიტიკური მთავრობა შემდგომში შეიცვალა ტექნოკნოკრატიული მთავრობით. შევარდნაძისდროინდელი მინისტრები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ იყვნენ პოლიტიკოსები. პოლიტიკოსების მოყვანის მცდელობა ზურაბ ჟვანიასაც ჰქონდა, მაგრამ, მაშინ სააკაშვილის ფაქტორმა შეცვალა სიტუაცია. ყველაფერი ერთ ბელადზე აეწყო და არა დემოკრატიაზე. მაშინდელ გუნდში პოლიტიკოსებიც იყვნენ, მაგრამ, ისინი მთლიანად ბელადზე იყვნენ დამოკიდებული.

***— ახლანდელ მთავრობაში როგორაა ამ მხრივ საქმე?***

— ალასანიას გარდა, ძნელია, სხვა მინისტრი პოლიტიკოსად ჩათვალო. ახლაც ტექნოკრატიული მინისტრები გვყავს. სამწუხაროდ, არც პრემიერ-მინისტრია პოლიტიკოსი. მათ საერთოდ არ იციან, რა არის პოლიტიკა და რა გასაკვირია, რომ შეცდომები დაუშვან.

***— მით უმეტეს, რომ საქართველო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, ფაქტიურად, არ არსებობს?***

— მიდის მცდელობა, რომ საქართველო იყოს ტერიტორია, სადაც ეკონომიკური კანონები მოქმედებს და ამ ტერიტორიას არ უნდა ჰქონდეს თავისი სტრატეგიული ინტერესები. არადა, სახელმწიფო კულტურული ერთობაა. ესაა შენი კულტურის, ფასეულობების, ტრადიციების შენარჩუნება. ეკონომიკა ამისთვისაც გვჭირდება. ფასეულობებზე საერთოდ არ მიდის ლაპარაკი. ამ ტექნოკრატიულმა მთავრობამ საერთოდ არ იცის რა მიმართულებით რა უნდა გააკეთოს. ახლა ირაკლი ღარიბაშვილი გახარებულია, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ხელი ჩამოართვა და, შეცდომას დაუშვებს შეცდომაზე. ვწუხვარ, რომ ისევე წავიტეხთ კისერს, როგორც აქამდე არაერთხელ წაგვიტეხია.

***— რაზე წავიტეხთ კისერს?***

— საქართველოს რისკები წინა აქვს. როგორც კი დამთავრდება უკრაინის მოვლენები, ჩვენთან გართულდება. ახლა ირანშიც დაძაბულია სიტუაცია, ჩინეთშიც. უკრაინა ამ მოვლენების აისბერგის წვერია. ნუ დაგვავიწყდება, რომ ნაპოლეონმა, რომელმაც სამხედრო ძალით გააერთიანა ევროპა, რუსეთთან ომი წააგო. იმავეს თქმა შეიძლება ჰიტლერზეც. დღეს ევროპა თავისი ნებითაა გაერთიანებული. ასეთი ევროპა ცდილობს რუსეთი ნებაყოფლობით გადმოიყვანოს თავისკენ. თუ ნებით გაერთიანებული ევროპა რუსეთს ძალით დაუპირისპირდება, იმავე შედეგს მიიღებს, რაც ნაპოლეონმა მიიღო. ამიტომ ევროპა არ ჩაებმება საომარ მდგომარეობაში. იუგოსლავიის დროს რუსეთი სუსტი იყო. მოგვწონს ეს თუ არა, ახლა რუსეთი სუსტი აღარ არის.

***— აშშ-ზე რას იტყვით?***

— ამერიკამ პირველი მსოფლიო ომის დროსაც დიდძალი ფული იშოვა და მეორე მსოფლიო ომის დროსაც. ახლა ტექნიკური საშუალებები იმდენად გაიზარდა, რომ ევრაზიის კონტინენტს რომ მისწვდე, მაინცდამაინც ომი საჭირო არ არის. ომი არც არავის აწყობს. ახლა გავლენების გაყოფა სხვანაირადაც შეიძლება. მოგვცეს 4 მილიარდი და ჩვენ დავთმეთ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. უკრაინასთან მიმართებაში 40 მილიარდზეა საუბარი.

***— მაინც, რა რისკების წინაშე ვდგავართ?***

— რუსეთის გავლენა იზრდება. მან თავისი ტერიტორიები გადაარჩინა და იწყებს გაფართოებას. მარტო უკრაინასა და საქართველოზე არაა ლაპარაკი. რუსეთმა აქტიურად იმოქმედა სირიასა და ეგვიპტეშიც. გვინდა თუ არა, აღმოვჩნდებით ამ გაფართოების მტკივნეულ პროცესში. რუსის შეჩერების საშუალება ამ სიტუაციაში არ არსებობს. საკითხავია, ჩვენ რის გაკეთებას შევძლებთ, რომ უკეთეს შემთხვევაში მოგებული, ან ნაკლებად დაზარალებული გამოვიდეთ ამ მდგომარეობადან.

***— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს საამისოდ?***

— საჭიროა დალაპარაკება. ტყუილები და ორმაგი თამაში ასეთ დროს მალე იშიფრება. მიჭირს ამ პოლიტიკურ სივრცეში ამ ადამიანების დასახელება, ვასაც შეუძლია რუსეთს მისთვის გასაგებ ენაზე დაელაპარაკოს.(ბუნებრივია, რუსული ენის ცოდნას არ ვგულისხმობ). რუსეთთან საუბრის დიპლომატიური ენა განსხვავდება ამერიკელებთან დიალოგის დიპლომატიური ენისგან. წარმოიდგინეთ, ეს ჩვენი ვითომპროამერიკელი ბიჭებიც(წინა ხელისუფლება) სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ აშშ-სთან ურთიერთობაში. აღმოჩნდა, რომ მათ ვერ გაარკვიეს, ჩაერეოდნენ ამერიკელები 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში თუ არა. ახლა რუსეთთან დალაპარაკება უჭირთ. ადრე ამბობდნენ, ბიძინა ივანიშვილმა ფული რუსეთში იშოვა და ამ ქვეყანასთან საერთო ენის გამონახვას ის შეძლებსო. ფულის შოვნა არ ნიშნავს, რომ მან დიპლომატიური ენა იცის. რუსს როგორ ელეპარაკოს ივანიშვილმაც კი არ იცის და ივანიშვილის მიერ დატოვებული ღარიბაშვილი და მარგველაშვილი რას გააწყობენ? როგორც ადამიანებს, მათ არაფერს ვერჩი. პატიოსანი ხალხია, მაგრამ, პოლიტიკოსები არ არიან და ამ საქმეში ვერ გამოდგებიან. ჩვენ გვეგონა, რომ სააკაშვილი ამერიკელებს წარმატებით ელაპარაკებოდა. გაირკვა, რომ ვერ იგებდა, რას ეუბნებოდნენ.

***— ბოლო დროს სააკაშვილი უკრაინაში გააქტიურდა...***

— სააკაშვილი დღესაც თავის თავზე მუშაობს.სხვა რა უნდა გააკეთოს? მაგრამ შენი ქვეყანა რომ კისერს წაიტეხს და ამდენი ხნის მერე კიდევ იტყვი, ქართველები რუსებს უნდა ვეომოთო, რაზეა ლაპარაკი? ერთხელ გერმანელ პოლიტიკოსებთან რუსეთზე მომიხდა საუბარი და ვთქვი, რუსებთან ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობდით და კარგად ვიცით, რანი არიან-მეთქი. გერმანელებმა მიპასუხეს-რუსებს ბერლინი ორჯერ აქვთ აღებული და ჩვენც ძალიან კარგად ვიცნობთო. ფაქტიურად, მითხრეს, არ გვინდა, თქვენი გულისთვის ბერლინი მესამეჯერაც დაიპყრონო. ისევ რისკებს შევეხები. ქსნის ხეობაში მობილიზებულია რუსეთის ტექნიკა, რომელიც საქართველოსთვის არაა განკუთვნილი. საქართველო პატარა ქვეყანაა და ამ სამხედრო ტექნიკის ათი პროცენტიც არ სჭირდება.

***— ამით რუსეთი საკუთარ პოზიციებს აძლიერებს?***

— რა თქმა უნდა. რუსეთი შავ ზღვასაც არ დათმობს. ყირიმი როცა აქვს, წესით, აფხაზეთი არ უნდა დასჭირდეს. ცხინვალის რეგიონი სხვაა. ის შუაშია და წყვეტს მთელ კავკასიას. ამას რუსეთი არ დათმობს. ამერიკელიც იმავეს არ აკეთებს, როცა ერაყში ან ავღანეთში შედის? უბრალოდ, მეთოდოლოგიები აქვთ სხვადასხვა. მე, რა თქმა უნდა, დალაგებულ ევროპაში მირჩევნია ყოფნა. მაგრამ, ვართ კი აზროვნების მხრივ ახლოს ევროპასთან?

***— რას გულისხმობთ?***

— ჩვენ მარტო ვთამაშობთ დემოკრატიულობანას, თორემ, სინამდვილეში, ავტორიტარიზმზე გვაქვს ორიენტაცია აღებული, მუდმივად გადამრჩენებს ვეძებთ და არჩევნების დროსაც ვირჩევთ. ევროპელისთვის ეს გაუგებარია. ზვიად გამსახურდიას უნდა გადაერჩინა ქვეყანა და 90 პროცენტით ავირჩიეთ; მერე ასევე უნდა გადაერჩინათ საქართველო ედუარდ შევარდნაძეს, მიხეილ სააკაშვილს და ბიძინა ივანიშვილს. დემოკრატია თუ გვინდა, პოლიტიკური ერთეულებიდან უნდა დავიწყოთ. საქართველოში არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია პარტია არაა. ეს პარტიები თითო კაცის პარტიებია. ისინი პარტიების ლიდერები კი არ არიან, პარტიებია ლიდერების. ჯერ ეს უნდა ჩამოვაყალიბოთ, და ევროპულ დემოკრატიაზე მერე ვისაუბროთ. კანონშიც უნდა ჩავწეროთ, რომ, მაგალითად, პარტიის თავმჯდომარემ ერთპიროვნული გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს და ის საბჭოს უნდა შეუთანხმოს. პარტიულ სიასაც არჩევნების დროს მინიმუმ, შვიდკაციანი საბჭო უნდა წარადგენდეს. საქართველოში მოქმედ ნებისმიერ პარტიაში თავმჯდომარის გარდა, არავინ არაფერს არ წყვეტს. ეს შორსაა ევროპული დემოკრატიისგან. პოლიტიკური სისტემები თუ არ ჩამოვაყალიბეთ და ეს პოლიტიკური ერთეულებიდან არ დავიწყეთ, ევროპას ვერ მივუახლოვდებით.

***— ადრე თუ გვიან, ევროპას მივუახლოვდებით...***

— რუსეთიც დაუახლოვდება ევროპას. დე გოლი ამბობდა, ევროპის კურსი კონტინენტალური განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართულიო. ის ამ სივრცეში მოსკოვსაც მოიაზრებდა. ჩვენ სომხეთთან და აზერბაიჯანთანაც ვერ მოგვიგვარებია ურთიერთობები და შორს როგორ გავარკვევთ?

## დემოკრატიული მოძრაობა“, ქართული დასი“ და თავისუფალი საქართველო“, შესაძლოა, გართიანდნენ

მიიღებს თუ არა „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ პარტია „ქართული დასისა“ და „თავისუფალი საქართველოს“ ოპოზიციური პარტიებისადმი შეთავაზებას ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის შესახებ, ჯერ უცნობია.

როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა ზაზა ვეკუამ განაცხადა, მალე გახდება ცნობილი რა კონფიგურაციით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას „დემოკრატიული მოძრაობა“.

„დემოკრატიული მოძრაობა“ აწარმოებს კონსულტაციებს თითქმის ყველა არასაპარლამენტო პარტიასთან. ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რა კონფიგურაციით წარდგება „დემოკრატიული მოძრაობა“ თვითმმართველობის არჩევნებზე საზოგადოება უახლოეს ხანებში, კონსულტაციების დასრულების შემდეგ შეიტყობს. რაც შეეხება მოლაპარაკებების ნიუანსებს, ჩვენი მხრიდან მათი გასაჯაროება არასწორი იქნება“ – განაცხადა მან.

ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის ინიციატივით დღეს „ქართული დასი“ და „თავისუფალი საქართველო“ გამოვიდნენ. როგორც კახა კუკავასა და ჯონდი ბაღათურიას ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, „ქართული ოცნება“ კანდიდატებად საზოგადოებას სთავაზობს არა იმ პირებს, ვისაც ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა აქვს, არამედ მათ, ვინც კოალიციის ლიდერის ნდობით სარგებლობს, რათა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ამ ხალხმა ცენტრალური ხელისუფლების დაკვეთები უხმოდ შეასრულოს.

„ნაციონალური მოძრაობა“ თავად გადაიქცა „ქართული ოცნების“ სატელიტად, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს, რომ არჩევნებში მეორე ადგილი ყოფილმა სახელისუფლებო პარტიამ დაიკავოს. ბოლო თვეებში ერთიანობაზე ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობდა სხვადასხვა პარტიებთან, თუმცა ჯერჯერობით ყველა პარტიას არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული დასი“ ვაცხადებთ მზადყოფნას შეიქმნას ახალი ოპოზიციური გაერთიანება და დავიწყოთ ერთბლივი საარჩევნო კამპანია. მოვუწოდებთ პარტნიორ არასაპარლამენტო პარტიებს: გავაფართოვოთ ჩვენი ერთიანობა. ერთიანი ძალებით და კანდიდატებით დავუპირისპირდეთ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში. იმავდროულად, მივესალმებით „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ უპარტიო, დამოუკიდებელი პირების კანდიდატობასაც“ – აღნიშნულია ერთობლივ განცხადებაში.

ნიუსპრესი

## ყალბი დიპლომების დამზადების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1957 წელს დაბადებული მერაბ ი. და 1961 წელს დაბადებული დავით ჩ. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების, შეძენის და გასაღების ფაქტზე თბილისში დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მერაბ ი. და დავით ჩ. სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაკალავრის დიპლომს 4 000 ლარის სანაცვლოდ, ძველი თარიღით ამზადებდნენ. ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მე-2 კურსზე ჩარიცხვის სანაცვლოდ, მოქალაქეებს 5 000 აშშ დოლარს ართმევდნენ.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადების, შეძენის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ნიუსპრესი

# თემურ შაშიაშვილმა, შესაძლოა, ქუთაისის მერად იყაროს კენჭი

## რატომ სთხოვა ყოფილმა გუბერნატორმა ივანიშვილს 3 თვით ქუთაისში წასვლა

შორენა მარსაგიშვილი



ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში ბევრი უცნაური მოვლენა ვიხილეთ. განსაკუთრებული უცნაურობანი სავარდო და სამაისო ქუთაისში შეინიშნება. აქ ქალაქის მერს ადგილზე ვერ აჩერებენ. ქუთათურებს აღარც კი ახსოვთ, 2003 წლის შემდეგ ქალაქმა რამდენი მერი გამოიცვალა. აქაურობას ვერც პარლამენტის გადატანამ უშველა. მიმდინარე წელს ქუთაისელები თავად აირჩევენ ქალაქის თავს. მერობის კანდიდატები ჯერ არც ერთ პარტიას არ დაუსახელებია. გავრცელებული ინფორმაციით, მერის პოსტზე შესაძლოა კენჭი თემურ შაშიაშვილმა იყაროს. „თეთრების“ ლიდერი წლების მანძილზე სწორედ ქუთაისის მერი იყო.

აპირებს თუ არა ქუთაისის მერობისთვის ბრძოლას, რა დაუბარა ბიძინა ივანიშვილს, რას უწუნებს ახალ ხელისუფლებას, როგორ გადავიდა ქართული ეკონომიკა რუსეთის ხელში, ამ თემებზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ ქუთაისის მერის პოსტზე აპირებთ კენჭისყრას. მართალია ეს ინფორმაცია?***

– ქუთაისიდან ძალიან ბევრი ადამიანი დამიკავშირდა და მთხოვა, რომ ქალაქის მერის პოსტზე ვიყარო კენჭი.

***– ვინ არიან ეს ადამიანები?***

– სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. მათ შორის ისეთებმაც მომმართეს, რომლებიც თავის დროზე მიპირისპირდებოდნენ და ჩემთან პრეტენზიები ჰქონდათ. განვლილმა წლებმა მათ დაანახა, რომ მე ქალაქის ერთგული ვიყავი და საქმეს ვაკეთებდი. ვარდების რევოლუციის შემდეგ ქუთაისისთვის და ქუთაისელებისთვის არაფერი არ გაკეთებულა. იცით რამდენი ასეული მილიონი იყო გამოყოფილი ქუთაისისთვის? ამ ფულით უამრავი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. ეს ფული სადღაც გაქრა. მერე გამოდიან ნაციონალები და გვიმტკიცებენ, კორუფცია მოვსპეთო. სამწუხაროა, რომ ქალაქს არც ეს ხელისუფლება აქცევს ყურადღებას. მათ არ აინტერესებთ იმის გარკვევა, თუ რეალურად ვის ხელშია ქალაქი. ბიძინა ივანიშვილს თავის დროზე ჩემი წინადადება რომ მიეღო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

***– რა წინადადებაზე საუბრობთ, ბატონო თემურ?***

– მას სამთავრობო კომისიის შექმნა შევთავაზე, ისიც დავუბარე, რომ მზად ვიყავი 2 თვით წავსულიყავი ქუთაისში. დავდე პირობა, რომ 2 თვეში გავარკვევდი, ვინ რა წილში ზის და ვინ შეჭამა ქუთაისი. ისიც ვთქვი, რომ ეს თუ გაკეთდებოდა, მე არც ერთ არჩევნებში არ მივიღებდი მონაწილეობას, მათ შორის, არც მერის და არც იმერეთის გუბერნატორის. მინდოდა, მთელი საქართველოსთვის მეჩვენებინა, რომ სააკაშვილის პერიოდში საქართველოში კორუფციის აპოგეა იყო. ამ წლების მანძილზე საქართველოში მილიარდობით ფული შემოვიდა. ამ ფულს მარტო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არ ინაწილებდნენ. ისინიც წილში იყვნენ, ვინც ამ ფულს აგზავნიდა. შესაბამისად, არავის არ აინტერესებს, რა გაკეთდა ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული ფულით. ამიტომაც დაარქვეს ალბათ სააკაშვილს დემოკრატიის შუქურა. საქართველოს რომ არაფრად აგდებდნენ, გასაგებია, მაგრამ დემოკრატიას რატომ მიაყენეს შეურაცხყოფა? ნეტა იმ ხალხის თავში ჩამახედა, ვინც სააკაშვილს შუქურად თვლის.

***– ივანიშვილისთვის შეთავაზებულ წინადადებას დავუბრუნდეთ, რა პასუხი მიიღეთ მისგან?***

– არავითარი პასუხი არ მიმიღია. ეს ძალიან სამწუხაროა, ოღონდ არა იმიტომ, რომ ჩემი მოსაზრება არ გაიზიარა. მას და მთელ საქართველოს შეეძლოთ იმის გარკვევა, ვინ დაეპატრონა ქუთაისს და მთელს იმერეთს.

***– ქუთაისის მერის არჩევნებში თუ მიიღებთ მონაწილეობას? ზემოთ ამ კითხვაზე ზოგადი პასუხი გაგვეცით.***

– უკვე გითხარით, რომ ბევრმა ადამიანმა მომმართა ამ წინადადებით. დიდი მადლობა მათ ნდობისთვის. გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ზოგიერთისგან განსხვავებით, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს უცბად არ ვიღებ. ამ საკითხზე, ვფიქრობ, ჯერ მოსახლეობას უნდა დაველაპარაკო. უნდა დაველაპარაკო იმ ხალხს, ვინც თავის დროზე ჩემი მოწინააღმდეგე იყო. ყველაზე მეტად მათი აზრი მაინტერესებს. გავიგებ ხალხის აზრს და მერე მივიღებ გადაწყვეტილებას. ის კი ვიცი, რომ ქუთაისს პოლიტიკოსი მერი არაფერში გამოადგება. ამ ქალაქის მერი ტექნოკრატი, საქმის გამკეთებელი უნდა იყოს. სწორედ ტექნოკრატები უნდა ჩაუდგნენ ქალაქებს და რაიონებს სათავეში. არ იქნება კარგი თუ არჩევნებში პარტიული ფიგურები გაიმარჯვებენ. ვიღაცები თვითმმართველობის არჩევნებზე დიდ იმედებს ამყარებენ. მე ასე არ ვფიქრობ. საქართველოს გადარჩენა თვითმმართველობის არჩევნებში არ არის. საქართველოს გადარჩენა რიგგარეშე არჩევნებშია. თვითმმართველობის და საპარლამენტო არჩევნები ერთდროულად უნდა ჩატარდეს. დღეს ქვეყანაში სისტემური კრიზისია. ბოლო 10 წელმა საქართველო დააქცია და გაანადგურა. დღეს საქართველო იმართება ფულიანებით და უფულოებით. უფულოების მოსყიდვა ადვილია, ფულიანს კი ადვილად დააჯდები თავზე. ეს უკანასკნელი არ მოგისმენს, ხვალ ისიც უფულო გახდება. 1996 წლიდან მოყოლებული ვაცხადებ, რომ დაწერილია საქართველოს დაუძლურების პროგრამა.

***– რა მოხდა ასეთი 1996 წელს?***

– 1996 წელს დავით იაკობიძე ფინანსთა მინისტრობიდან წავიდა. მოქალაქეთა კავშირმა მინისტრებად პარტიული ფიგურების დანიშვნა დაიწყო. მაშინდელიდან მოყოლებული ვამტკიცებ, რომ საზღვარგარეთ დაწერეს საქართველოს დაუძლურების და დაქცევის პროგრამა, რაც ქვეყნის იოლად მართვისთვის სჭირდებოდა. იმ პერიოდში მიმდინარეობდა ასამდე ადამიანის გამდიდრება. ეს ხალხი იმიტომ გაამდიდრეს, რომ მორჩილებასა და მონობაში ჰყოლოდათ. დამშეული ხალხის მოსყიდვა კი, როგორც გითხარით, ძალიან იოლია. იმ დონეზე მიიყვანეს ხალხი, რომ თავის საარჩევნო ხმას 10 და 20 ლარად ყიდიან. არჩევნებს მაშინ აქვს ქვეყანაში აზრი, როცა იქ საშუალო ფენა ძლიერია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის სათავეში მოსული ძალები ერთი ცენტრიდან იმართებიან. საიდანაც მოქკავშირი იმართებოდა, იქიდანვე მართავდნენ ნაცმოძრაობას. „ქართული ოცნებაც“ ამ ცენტრიდან იმართება. ამიტომაც არიან, რომ ისინი ერთმანეთს ძალიან დაემსგავსნენ. საქართველოს გზა არც რუსეთია და არც ამერიკა. საქართველოს გზა არის ქართული გზა. როგორ უნდა ვიპოვოთ ეს გზა, როცა ჭკვიან ხალხს არაფერს არ ეკითხებიან. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში პარლამენტში კანონები არ იწერება. კანონებს წერენ მეცნიერები. განხილვით კი საკანონმდებლო ორგანო განიხილავს. ჩვენთან კი უცოდინარი ხალხი წერს კანონებს. მერე გვიკვირს, რატომ არის ასე ცუდად ჩვენი საქმე. სანამ ნიჭს გასაქანი არ მიეცემა, არაფერი არ გამოვა. დღეს თანამდებობებზე ხალხს პირადი ერთგულების ნიშნით არჩევენ. ასეთმა შერჩევამ დაღუპა საქართველო. „ქართული ოცნებაც“ ამ გზას დაადგა. გაოცებული ვარ გამგებლებით და მერებით. სულ პოლიციის ყოფილი უფროსები დაუნიშნიათ ამ თანამდებობებზე. ეს ძალიან ცუდია.

***– ცუდი რატომ არის?***

– პოლიციას და სამართალდამცავებს დიდ პატივს ვცემ. ოღონდ არაფრით არ შეიძლება მერებად და გამგებლებად პოლიციის ყოფილი უფროსების დანიშვნა. საქართველოში ჯერ არ ყოფილა შს მინისტრი, რომელსაც პირველკაცობის ამბიცია არ გაუჩნდა. ამ მხრივ ღარიბაშვილი გამონაკლისია, იმიტომ, რომ ის პოლიციელი არ ყოფილა. უბრალოდ, შს მინისტრის პოსტზე მუშაობდა. ყველა მის წინამორბედს კი ეს ამბიცია ჰქონდა. შევარდნაძეც კი შს მინისტრობიდან მოვიდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში. კახა თარგამაძე იყო და მასაც ჰქონდა ეს ამბიცია.

***– ნარჩემაშვილს ნამდვილად არ ჰქონია ასეთი ამბიციები.***

– ამბიციების გაჩენამდე არ აცალეს. 2 წელიწადში მოუწია წასვლა. ბარამიძეს, ოქრუაშვილს, მერაბიშვილს სერიოზული ამბიციები ჰქონდათ პირველკაცობაზე. იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი მახინა სამინისტროა შექმნილი, იქ კარგად არ წავა საქმე. როგორც ზევით გითხარით, ქალაქების და მერების გამგებლებად სულ ყოფილი პოლიციელები არიან. მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყოფილი პოლიციელები ბიზნესს მხარს არ დაუჭერენ. ისინი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ. სადაც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ, იქ რისკი არ იქნება, სადაც რისკი არ არის, იქ ბიზნესი ვერ ვითარდება. პოლიციის უფროსები ბიზნესის თავისუფლებას ვერ შექმნიან. ამიტომაც სჭირდება ქვეყანას სისტემური ცვლილებები. როცა სისტემური კრიზისი იქმნება, იქ სისტემური რეფორმაა საჭირო. ხელისუფლებაში მოსული ძალები სულ ტრაბახობენ იმით, რომ თავის წინამორბედი დაამარცხეს. ამით ამაყობენ და სისტემას იგივეს ტოვებენ. მართვის სტილი თუ არ შეიცვალა, ქვეყანას არაფერი ეშველება. ეს ქვეყანა პოლიტიკოსებმა დავაქციეთ. ბოდიშის მოხდის ნაცვლად, ხალხს ქვეყანა წავართვით. სამწუხაროა ისიც, რომ ჩვენი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ქვეყნის გარედან, ამერიკიდან არ რუსეთიდან იმართება. მიმაჩნია, რომ ორივე ქვეყანასთან კარგად უნდა ვიყოთ, მაგრამ არც მოსკოვის მონად უნდა იქცე და არც ვაშინგტონის. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ვურჩიე, პოლიტიკოსების ნაცვლად პროფესიონალებს დაყრდნობოდა. მან პოლიტიკოსები არჩია. დღეს დარწმუნებული ვარ, რომ ამას ნანობს. უკვე მიხვდებოდა, რომ პოლიტიკოსები ისე ჭრიან და ისე კერავენ, როგორც თავად სურთ. ჩვენ გვყავს ისეთი პოლიტიკოსები, რომლებმაც ყველა ხელისუფლებასთან გამონახეს საერთო ენა. წინა ხელისუფლებებზე კი ამბობენ, შევცდითო. ამდენჯერ თუ შეცდით, მაშინ რაღა გინდათ პოლიტიკაში? აი, ასეთი ხალხის ხელშია დღეს საქართველო. ჩვენს გამოცდილებაზე, ეტყობა, ვერც სხვები სწავლობენ.

***– ვინ გყავთ მხედველობაში?***

– უკრაინა. იქ მოხდა იგივე, რაც 2003 წელს საქართველოში. არავინ მითხრას, რომ ვარდების რევოლუცია საქართველოს გამარჯვება იყო. მეცნიერების მიერ დაწერილი დასკვნის თანახმად, მოქალაქეთა კავშირის გაგრძელებამ ანუ ნაციონალურმა მოძრაობამ ქართველ ხალხს გენოციდი მოუწყო. პირდაპირ ვიტყვი, ვარდების რევოლუციით მოგებული ერთადერთი ქვეყანა დარჩა. ამ ქვეყანას რუსეთი ჰქვია.

***– მაშინ ისიც ვთქვათ, რა მოიგო რუსეთმა?***

– აფხაზეთი და სამაჩაბლო. დღეს ორივე მათგანი რუსეთის ხელშია. ქართული ბიზნესი და ეკონომიკა რუსეთის ხელშია. კაგებეს გენერალ გენერალოვის ხელის ბიჭი კობა ნაყოფია დაეპატრონა მთელ ქართულ ოქროს. მის უკან რუსები დგანან. ნაყოფიამ თავის საქმიანობა საქართველოში სააკაშვილის დროს დაიწყო. იმათთანაც კარგად იყო და ახალ ხელისუფლებასთანაც კარგად არის. მარტო ეგ კი არა, ასევეა ბეჟუაშვილი, სამადაშვილი, ოქრიაშვილი.... თანაც ესენი ხომ ბიზნესმენები არ არიან. ესენი არიან მეჯღანუაშვილები. 21-ე საუკუნის მეწარმეები სხვანაირები არიან. ამათ მარტო ხალხის გაღლეტვა იციან. ვარდების რევოლუციის წყალობით რუსეთმა თავისი არმია გააძლიერა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსები დარწმუნდნენ, რომ მათი არმია კატასტროფულ დღეში იყო.

***– კატასტროფულ დღეში მყოფმა არმიამ ძალიან ცუდი დღე გვაყარა მაშინ....***

– ჩვენ რაც დაგვმართა, დაგვმართა, მაგრამ თავადაც ცუდ დღეში იყვნენ. ამის შემდეგ რუსებმა შეიარაღებული ძალების რეფორმა დაიწყეს. დღეს რუსული არმია ათჯერ უფრო ძლიერი და მობილურია, ვიდრე ეს 2008 წელს იყო. ჩვენი წყალობით, რუსეთი ამ ჯარით მსოფლიოს აზანზარებს. გავა ცოტა ხანი და უკრაინელებიც დარწმუნდებიან, რომ იანუკოვიჩის გადაგდებით რუსეთმა იხეირა მხოლოდ. ჩვენთან ქვეყნის სათავეში რუსეთის ლანძღვით მოვიდნენ და მერე ყველაფერი რუსეთს გადააბარეს. ასე იქნება უკრაინაშიც. ძალიან მწყდება გული ამ ქვეყანაზე და ისიც ვიცი, რას წარმოადგენენ რევოლუციაში გამარჯვებულები. კლიჩკოს პირადად ვიცნობ და მასთან მისაუბრია. არ მინდა, რომ ეს ქვეყანაც იგივე დღეში ჩავარდეს, რა დღეშიც ჩვენი ქვეყანა ჩავარდა. აქ, სამწუხაროდ, ისევ ის პოლიტიკოსები მოსწონთ, რომლებიც რუსეთს ლანძღავენ. რითიც ისევ რუსეთის საქმეს აკეთებენ. საქვეყნო საქმეები კი ჯერ არ კეთდება. ის ხალხი, ვინც თანამდებობებზეა და საქმე უნდა აკეთონ, გამოცდილები არ არიან. მაშინ როცა, მათი ხელისშემშლელები საერთაშორისო დონის ოსტატები და გროსმაისტერები არიან. ნაციონალებმა ლაპარაკიც კარგად იციან და ქვეყნის ნგრევაც. სკამის გულისთვის ყველაფერზე წავლენ და ყველას დაელაპარაკებიან. რაც მთავარია, იციან, როგორ გააფუჭონ საქმე. ამ ხალხს მხოლოდ პროფესიონალები თუ გაუწევენ წინააღმდეგობას. სამწუხაროდ, პროფესიონალებს არავინ ეპატიჟება. სამაგიეროდ, პირადი ერთგულების ნიშნით ინიშნება ხალხი თანამდებობებზე. ეს ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. საქართველოს გადარჩენა ვადამდელ არჩევნებშია. ქვეყნის სათავეში ახალი ძალა უნდა მოვიდეს. ძალა, რომელიც არც რუსეთიდან იქნება მართული და არც ამერიკიდან. ქვეყანა იმ ხალხმა უნდა მართოს, ვინც საქართველოს ნების გამომხატველი იქნება. საქართველოს გადარჩენა მხოლოდ ქართულ გზაშია.

# საქართველოს პარლამენტი უკრაინის მხარდამჭერ რიგით მესამე რეზოლუციას მიიღებს

შორენა მარსაგიშვილი

დღეს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატები უკრაინის მხარდამჭერ მორიგ რეზოლუციას მიიღებენ. აღნიშნული ინიციატივა საპარლამენტო უმცირესობას ეკუთვნის. შესაბამისი წინადადება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა გუშინ განიხილეს და მხარი დაუჭირეს საკითხის დღის წესრიგში შეტანას.

პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძე ამბობს, რომ რეზოლუცია საპარლამენტო ძალების ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდება, რადგან პრინციპულ საკითხებზე თანხმობა არსებობს

– ხელისუფლება სოლიდარობას უცხადებს უკრაინელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის, სუვერენიტეტისთვის, ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ეს კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ კიდევ ერთი რეზოლუციით ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. უმრავლესობის პოზიციაა, რომ სწორედ ხვალ მიგვეღო ეს რეზოლუცია. – აღნიშნა კობახიძემ.

ნაციონალური მოძრაობის მიერ მომზადებულ რეზოლუციაში დაგმობილია უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ წამოწყებული სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია.

საქართველოს პარლამენტი გადაჭრით გმობს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ წამოწყებულ სრულმასშტაბიან სამხედრო აგრესიას.

პოლიტიკური აგრესია, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა უკრაინის საგარეო-პოლიტიკური კურსის შესაცვლელად და რომელმაც მარცხი განიცადა კიევში განვითარებული დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, გადაიზარდა არადეკლარირებულ სამხედრო აგრესიაში, დღეისათვის კი უკვე ღია, დეკლარირებული სამხედრო აგრესიის ფორმა მიიღო სუვერენული ევროპული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რუსეთის ფედერაციის ეს ნაბიჯი წარმოადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის საფრთხეს არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი უკრაინისთვის, არამედ საქართველოსთვის და მთელი ევროპის უსაფრთხოების სისტემისთვის, რომელიც ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

საქართველოს კარგად ახსოვს, როგორ გახდა ანალოგიური აგრესიის მსხვერპლი მრავალჯერ, მათ შორის, ბოლოს 2008 წლის აგვისტოში, როდესაც საქართველოში განხორციელდა რუსეთის ინტერვენცია და რომლის შედეგად დღესაც ოკუპირებულია საქართველოს ორი რეგიონი – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი – სადაც რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ეთნიკური წმენდა.

ამასთან, დღეს უკრაინის ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს რუსეთის ფედერაციის ქმედებები იმეორებს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ხაზს, რომელიც გულისხმობდა რუსული პასპორტების დარიგებასა და შემდეგ საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით სამხედრო ინტერვენციას, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და ხალხის თავისუფალი არჩევანის მიუღებლობასა და მასთან დაპირისპირებას, ადგილობრივი მარიონეტი ლიდერების გამოყენებას აგრესიის სალეგიტიმაციოდ, რუსეთის მიერ შექმნილი და მართული არალეგარული შეიარაღებული ფორმირებების გამოყენებას და რუსეთის ჯარის უკანონო შეყვანა-გადაადგილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი:

გამოხატავს უკრაინის თავისუფლების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ მხარდაჭერას; გადაჭრით გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებულ სამხედრო პოლიტიკურ აგრესიას, უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო ინტერვენციას და მისი რეგიონის ოკუპაციას, ,,გავლენის სფეროების“ ცნებას და რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ მცდელობას ამგვარ ,,გავლენის სფეროებში“ მოაქციოს საკუთარი მეზობლები; მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დააფიქსიროს მკაფიო და ცალსახა პოზიცია უკრაინის მხარდასაჭერად, დაგმოს რუსეთის თავხედური სამხედრო აგრესია უკრაინის მიმართ და უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია; აწარმოოს აქტიური დიპლომატიური კამპანია რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური იზოლაციისა და მის წინააღმდეგ ქმედითი სანქციების დასაწესებლად. მოუწოდებს საქართველოს მთავრობას სასწრაფოდ გამართოს კონსულტაცია დემოკრატიული უკრაინის მთავრობასთან, საქართველოს მიერ ქმედითი დახმარების აღმოჩენის შესახებ; მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ გაიყვანოს უკრაინის ტერიტორიიდან ყველა სამხედრო შენაერთი და შეწყვიტოს უკრაინის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ყველა ქმედება. მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, პირველ რიგში, ევროპის კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიიღოს ეფექტური ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მისი საერთაშორისო იზოლაციისათვის, სანამ რუსეთის ფედერაცია არ შეწყვეტს უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო-პოლიტიკურ აგრესიას; მოუწოდებს ევროპის კავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს ქმედითი ეკონომიკური დახმარება გაუწიოს უკრაინის ხელისუფლებას; მოუწოდებს ევროპის კავშირსა და ნატოს წევრ ქვეყნებს გადადგან ქმედითი ნაბიჯები უკრაინის, საქართველოს დ მოლდოვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად; მოუწოდებს საქართველოს მთავრობას გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება და აწარმოოს ფართე კამპანია 2014 წლის ნატოს სამიტზე საქართველოს მიერ ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მისაღებად. ეს არის ნაციონალების პროექტი. ვნახოთ რა ცვლილებებს შეიტანს მასში საპარლამენტო უმრავლესობა.

# შტეფან ფულე საქართველოს ეწვია

ნათია ხურცილავა

საქართველოში ვიზიტით ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე იმყოფება. როგორც შტეფან ფულემ ჟურნალისტებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განუცხადა, იგი საქართველოში გუშინ უნდა ჩამოსულიყო, თუმცა მისი ვიზიტი, ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების საბჭოს გამო, ერთი დღით გადაიდო.

ევროკომისარი პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შეხვდა. თუმცა მისი პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებასთან შეხვედრებს დაეთმობა. ძირითადი, რასაც აღნიშნული ვიზიტი ითვალისწინებს, არის ასოცირების შესახებ შეთანხმება და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი.

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულეს განცხადებით, არსებობს ერთი მთავარი გზავნილი – ევროკავშირის მხარდაჭერისა საქართველოს მიმართ.

თავისი ვიზიტი უცხოელმა დიპლომატმა საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრით დაიწყო. შეხვედრის შემდეგ მედიისთვის ერთობლივი პრეს-კონფერენცია გაიმართა. შტეფან ფულე ასევე შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს.

ფულემ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთმა პატივი უნდა სცეს საერთაშორისო სამართალს და პატივი მიაგოს მისი მეზობლის სუვერენიტეტს.

– იმ დროს, როცა საერთაშორისო საზოგადოება აკვირდება შეშფოთების ზრდას, რომელიც დაკავშირებულია ყირიმში მიმდინარე მოვლენებთან, მოდით, არ დავავიწყოთ რუსეთის ქცევა აქ, საქართველოში. ეს ასევე შეშფოთების საგანი გახლავთ. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი კვლავ რუსეთის მხრივ გამოწვევის საგანი ხდება იმის ჩათვლით, რასაც ჰქვია ბარიერების და სამხედრო დანიშნულების კონსტრუქციების აღმართვა. ეს ხელს უშლის ადამიანების თავისუფლად მოძრაობას და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ აღნიშნულის აქცენტი იმის მიუხედავად, რომ დასავლეთის ყურადღება ახლა გაცილებით სხვა მოვლენებისკენ არის მიმართული. რუსეთმა აქაც, საქართველოში პატივი უნდა სცეს საერთაშორისო სამართალს და პატივი მიაგოს მისი მეზობლის სუვერენიტეტს, – აღნიშნა ფულემ.



გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი რუსეთის მხრიდან კვლავ გამოწვევის საგანი ხდება.

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი კვლავ რუსეთის მხრიდან გამოწვევის საგანი ხდება იმის ჩათვლით, რასაც ჰქვია ბარიერების და სამხედრო დანიშნულების კონსტრუქციების აღმართვა. ეს ხელს უშლის ადამიანთან თავისუფალ მოძრაობას და მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ აღნიშნულის აქცენტი იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ყურადღება ახლა გაცილებით სხვა მოვლენებისკენ არის მიმართული. რუსეთმა საქართველოშიც უნდა სცეს პატივი საერთაშორისო სამართალსა და მისი მეზობლის სუვერენიტეტს, – განაცხადა ფულემ.

# ვისთან გაერთიანდებიან ახალი მემარჯვენეები

ნათია ხურცილავა

მოახერხებს თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნების წინ გაერთიანებას და ერთიანი კანდიდატით გამოსვლას? ამ კითხვაზე პასუხი, შეიძლება ითქვას, ძალიან რთულად გასაცემია, რადგან არ არსებობს ერთიანი და ჩამოყალიბებული პოზიცია თავად არასაპარლამენტო ოპოზიციაში.



როგორც ფიქრია ჩიხრაძემ „პირველ პრესკლუბში“ განაცხადა, არასაპარლამენტო ოპოზიცია ისეთი კოალიციის შექმნაზე მუშაობს, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება.

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის და ქვეყნისთვის იმიტომ, რომ იმ ვიზიტების დროს, რაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ბოლო პერიოდში იყო, ძალიან მნიშვნელოვან ნიშნულად სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განისაზღვრა. წესით ამ კვირაში უნდა დაესვას წერილი საკანონმდებლო ცვლილებებს და საბოლოოდ გვეცოდინება, რასთან გვაქვს საქმე, თუმცაღა დიდი ცვლილებების მოლოდინი არც გვაქვს. რაც შეეხება კონსულტაციებს, მინდა გითხრათ, რომ „ახალი მემარჯვენეები“ მასში ძალიან აქტიურად ვართ ჩართულები დიდი ხანია, უბრალოდ, ჩვენ ყოველთვის ვიცავთ პრინციპს, რომ ვიდრე ერთობლივი თანხმობა არ იქნება, კონსულტაციების შედეგის გაცხადებაზე, ამის თაობაზე წინასწარ არასდროს ვსაუბრობთ. ვფიქრობ, რომ ეს კოლეგიალურია. ჩვენ მედიასთან ამ მხრივ არც ხმამაღალი განცხადებები და არც მინიშნებები არ გვიკეთებია, რადგან ვთვლიდით, რომ მნიშვნელოვანია საქმე გამოვიდეს. ჩვენ იდეაში ფართო კოალიციაზე ვმუშაობთ, ისეთზე, რომელიც იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე პოლიტიკურ ასპარეზზე და პოლიტიკურ ველს არ დაუტოვებს მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“, შეძლებს, რომ თანაზომადი და ხშირ შემთხვევაში აღმატებული კონკურენცია გაუწიოს მათ. გამოვა თუ არა ეს, ბოლომდე გარანტირებული არ არის, თუმცა მნიშვნელოვანი საქმე წინ წაგდებულია. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ეს მოლაპარაკებები სწორედ ამ მიმართულებით და პოზიტიურად დასრულდება. ამას დიდი დრო ალბათ არ დასჭირდება. მარტის თვე დედლაინია ყველასთვის და ეს კონფიგურაცია და გადაწყვეტილებები თქვენთვის გახდება ცნობილი, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

საუბრისას ჩიხრაძე არ აკონკრეტებს, კონკრეტულად რომელ პარტიებს შორის მოხდება შეთანხმება.

– რაც შეეხება კონსულტაციებს, მინდა გითხრათ, რომ „ახალი მემარჯვენეები“ მასში ძალიან აქტიურად ვართ ჩართულები დიდი ხანია, უბრალოდ, ჩვენ ყოველთვის ვიცავთ პრინციპს, რომ ვიდრე ერთობლივი თანხმობა არ იქნება, კონსულტაციის შედეგებზე განცხადებას ვერ გავაკეთებთ, – აცხადებს ჩიხრაძე.

# ილია II: მე დარწმუნება არ მჭირდება, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს“

„მე დარწმუნება არ მჭირდება, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი უნდა გახდეს საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციის იდეა განხორცდიელდეს, - ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა , უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ საპატრიარქოში, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ შტეფან ფულესთან შეხვედრისას განაცხადა.

საპატრიარქოში პატრიარქი ევროკავშირის უმაღლეს კომისარ შტეფან ფულეს შეხვდება. შეხვედრის ნაწილი დახურული იყო. შეხვედრის დასაწყისში კათოლიკოს-პატრიარქმა და თავის მხრივ შტეფან ფულემ ერთმანეთს მიმართეს. შეხვედრას ევროკავშირის ელჩი საქართველოში, ფილიპ დიმიტროვი ესწრება.

შეხვედრის დასაწყისში უწმინდესმა მადლობა გადაუხადა შტეფან ფულეს იმისთვის, რომ გამოძებნა დრო მასთან შესახვედრად და აღნიშნა, რომ საქართველომ გამოიარა მძიმე კომუნისტური რეჟიმი და კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო ახლა მიემართება ევროპული სტრუქტურებისკენ.

"ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ იმით, რომ საქართველო, რომელმაც გამოიარა მძიმე კომუნისტური რეჟიმი, მიემართება ევროპულ სტრუქტურებში. ევროპის სტუქტურები არის ის ორგანიზაცია, რომელსაც კარგად იცნობენ საქართველოში. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს სრულფასოვანი წევრი ამ დიდი ორგანიზაციის. მინდა ვთქვა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში არასწორი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს საქართველოს ეკლესია აბრკოლებს ამ პროცესს. მინდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საქართველოს ეკლესია ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს იდეა განხორციელდეს", - აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა მიმართა შტეფან ფულეს, რომ მისთვის დღეს პრესიდან გახდა ცნობილი შტეფან ფულეს სურვილი, დაერწმუნებინა პატრიარქი, საქართველო თავისი ტრადიციებით, ფასეულობით გახდეს ევროკავშირის წევრი.

„მე მინდა გითხრათ, რომ ამაში დარწმუნება არ მჭირდება. მე დიდი ხანია ამაში დარწმუნებული ვარ. არის ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ავრცელებენ ეკლესიის საწინააღმდეგოდ ამ იდეას და ამით ალბათ შოულობენ დახმარებებს. თქვენ თვითონ დარწმუნდებით საქართველოში ვიზიტისას. თქვენ დღეს ჩამობრძანდით, გქონდათ შეხვედრები, კიდევ შეხვდებით სასულიერო პირებს, საზოგადოების წარმომადგენლებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს", - აღნიშნა უწმინდესმა.

ინტერპრესნიუსი

# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ამერიკა ალ-ქაიდასთან თანამშრომლობს“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

***– ბატონო ჰამლეტ, როგორ შეიძლება განვითარდეს უკრაინაში მოვლენები, არის შესაძლებელი, ყველაფერი მივიდეს ომამდე?***

– ძნელია იმის ვარაუდი, რა იქნება, მაგრამ, ყველაფერი რომ არის გაკეთებული ამისთვის, ეს აშკარაა. სამწუხაროდ, მე ვიტყოდი, რომ რუსეთმა დააგვიანა. დააგვიანა იმიტომ, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს საჭიროებდა ძალიან სერიოზულ რეაგირებას რუსეთის მხრიდან. მაგრამ ეს რეაგირება არ ჩანდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო. მოგეხსენებათ, ჯერ იყო ელცინის ხელისუფლება, რომელიც, ფაქტობრივად, იყო ამერიკის ადმინისტრაციის მონა. შემდეგ მოვიდა პუტინი და მან დააპირა ამერიკასთან ნორმალური ურთიერთობის აწყობა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ის გამოვიდა მიუნხენში და ამერიკა დაადანაშაულა ჰეგემონიზმში და იმაში, რომ ამერიკა არის ის ქვეყანა, რომელსაც უნდა მსოფლიო ბატონობა და სულაც ფეხზე ჰკიდია ნებისმიერი სხვა ქვეყანა თავისი მიზნების მიღწევისათვის.

***– რუსეთის პირველობისთვის იბრძვის, ხომ ასეა და ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იბატონებს ჩვენზე, რუსეთი თუ ამერიკა?***

– რუსეთის მხრიდან იყო მცდელობა, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩამოეყალიბებინა ნორმალური პარტნიორული ურთიერთობა, რალაცები გაკეთდა, ბევრი რამ არ გაკეთდა, ვინაიდან ამერიკა ყოველთვის პირველ პირად თვლიდა თავის თავს, ზემოდან უყურებს სხვა ქვეყნებს, ისეთებს, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და სხვა. რაც შეეხება რუსეთის ჰეგემონობას, ეს არსად ჩანს, რუსეთი ყოველთვის ამბობს, რომ არ უნდა იყოს ერთპოლუსიანი მსოფლიო ანუ ერთი ქვეყნიდან არ უნდა იმართებოდეს მთელი მსოფლიო. ამერიკის შეერთებულ შტატებს კი უნდა, ის იყოს მთელი მსოფლიოს ბატონ-პატრონი. ის ვერ ეგუება, რომ სხვა რომელიმე ქვეყანას საკუთარი აზრი ჰქონდეს. მათთვის ეს მიუღებელია. აი, ამის წინააღმდეგ გამოდიოდა და დღესაც გამოდის რუსეთი. რუსეთმა ვერაფრით შეაგნებინა ამერიკას, რომ ეს არის ცუდი თამაში. ის, რომ ამერიკას უნდა საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოება, ეს სახეზეა. რად ღირს მარტო იმ ფერადყვავილოვანი რევოლუციების გახსენება. რა უნდა ამერიკას ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, არც არაფერი, ან რატომ გაფართოვდა ნატო აღმოსავლეთით, მაშინ როცა გორბაჩოვ-რეიგანის მოლაპარაკების დროს გარკვევით ითქვა, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა. სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე მოხდა ვარშავის შეთანხმების გაუქმება. ასე რომ, საბჭოთა კავშირი კი წავიდა დათმობაზე, მაგრამ ამერიკამ არ შეასრულა შეთანხმება და გააგრძელა საქმით იმის კეთება, რაზეც სიტყვით თქვა უარი და აგერ მოვიდა კიდეც რუსეთის საზღვართან. ამერიკა გაურკვეველი საბაბით შეიჭრა ავღანეთში და თერთმეტი წელია, იქ არის. ამას მოჰყვა ათეულათასობით ადამიანის სიკვდილი. ანდა ავიღოთ იმავე ლიბიის საკითხი. მართალია, ამერიკა პირდაპირ არ ჩარეულა ამ ომში, მაგრამ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნატო აემუშავებინა კადაფის წინააღმდეგ. ეს მაშინ, როდესაც კადაფი უამრავ დათმობაზე წავიდა და სამაგიეროდ მიიღო წამებით სიკვდილი. ის, რაც დღეს სირიაში ხდება, ეს ხომ ამერიკის წაქეზებით ხდება. ამერიკას არ მოსწონს მისი გუშინდელი მეგობარი ბასარ ასადი, დღევანდელი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, სენატორობის დროს არაერთხელ ყოფილა მშვიდობიან პერიოდში ბაშარ ასადის სტუმარი. დღეს, როდესაც ბაშარ ასადი არ მოსწონთ, ამერიკამ გადაწყვიტა, რომ მტერთანაც კი შეიძლება გარიგება, მხედველობაში მაქვს ალ-ქაიდა, ის მეომრები დღეს იბრძვიან სირიაში და არა მარტო ალქაიდელი, არამედ სხვა ქვეყნის ექსტრემისტული ისლამი, რომელთანაც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს დემოკრატიულ ქვეყანას, რაზეც პრეტენზია აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს. თუ ავღანეთში ამ საბაბით იბრძვის ამერიკა ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ, რატომ იყენებს ის ალ-ქაიდას სირიაში, ეს არავინ იცის. ამერიკისთვის არ აქვს მნიშვნელობა, თავიანთ მიზანს სუფთა ხელებით მიაღწევენ თუ ბინძურით. ან თუნდაც ავიღოთ იანუკოვიჩი. ის ისეთივე პროდასავლელი იყო, როგორებიც ტიმოშენკო და იუშჩენკო, მაგრამ, როგორც კი დაინახა იანუკოვიჩმა, რომ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა უკრაინისთვის იქნებოდა დამანგრეველი, იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა ხელს მოაწერდა ასოცირების ხელშეკრულებას, ფაქტობრივად, მოხდებოდა არსებული სოციალური მდგომარეობის გაუარესება. უნდა დახურულიყო ფაბრიკა-ქარხნები, უნდა შემცირებულიყო ხელფასები, უნდა გაყინულიყო პენსიები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი გამოიწვევდა სოციალურ აფეთქებას. იანუკოვიჩმა იფიქრა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ არ მოეწერებოდა ხელი ასოცირების ხელშეკრულებას მანამდე, ვიდრე არ იქნებოდა გარანტიები ანუ დასავლეთი მისცემდა გარკვეულ თანხებს. პირველ ეტაპზე ეს იქნებოდა 20-25 მილიარდი დოლარი, საერთო ჯამში, 175 მილიარდი დოლარი ანუ ეს თანხა სჭირდებოდა უკრაინას, რომ გამოსულიყო იმ კავშირების გაწყვეტიდან, რაც უკრაინას აქვს რუსეთთან. მთელი აღმოსავლეთი უკრაინა არის რუსეთზე მიბმული, იქ არის უზარმაზარი სამხედრო ქარხნები, რომლებიც ასრულებენ რუსეთის დაკვეთას, თუკი ის ყველაფერი არ იმუშავებს და ასეც იყო ჩადებული მსოფლიო სავალუტო ფონდის გეგმაში, ათეულათასობით ადამიანი რჩებოდა უმუშევარი. ამისთვის საჭირო იყო მინიმუმ 175 მილიარდი დოლარის მიღება ევროკავშირიდან, მაგრამ ვინ არის ამის გამკეთებელი? არც არავინ. თუნდაც დღეს, როდესაც მიდის უკრაინის დახმარებაზე ლაპარაკი, როგორც მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, შეერთებული შტატები, ევროკავშირი რუსეთს სთხოვენ, რომ მან გასწიოს დახმარება. აქედან გამომდინარე, რუსეთის პოზიცია არის სწორი. ამერიკას უკრაინაში ხალხის გაწვრთნა ანტირუსულად ხუთი მილიარდი დოლარი დაუჯდა. თუნდაც ის, რაც მაიდანზე ხდება, ვინმეს ჰგონია, რომ სპონტანურად ხდება? ეს ყველაფერი უფულოდ კეთდებოდა? როგორ გეკადრებათ, თითო მოლოტოვის კოქტეილის პოლიციელების ფეხებში შეგდებაში იხდიდნენ ხუთას დოლარს, ხოლო იქ მდგომ ადამიანებს დღეში ორას დოლარს უხდიდნენ. ამას დამატებული იმ ხალხის კვება. ეს ყველაფერი იყო დიდი ფული. არავინ კითხულობს იმას, თუ რისთვის ჩადიოდა უკრაინაში ამერიკული თვითმფრინავები და პირდაპირ ამერიკის საელჩოში ხდებოდა კონტეინერებით ფულის გადატანა. ფაქტობრივად, ამერიკა ამას რუსეთს უწყობს. ამ შემთხვევაში უკრაინა საჯილდაო ქვაა. ეს არის რუსეთის დაშლისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი.

***– ამერიკა თუ ჩაერთვება ღიად ამ პროცესებში, ეს უკვე რუსეთ-ამერიკის ომია ანუ მესამე ომის საფრთხის წინაშე დგას მსოფლიო?***

– ამან შეიძლება გამოიწვიოს მესამე მსოფლიო ომი. მოგეხსენებათ, უკრაინა არ მდებარეობს სადღაც სამხრეთ აფრიკაში, აგერაა, ევროპაში. ეს რაც ხდება, ყველაფერი გამოიწვია ამერიკამ. მას ჰგონია, რომ ყველა არის მათი სახმარი, შემოგვივარდა სახლში და გვასწავლის, მე როგორ უნდა ვიცხოვრო. ობამამ თავისი ერთი სიტყვით შეურაცხყოფა მიაყენა მთელ რუსეთს, როდესაც თქვა, რომ რუსეთი დაისჯება. ამან მთლად გააცოფა რუსეთი. დიპლომატიაში ასეთი რამე არ ხდება.

***– საქართველოზე რა გავლენას იქონიებს ეს ყველაფერი?***

– ძალიან სერიოზულ გავლენას იქონიებს. ამ ქარაფშუტებს რომ უსვამენ თავზე ხელს. ესენი იმასაც ვერ ხვდებიან, რისთვის უსვამენ, არა იმიტომ, რომ ღარიბაშვილი ან სხვა ვინმე მოსწონთ, მათ აქ უნდათ ფეხის მოკიდება, სულ ფეხებზე ჰკიდიათ, აქ ღარიბაშვილი იქნება თუ სააკაშვილი. ისე, არც არის გამორიცხული, რომ სააკაშვილიც დაბრუნდეს მალე ამერიკელების მხარდაჭერით. იმ დროს, როდესაც რუსეთთან სალაპარაკო გვაქვს, გამოდის ღარიბაშვილი და მოუწოდებს ამერიკას, რომ დაიცვას უკრაინა რუსეთისაგან. ამას ხომ უნდა ელემენტარული პოლიტიკური ალღო. უბედურება ის არის, რომ ამ ბავშვებმა ორი ღერი ინგლისური კი ისწავლეს და დანგრეული ინგლისურით რაღაცას ახერხებენ, მაგრამ, საუბედუროდ, პოლიტიკა ვერ ისწავლეს. ახლა მთლად გადაირივნენ, რაც ცოცხალი ობამა ნახეს, მერე ამ პრეზიდენტმა თავზე ხელი მოუსვა და მთლად გადაირივნენ. ახლა ისეა დაძაბული სიტუაცია, რომ, არ არის გამორიცხული, რუსეთმა აქეთაც გადმოიხედოს. არავინ არის მისი შემჩერებელი. თუ შეაჩერებ, ეს იქნება მესამე მსოფლიო ომი, თანაც – ბირთვული. ამის რეალური საფრთხე უკვე არსებობს. ობამამ შეურაცხყოფა მიაყენა არა პუტინს, არამედ მთელ რუსეთს. ამერიკას უკვე თავში აუვარდა თავისი ჰეგემონია და ამას წერტილი უნდა დაესვას. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ბირთვული მესამე მსოფლიო ომი.

# მარგველაშვილი თურქ და პოლონელ კოლეგებს ტელეფონით ესაუბრა

შორენა გონგლაძე



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თურქეთის პრეზიდენტ აბდულა გიულისა და პოლონეთის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკის ტელეფონით ესაუბრა. პრეზიდენტებმა უკრაინაში შექმნილი ვითარება და კრიზისიდან გამოსვლის გზები განიხილეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, პოლონეთისა და საქართველოს პირველმა პირებმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნეს საქართველოს მიერ უახლოეს პერიოდში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობა. პრეზიდენტებმა ასევე ისაუბრეს უკრაინაში მიმდინარე პროცესების გავლენის შესახებ შავი ზღვის აკვატორიაზე.

– პირველმა პირებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტრიული მთლიანობის მხარდაჭერის მნიშვნელობას, ასევე ისაუბრეს უკრაინაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებსა და არსებული კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობაზე. გიორგი მარგველაშვილმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ის ფუნქცია, რომელიც თურქეთმა აიღო ამ კრიზისის განმუხტვისათვის, – ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში. საუბრის დასასრულს მხარეები შეთანხმდნენ, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით კომუნიკაციას მომავალშიც განაგრძობენ.

საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტებმა მაისში თბილისში დაგეგმილ საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ მაღალი დონის შეხვედრაზეც ისაუბრეს.

საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტებმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და კრიზისიდან გამოსვლის გზები განიხილეს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სატელეფონო საუბრისას მხარეებმა აღნიშნეს საქართველოს მიერ უახლოეს პერიოდში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობა.

– პოლონეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაუდასტურა ქვეყნის პირველ პირს მხარდაჭერა ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის გზაზე, – ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში, რომლის თანახმად, ორმა პრეზიდენტმა ერთმანეთი ოფიციალური ვიზიტით მიიწვია, შესაბამისად, საქართველოსა და პოლონეთში.

რაც შეეხება აბდულა გიულისთან საუბრის თემას, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტებმა, უკრაინის მოვლენებთან ერთად, შავი ზღვის აკავატორიაზე ამ პროცესების გავლენა განიხილეს. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტრიული მთლიანობის მხარდაჭერის მნიშვნელობას, ასევე ისაუბრეს უკრაინაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებსა და არსებული კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობაზე.

– გიორგი მარგველაშვილმა სატელეფონო საუბრისას აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ის ფუნქცია, რომელიც თურქეთმა აიღო ამ კრიზისის განმუხტვისათვის. საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტებმა მაისში დაგეგმილ საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანის სამმხრივ შეხვედრაზეც ისაუბრეს, სადაც კიდევ ერთხელ განიხილება სახელმწიფოთაშორისი პროექტებისა და რეგიონში სტაბილურობის მნიშვნელობა. საუბრის დასასრულს მხარეები შეთანხმდნენ, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით კომუნიკაციას მომავალშიც განაგრძობენ, – აცხადებს მარგველაშვილის პრესსამსახური.

# 2014 წელი – რუბიკონი საქართველოსთვის

უკრაინასა და რუსეთს შორის ფაქტიურად საომარი მდგომარეობაა, მსოფლიო დგას სერიოზული გზაგასაყარის წინაშე, რადგან ამ კონფლიქტის გადაწყვეტა განსაზღვრავს მომავალი მსოფლიოს და მსოფლიო მოწყობის ბედს. ფაქტია, რომ „იალტის კონფერენციის“ შემდეგ დადგენილი წესრიგი საფრთხეს უქმნის მსოფლიოს სტაბილურობას. რუსეთი თავისი მოქმედებებით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, რაც რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა პრეცენდენტად იქცეს სხვა სახელმწიფოებისთვისაც, რის შემდეგაც შეიქმნება რეალობა, რომელშიც გაერო როგორც უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზაცია გადაიქცევა ბუტაფორიად, არ იარსებებს უნივერსალური წესები და მათ ადგილს დაიმკვიდრებს მხოლოდ ძალის და გავლენის პრიმატზე დაფუძნებული მოქმედებები. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ევროკავშირის ერთობაც, რადგან გაჩნდება ინტერესთა კონცეპტუალური სხვაობა კავშირის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აღმოსავლეთის მთავარი მიზანი იქნება რუსეთისგან თავდაცვის გაძლიერება, ხოლო დასავლეთის – ხარჯების შემცირება აღმოსავლეთ ევროპის ინტერესების უზრუნველყოფაზე. დასავლეთს არ მოუნდება პრობლემები გაიჩინოს რუსეთთან აღმოსავლეთ ევროპის გამო, რაც აუცილებლად გაზრდის ევროსკეპტიკოსთა რიცხვს. აშშ-ც შეეცდება არ იქონიოს უშუალო კონფრონტაცია რუსეთთან, რადგანაც რუსეთისგან მოსალოდნელია ისეთი სიურპრიზები, რომლებიც კითხვის ქვეშ დააყენებს აშშ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებს.

აშშ-ც და ევროკავშირიც დღეს გადიან ურთულეს ეტაპს, აბარებენ ტესტს, რომლიც ინიციატორიც რუსეთია. რუსეთი ტესტავს განწყობებს, რათა განსაზღვროს მომავლის გეგმები.

ამ ვითარებაში საქართველოს პრემიერმინისტრის ვიზიტი აშშ-ში იყო არა მხოლოდ დროული, არამედ უმნიშვნელოვანესად დროულიც.

ჯერ ერთი, საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტმა აშშ-ში წერტილი დაუსვა ნაციონალური მოძრაობის მრავალწლიან სპეკულაციებს მათი აშშ-სთან ექსკლუზიურ ურთიერთობათა თემაზე. თითქოს ვაშინგტონი მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას სცნობდა. ობამას და ღარიბაშვილის შეხვედრამ, შეხვედრებმა აშშ-ს სენატორებთან, კონგრესმენებთან, ექსპერტებსა და ინვესტორებთან დაადასტურა, რომ აშშ არა მხოლოდ აქტიურად მუშაობს საქართველოსთან, არამედ გამოთქვამს მზადყოფნას – მხარი დაუჭიროს საქართველოს მთავრობას როგორც ეკონომიკურ განვითარებასა და კავკასიის სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბებაში, ასევე ევროინტეგრაციასა და უსაფრთხოების გაძლიერებაში. რასაკვირველია, აშშ-ს ხელისუფლების გააქტიურებას ამოძრავებს აშშ-ს ინტერესები – დროულად და ოპერატიულად იმოქმედოს, რათა არ მისცეს საშუალება რუსეთს განაგრძოს ექსპანსია სამხრეთის მიმართულებით. გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში საქართველო ყველაზე სტაბილური და ადეკვატური სახელმწიფოა. ყოფილ საბჭოთა კავშირში ბევრი არაა სახელმწიფო, რომელშიც ხელისუფლება მშვიდობიანად და დემოკრატიულად შეიცვალა. საქართველო ახალ ხელისუფლებას არ დაუწყია წინამორბედის (საააკაშვილის) მსგავსად ოპონენტების დევნა, მედიის შევიწროვება და ბიზნესის დატერორება. ასევე თანმიმდევრული, ზომიერი და სტაბილურია ახალი ხელისუფ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# გელა კვაჭანტირაძე: მესამე მსოფლიო ომი არ იქნება“

## რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს უკრაინული კრიზისი

თამარ ნინიძე

**როგორ განვითარდება მოვლენები, რა ინტერესები აქვს თურქეთს ყირიმთან დაკავშირებით, როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია, რამდენად ეფექტურია ის ქმედებები, რასაც დასავლეთის სამყარო ოკუპანტების წინააღმდეგ იყენებს, ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ პოლიტიკური ექსპერტი გელა კვაჭანტირაძე ესაუბრა.**



***– იმ ფონზე, როცა ბერკუტელები სასტიკად უსწორდებოდნენ უკრაინელ მომიტინგეებს, ამერიკაში ღარიბაშვილის ვიზიტს ჰქონდა სერიოზული წარმატებები, მხედველობაში მაქვს ობამასთან დაუგეგმავი შეხვედრა, თქვენ როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?***

– ეს ვიზიტი დაგეგმილი იყო და შედგა ექსტრემალურ ვითარებაში, უკრაინასთან დაკავშირებით ვამბობ. ხედავთ, რომ მსოფლიოში დიდი პოლარიზება მოხდა, ეს კი საფრთხის შემცველია, მთელი დასავლეთის სამყარო ახლა უკრაინის კრიზისის მოგვარებაშია ჩართული. შესაბამისად, ისეთი ქვეყნები, როგორიც მოლდოვა, საქართველო, უკრაინა, მათთან გასაგებია, რომ სასწრაფოდ კონსულტაციები იქნებოდა საჭირო, ამერიკელების ეს შეხვედრაც დაჩქარებულ ფორმატში შედგა. უმაღლეს დონეზე იყო ეს ვიზიტი ორგანიზებული.

***– ეს ვიზიტი შეფასდა, როგორც ჩვენი დიპლომატიის წარმატება და უმნიშვნელოვანესი შეხვედრები იყო სენატორებთან და კონგრესმენებთან, ჩანდა რომ უაღრესად კეთილგანწყობილი არიან საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან. თქვენი აზრი მაინტერესებს, რას ფიქრობთ ამაზე?***

– ვიზიტი უდავოდ წარმატებული და მნიშვნელოვანი იყო, ჩვენმა დიპლომატებმა უმაღლეს დონეზე იმუშავეს, ამასთანავე ამ ვიზიტის მნიშვნელობა განსაკუთრებული იყო უკრაინის კონტექსტშიც.

***– ზურაბ აბაშიძე თითქოს გულისწყვეტით ამბობდა, რომ კარასინთან შეხვედრა გადაიდო და ის ახლა თურმე 14 მარტს არის ჩანიშნული. ცივილიზებული სამყარო რუსეთის ბარბაროსულ ქმედებებს აპროტესტებს და რიგი ქვეყნების ელჩები რუსეთიდან გაიწვიეს, რამდენად სწორია და ადეკვატური ჩვენი კარასინთან შეხვედრის ასეთი დაუოკებელი სურვილი?***

– ახლა არა მარტო ქართული მხარე, არამედ მთელი მსოფლიო კონსულტაციების რეჟიმშია უკრაინასთან და რუსეთთან. 1 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიეს რუსეთის თხოვნით, უკრაინის საკითხი განიხილებოდა. ჩვენ ახლა არჩევანის წინაშე ვართ, როცა მსოფლიომ მძაფრი რეაგირება გააკეთა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე, აფხაზეთის შემთხვევაში ასეთი რამ არ იყო. ახლა ჩვენ საკუთარი პრობლემების აქტუალიზაცია უნდა მოვახდინოთ, ჩრდილში არ უნდა ვიყოთ, იგივე პრობლემა აქვს უკრაინას, რაც ჩვენ გვქონდა 2008 წელს. ჩვენი ეროვნული ინტერესები წინა პლანზე უნდა დავაყენოთ. აქვე ვიტყვი, რომ დესტრუქციულ ზომებს არ უნდა მივმართოთ, უარის თქმა არც გვჭირდება რუსეთთან, რადგან რუსეთს ახლა ჩვენთვის ისედაც არ სცალია, დიდი პრობლემები მოიმკა და წინ უარესი ელოდება. დასავლეთის ლიდერებიც გადართული არიან უკრაინისა და რუსეთის მოსალოდნელ სამხედრო კონფლიქტზე. ვიზიტები გადაიდო და ან მოგვიანებით შედგა. შტეფან ფულე დაგვიანებით ჩამოვიდა საქართველოში.

***– იქნება საქართველოსთვის საინტერესო და შედეგიანი პუტინისა და მარგველაშვილის შეხვედრა?***

– დიდი გეოპოლიტიკური ბატალიების ფონზე, რა თქმა უნდა, ამ პრეზიდენტების შეხვედრა ახლო მომავალში ალბათ არ იქნება, აქტუალური თავად რუსეთისთვის არ არის, როგორც ხედავთ, მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვიმყოფებით. ახლა ეს შეხვედრა დიდი აზრის მატარებელი არც იქნება. ახლა იმაზეა ყურადღება გამახვილებული, რომ მსოფლიომ აღკვეთოს პუტინის განზრახვები უკრაინასთან მიმართებაში, რუსეთის აგრესიამ ეს მასშტაბები მიიღო. ჩვენ ამ პრობლემის ერთი დეტალი ვართ. სანამ უკრაინის კრიზისი არ დარეგულირდება, მანამდე ასეთ შეხვედრებზე საუბარი ზედმეტია.

***– სენატორმა მაკკეინმა მოითხოვა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ დააჩქაროს საქართველოს და უკრაინის შეყვანა ნატოში, საუბარია მოლდოვაზეც. ამაზე რა აზრის ხართ?***

– ამ პრობლემამ უკრაინაში დააჩქარა დასავლელი ლიდერების განწყობები ამ თვალსაზრისით. ისედაც მაკკეინი გამოირჩეოდა რადიკალური მხარდაჭერით საქართველოსადმი. არა მარტო მაკკეინი, არამედ სხვა ლიდერებიც ფიქრობენ, რომ უფრო გაააქტიურონ მცდელობები ევროინტეგრაციის კუთხით ახალი დემოკრატიის ქვეყნების მიმართ. ეს ჩვენ გვაძლევს შანსს, რომ დაჩქარდეს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა და გადაიდგას უფრო მკაფიო ნაბიჯები, მათ შორის მაპის მიღება. ამ კრიზისმა უკრაინაში შეიძლება ჩვენთვის რაღაც სასიკეთო ცვლილებები მოიტანოს და ეს შანსი საქართველომ ხელიდან არ უნდა გაუშვას.

***– თურქეთის პოზიციაზე მინდა გკითხოთ, როგორც კი გავრცელდა ცნობები, რომ რუსეთის ბანდფორმირებები ალყაში აქცევენ უკრაინის სამხედრო ბაზებს ყირიმის ტერიტორიაზე, თურქეთმა უკრაინას სამხედრო დახმარება აღუთქვა. რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს თურქეთს და საქართველო მეტად სახიფათო ვითარებაში აღმოჩნდება იმიტომ, რომ რუსეთი საქართველოში თურქეთის საზღვართან ჯარს ჩააყენებს. იქნებ გააანალიზოთ, რა საფრთხე გვემუქრება?***

– ყირიმის საკითხი არ არის თურქეთისთვის რიგითი თემა. ისტორიაში ცნობილია, რომ რუსეთსა და თურქეთს ომი ჰქონდათ ყირიმთან დაკავშირებით. ყირიმი ნიკიტა ხრუშჩოვის დროს გადაეცა უკრაინას, თურქეთისთვის ეს ნახევარკუნძული სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ყირიმით კონტროლდება შავი ზღვის აკვატორია და მეზობელი ქვეყნები. თურქეთი, ბუნებრივია, ნეიტრალურ პოზიციას ვერ დაიკავებს, მას თავისი ინტერესები აქვს. თურქეთი ნატოს წევრია, რა თქმა უნდა, პოზიციები შეჯერებულია, რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა მუშაობს აქტიურად და ვრცელდება ცრუ ინფორმაციები, რომ თურქეთი რუსეთს ამართლებს. ვრცელდება რუსული პროპაგანდისტული მანქანის სპეკულაციები ჩინეთთან დაკავშირებით. გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოიკვეთა, რომ ჩინეთიც და თურქეთიც გმობენ რუსეთის აგრესიას. თურქეთის ქმედებები ამოვარდნილი ვერ იქნება კონტექსტიდან, ნატო კოორდინაციას უწევს წევრი ქვეყნების მოქმედებებს. რუსეთს სანქციები უნდა დაუწესდეს, მათ შორის, ფინანსური და ეკონომიკური.

***– შესაძლოა, საქართველოს მოსახლეობისთვის უცნობია მთავრობის გადაწყვეტილებები, როგორ უნდა ვიმოქმედოთ ექსტრემალურ ვითარებაში, თუ დაიწყება მასშტაბური სამხედრო ოპერაციები, რუსეთი ისარგებლებს მომენტით და დადგება საქართველოსა და თურქეთის საზღვართან. თუ ვართ მზად ასეთი სცენარის განვითარებისთვის?***

– რუსეთთან მიმართებაში ჩვენმა მთავრობამ რიტორიკა შეარბილა, მაგრამ ჩვენი პოზიციები უცვლელი დარჩა. უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით მოხდა საქართველოს პრობლემების აქტუალიზაციაც, დასავლეთი და რუსეთი რაღაც გადაწყვეტილებამდე უნდა მივიდნენ. არა მგონია, რომ ომი დაიწყოს მსოფლიოში, თუმცა ძალის დემონსტრირება რუსეთის მხრიდან ვაჭრობაა, რათა რაღაც მიზანს მიაღწიოს. ამ დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში მნიშვნელოვანია, რითი გამოვა საქართველო. არა მგონია, რუსეთს ეყოს რესურსები, რომ დიდხანს გააგრძელოს დაპირისპირება დასავლეთთან, ეს აუცილებლად რუსეთის მარცხით დასრულდება. ალბათ შედგება რაღაც შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთს შორის, რომ რუსეთმა დაიოკოს თავისი იმპერიული ამბიციები. ჩრდილში კი არ უნდა დავრჩეთ, არამედ უკრაინას მხარი უნდა დავუჭიროთ. არა მგონია, საქმე მივიდეს სამხედრო კონფლიქტამდე, რუსეთის ჯარი შემოვიდეს. ახლა რუსეთის ძალები ფოკუსირებულია ყირიმზე. ჩვენი აქტიურობა უფრო უნდა გამოვლინდეს პოლიტიკურად, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით.

***– რუსეთთან დაკავშირებით ახსენეთ მისი იმპერიული ამბიციები, რა გაქვთ მხედველობაში, ყირიმი უნდა დაუთმონ მას და ამით დააცხრონ მისი იმპერიული ზრახვები?***

– დასავლეთი ვერაფერს დაუთმობს რუსეთს, იმიტომ, რომ აქ საუბარია ცენტრალურ ევროპაში უზარმაზარი ქვეყნის – უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობაზე. უკრაინამ ყირიმი რომ დათმოს, ეს მსოფლიოში გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას, იმდენი პრეტენზიები ატყდება სახელმწიფოებს შორის ტერიტორიულ საკითხებზე, რომ წარმოუდგენელია ეს მშვიდობიანად დასრულდეს. გაერომ და მთელმა მსოფლიომ სცნო უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა. მისი გადახედვა წარმოუდგენელია. რუსეთის ეს ამბიციები ვერ დაკმაყოფილდება. რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენებაზე მუქარა არის სიტუაციის არევა მსოფლიოში, დაამტკიცოს, რომ სუპერსახელმწიფოა, რომ არ დაკარგოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე. დასათმობი დასავლეთს არაფერი აქვს.

***– უკრაინა თუ გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ყირიმს ან თუ დამარცხდება, ჩვენ ორივე შემთხვევაში ხურდაში მოვყვებით?***

– თუ მოიგო ეს დაპირისპირება რუსეთმა, რაც გამორიცხულია, იმას ნიშნავს, რომ დანარჩენ ქვეყნებსაც გადაყლაპავს, თუ უკრაინა მოინელა. ეს ვერ მოხდება, ჩვენ კარგი შანსი გვიჩნდება, რომ ტერიტორიული მთლიანობა დავიცვათ.

***– ვრცელდება ინფორმაციები, რომ რუსეთის საფონდო ბირჟაზე მძიმე ვითარებაა, რუბლის კურსი ეცემა და გაზპრომის აქციებიც ეცემა, ეს ჯერ კიდევ იმ დროს, რომ დასავლეთს არ დაუწყია სანქციების ამოქმედება რუსეთის მიმართ და მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სანქციების ამოქმედების შემთხვევაში რუსეთის ეკონომიკის ცაზე შავი ღრუბლები შეიყრება, რაც ძალიან კარგია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რუსეთის საფონდო ბირჟაზე აქციების ფასი მკვეთრად დაეცა და ათ მილიარდზე მეტი იზარალა, ინვესტიციები შეიზღუდება რუსეთში, ეს ხომ ნდობასა და სტაბილურობაზეა დამოკიდებული. როცა ომის ზღვარზეა და ასეთ არაცივილიზებულ პოლიტიკას მიმართავს, გასაგებია, რომ აქციონერებს ეშინიათ, დაკარგონ კაპიტალი. რუსეთმა უზარმაზარი ზარალი მიიღო, პანიკაა საფონდო ბირჟებზე. უფრო დიდ ზარალს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი ეკონომიკურ სანქციებს შემოიღებს. ეს კიდევ უფრო ძლიერი იარაღია, ვიდრე სამხედრო დაპირისპირება. რუსეთის ეკონომიკა ასეთ წნეხს ვერ გაუძლებს.

# ხელოვანებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს

ეკა ირემაშვილი

ქართველმა ხელოვანებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს. მთავრობის კანცელარიასთან შეიკრიბნენ ის ადამიანები, რომლებიც კულტურის სამინისტროში არსებულ განუკითხაობას აპროტესტებენ. მათ აქციაზე გამოფინეს ის ტრანსპარანტებიც, რომლებზეც მათი მოთხოვნებია ასახული: „გამოიძიოს პროკურატურამ კინემატოგრაფიული ეროვნული ცენტრის და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კრიმინალური ფაქტები!", „გადავარჩინოთ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი", „მხარდაჭერა პრემიერს და შეურიგებელი პროტესტი დღესაც თანამდებობებზე მოთარეშე ნაცბანდას", „კინოცენტრი ნანა ჯანელიძის გარეშე", „თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი გოგი მარგველაშვილის გარეშე", „წადით!", „სასწრაფოდ გადადგეს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი", „ქართული კინო და თეატრი ძალადობის გარეშე", „ქართულ კულტურაში პროფესიონალების დაბრუნების დროა", „გათავისუფლდეს ქართული კულტურა ნაცების და ქაჯების შემოსევებისგან".



საპროტესტო აქციები თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა მარინა მიქაუტაძემ მხარდამჭერებთან ერთად გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე დააანონსა. მისი თქმით, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორად მესამე ვადით გოგი მარგველაშვილის არჩევა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი სექტორის წარმომადგენლის განმარტებით, უნივერსიტეტში არაერთი დარღვევაა:

– 4 ათეულ წელზე მეტი ვსწავლობდი და ვმუშაობდი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, რომელსაც ჰქონდა შესანიშნავი სამეცნიერო კვლევითი სექტორი, რომელიც შემდეგ ცენტრად გადაკეთდა. ის ძალიან მრავალპროფილური იყო, ის მუსიკოსებს, ქორეოგრაფებს, ფილოსოფოსებს და ბევრი პროფესიის ადამიანს, გარდა თეატრისა და კინოს წარმომადგენლებისა, იზიდავდა და აკეთებდა შესანიშნავ კომპლექსურ სამეცნიერო შრომებს. 9 წლის განმავლობაში, რაც გოგი მარგველაშვილმა გააკეთა, პირველი ყველაზე სასახელო ნაბიჯი იყო ამ ცენტრის დახურვა. ის ესტუმრა სექტორს, შეაფასა მისი მუშაობა ათ წუთში, რა ბევრი ხართ, რამდენი მუშაობს სამეცნიერო სექტორშიო და ნელნელა დაიწყო მისი დახურვა. სამეცნიერო კვლევითი სექტორის 33-კაციანი ჯგუფი გადაიქცა 9-კაციან ჯგუფად და მის ბაზაზე გაიხსნა ენციკლოპედიის ჯგუფი, რომელსაც ქართულ თეატრის ენციკლოპედია უნდა გამოეშვა, პირველი ტომი. 3 წელი ვიმუშავეთ პირველი ტომის მასალებზე და ამის შემდეგ შეგვაფასა როგორც უხარისხო პედაგოგები, არ ვიცი, რაში მდგომარეობდა უხარისხობა. ერთ თვეში პირველი ტომი უნდა გამოსულიყო ენციკლოპედიის, მაგრამ ის დღემდე არ არის გამოსული. დღევანდელი სექტორის რაოდენობა შემოფარგლულია 4 ადამიანით და ერთი ხელმძღვანელით. ენციკლოპედიის ჯგუფი გაიხსნა უკანონოდ და პედაგოგები, პროფესორები, გაფორმდნენ როგორც დამხმარე ადამიანები, როგორც დამლაგებლები. ესეც დარღვევაა. სამეცნიერო მუშაობა ჩაშლილია და ასევე ჩაშლილია სასწავლო მუშაობის ძალიან ბევრი ასპექტი, თუნდაც იმიტომ რომ კონკურსები, რაც აქამდე ჩატარდა თეატრალურ უნივერსიტეტში, იყო უკანონო და გაყალბებული. ამ კონკურსებში დარღვეული იყო განათლების კანონის 34-ე და 35-ე მუხლები, რის საფუძველზეც თავისუფლად შეიძლებოდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ვარ ჯგუფის წევრი და ჯგუფთან ერთად ვმოქმედებდი. პროკურატურაში ვიჩივლეთ, თუმცა შეიქმნა მოჯადოებული წრე, ყველგან გაგზავნილი წერილები უბრუნდებოდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს და პასუხს გვცემდა რექტორი. ვითხოვთ, ჩაერთონ ის ადამიანები ამ საქმეში, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხში გარკვევა და სიმართლის მხარეზე დადგნენ.

ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის წარმომადგენელმა ალექსანდრე კობაიძემ განაცხადა:

– ჩვენ ამ პროცესებში კარგა ხანია ჩართული ვართ, კონკრეტულად კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებით ერთ დავას სასამართლოში ვაწარმოებთ, რაც არის გია ჭუბაბრიასთვის ემირატუსის სტატუსის მინიჭება. ჩვენ ვესწრებოდით იმ არჩევნებს, რომელზეც მარინა მიქაუტაძემ ისაუბრა, იქ არაფერი პროცესუალურად მნიშვნელოვანი არ მომხდარა, ყურადღება გასამახვილებელია იმ ფაქტებზე, რაზეც ქალბატონი მარინა საუბრობს. ის ადამიანები, ვინც აკადემიურ საბჭოს წარმოადგენენ, შესაბამისი უფლებამოსილება მათ არ გააჩნიათ, ამაზე აუცილებელია სამართლებრივი დავა დაიწყოს და ლეგიტიმაციის საკითხი დადგეს დღის წესრიგში, თუ რამდენად კანონიერად ჩატარდა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში წლევანდელი არჩევნები. აღნიშნული არჩევნებიდან გამოიკვეთა, რომ იქ არაფერი არ არის 9 წლის განმავლობაში შეცვლილი და ის გარემოცვა, ვინც იქ იმყოფება, აპირებს გააგრძელოს ბატონობა. ჩვენი მიზანია განათლების სფეროში, კულტურის სფეროში რაც შეიძლება ტენდენციური გახდეს ის, რომ რეფორმები გატარდეს. ყველანაირად გვერდში დავუდგებით ამ ჯგუფს, რომელიც პროფესორებისგან შემდგარი ჯგუფია. ისინი აპირებენ სამართლიანობის მიღწევისთვის ყველა ღონე იხმარონ, რათა ის ადამიანები, ვინც გასვრილი არიან სისხლის სამართლის დანაშაულებშიც კი, ამხილონ. სამართლებრივი თუ ნებისმიერი დავა რაც იქნება, ამ ადამიანებს ჩვენ მხარს დავუჭერთ. იმის იმედი გვაქვს, რომ შედეგს მივაღწევთ და ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში აღარ იქნებიან ისეთი ადამიანები, როგორიც არის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენ ვაპირებთ, უფრო მძაფრად გავაგრძელოთ ბრძოლა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სპექტრიც იშლება. მანანა ბერიკაშვილთან დაკავშირებით არსებობს კითხვები და ამისთვისაც მზად ვართ.

**მარინე მიქაუტაძე:**

– 2014 წლის 17 თებერვალს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მესამე ვადით გაიყვანა რექტორად გოგი მარგველაშვილი, რომელიც მე-9 წელია უნივერსიტეტის რექტორია და მისი გაყვანა მე-3 ვადით კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. გარდა ამისა, პროკურატურაში არაერთი სისხლის სამართლის საქმეა წარმოებაში მიღებული, ზოგიერთზე გამოძიება იყო დაწყებული ჯერ კიდევ 2010 წლიდან, საქმე სისხლის სამართლის მუხლით არის აღძრული და ნომერი აქვს მინიჭებული. 2013 წლის იანვრიდან საქმე შევიდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ასევე პროკურატურაში დამატებით, რომლებშიც გოგი მარგველაშვილის ბრალეულობა იკვეთება და ეს საქმეები მისი ლობისტების მხრიდან იბლოკება. მითვისებული ხელფასები, გადასახადების დამალვა, კორუფციული გარიგებები, დოკუმენტაციებისა და დიპლომების გაყალბება, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა, სხვადასხვა საორგანიზაციო დარღვევები და ა.შ. ფაქტები დევს პროკურატურაში და ჩვენც ხელზე გვაქვს. ეს ყველაფერი ჩადენილია გოგი მარგველაშვილის 9-წლიანი რექტორობის პერიოდში და მისი პასუხისმგებლობით. ამ საქმეებსა და მის პერსონას ლობირებენ კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და პარლამენტარი, რეჟისორი და პედაგოგი ნუკრი ქანთარია. 2012 წლის პირველი ოქტომბერი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მონაპო-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# 2014 წელი — რუბიკონი საქართველოსთვის

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ლების საგარეო პოლიტიკას, რომელშიც ადგილი არაა სააკაშილის პერიოდისთვის დამახასიათებელი იმპულსურობის, ეპატაჟისა და სახიფათო ავანტიურებისთვის, რომლებმაც აშშ-ც და ევროპაც არაერთხელ ჩააყენეს რთულ მდგომარეობაში.

გამარჯვებულმა კოალიციამ მოახერხა ქვეყანაში რევანშისტული განწობების დაძლევა და მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში დარჩა, რასაც მოჰყვა ადეკვატური რეაქცია დასავლეთისგან. საგრძნობლად დაჩქარდა მოლაპარაკებები საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, საქართველომ სერიოზულად გაზარდა ნატოს პარტნიორი ქვეყნის იმიჯიც და ეს არ მომხდარა რუსეთთან კონფრონტაციის ხარჯზე. ოფიციალური თბილისი მაქსიმალურად არიდებს თავს რუსეთთან კონფრონტაციას, რის შედეგადაც რუსეთმა უკვე მოუხსნა ემბარგო ქართულ პროდუქციას. ამ თანმიმდევრული, ზომიერი და გათვლილი პოლიტიკის შედეგად ღარიბაშვილის მთავრობამ მსოფლიოში დაიმკვიდრა სერიოზული, გაწონასწორებული, ადეკვატური და სანდო პარტნიორის იმიჯი. შესაბამისად, აშშ-ს აქვს საშუალება მოახდინოს საქართველოს ნატოში გაწევრიანების ფორსირების არგუმენტიც და ევროკავშრში ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზეზებიც. რასაკვირველია, უმთავრესი მიზანი აშშ-სთვის არის საქართველოს და შესაბამისად საკუთარი ინტერესების დაცვა რუსეთისგან. და ჩნდება კითხვა – ემთხვევა თუ არა აშშ-ს ინტერესები საქართველოს ინტერესებს. ემთხვევა!

თავი რომ დავანებით საქართველოს, როგორც ძირძველ ევროპულ სახელმწიფოს, რომლისთვისაც ევროპული ცივილიზაცია ახლობელია და ა.შ. საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე რეალურად არ გააჩნია სხვა ალტერნატივა გარდა ევროკავშირთან დაახლოებისა და აშშ-სთან თანამშრომლობისა. შესაძლოა, აშშ როგორც სუპერსახელმწიფო არაფერს აკეთებს, თუ ეს მის ინტერესებში არ შედის, მაგრამ ასევე იქცევა ყველა სახელმწიფო, არა მარტო ძლიერი ქვეყნები. ეს არის მსოფლიო რეალობა და საქართველომაც ამ რელობის მიხედვით უნდა იმოქმედოს და ჰქონდეს საკუთარი ინტერესები. დღეს საქართველოს ინტერესია როგორც მინიმუმ შეინარჩუნოს არსებული ვითარება და ტერიტორიები და გაზარდოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების ასევე ეკონომიკური განვითარების შანსები. რუსეთთან ამ ამოცანების გადაწყვეტის შანსები განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ფონზე ნულამდეა დასული. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რუსეთი გადაიქცა ჩამოყალიბებულ მარგინალ სუპერსახელმწიფოდ, რომელიც არ სცემს პატივს არა მარტო საქართველოს, არამედ არცერთი ქვეყნის ტერიტორიებსა და სუვერენიტეტებს და ძალის მეშვეობით ამყარებს მისთვის საჭირო წერსრიგს.

ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთმა დათმოს უკრაინისგან მიტაცებული მიწები. ბევრად დიდი ალბათობაა, რომ კრემლი მოახერხებს უკრაინაში შექმას იგივე ვითარება, რაც შექმნა საქართველოში. ანუ ყირიმისგან ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ფსევდოსახელმწიფო, რომელსაც რუსეთის გარდა არავინ სცნობს, ხოლო აღმოსავლეთ უკრაინაში ჩამოაყალიბებს პრორუსულ რეჟიმს, რომელიც რეალურად არ დაემორჩილება კიევს. საბოლოო ჯამში კრემლიც გაიმარჯვებს, რადგან რეალურ კონტროლს განახორციელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ევროკავშირიც თავს გაიმართლებს, რომ არ სცნობს რუსეთის მიერ შექმნილ რეალობას, თუმცა ეს რეალობა იარსებებს. არც ევროკავშირი და არც აშშ და არც მსოფლიო არ არის მზად იმისთვის, რომ ომი გამოუცხადოს რუსეთს, ამგვარმა ომმა შესაძლოა ბოლო მოუღოს მთელ მსოფლიოს. თუმცა ცივი ომი გარდაუვალია, ის უკვე დაწყებულია. საქართველოს აქვს ორი ალტერნატივა – ან დადგეს მსოფლიოს მთავარი მარგინალი ქვეყნის გვერდში და შევიდეს რუსეთის მიერ შეკოწიწებულ ალიანსში შემდგომი განადგურების ან ასიმილაციის პერსპექტივით, ან ჭკვიანური დიპლომატიით მოასწოროს და შევიდეს ევროკავშირში. დიდი განათლება და ანალიზი არაა საჭირო ლოგიკური პასუხისთვის. თუმცა ლოგიკის გარდა არსებობს სხვა რეალობაც. 1993 წლის შემდეგ 21 წელი გავიდა, 9 აპრილის ტრაგედიიდან კი 25. ამ პერიოდში საქართველოში გაიზარდა თაობა, რომლისთვისაც რუსეთი ასოცირებული საფრთხესთან. საქართველოს მოსახლეობის 40 წლამდე თაობის უდიდეს უმრავლესობაში რუსეთი ან მიუღებელია ან სრულიად უცხო. ამ ასაკობრივ კატეგორიაში ძალიან ცოტაა რუსული ენის მცოდნეთა რაოდენობაც, მაშინ როცა ინგლისური ენა ბევრად უფრო მიღებულია, ისევე როგორც ევროკავშირი და დასავლეთი ზოგადად. ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობაც პრემიერის, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახით ამ ახალ, პროდასავლურ ტალღას წარმოადგენს. ამ ჯგუფმა თავისი რისკის ფასად აირჩია რთული გზა და ნაჩვევი ძალაზე დამყარებული ხელისუფლება ჩაანაცვლა კანონზე დამყარებული ხელისუფლებით. შესაძლოა მოსახლეობის ნაწილში მმართველობის ახალი სტილი იწვევს ბუნებრივ უკმაყოფილებას, მაგრამ ეს გზა არის ცივილიზირებული გზა და განასხვავებს მას რუსეთის ან სააკაშვილის ხელისუფლების მმართველობის მარგინალური წესისგან. ამიტომ აქვს საქართველოს უდიდეს შანსი 2014 წელს მოასწროს და გადადგას უმთავრესი ნაბიჯები ევროკავშირში შესაასვლელად, რაშიც მის ინტერესებს ემთხვევა აშშ-ს ინტერესები. აშშ-ს სურს რუსეთის სამხრეთ საზღვრის დაცვა, საქართველოს კი სურს დაცვა რუსეთის არასტაბილური რეჟიმისგან. შესაძლოა ეს მომენტი ყველაზე მომგებიანი და მნიშვნელოვანი იყოს საქართველოსთვის, რადგან რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ მსოფლიო აუცილებლად შეიცვლება და პოლიტიკაც ბევრად გართულდება. საქართველოს ევროპული არჩევანი სწორი არჩევანია, მთავარია გააზრებული, ჭკვიანური და ოპერატიული მოქმედებებით თბილისმა, ბრიუსელმა და ვაშინგტონმა მოახერხონ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის დაჩქარება. რაც შეეხება მტლიანად მსოფლიოს მომავალს, მომავალ მსოფლიო მოწყობასა და ძალის პრიმატზე კანონების გამარჯვებას, ამ პროცესებს შესაძლოა წლები დასჭირდეს



**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ, შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს:**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე: GE95LB0711154286819 40**

**☎ 577-544-222, 598-204-570**

## განცხადებები

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# ალექსანდრე ჩივაძე: „ეროვნულ ნაკრებს შევსებას ვაძლევთ“

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გადასვლისთანავე, ნაკრების თავკაცმა — ალექსანდრე ჩივაძემ პრესკონფერენცია გამართა. მედიის წარმომადგენლებმა თავი სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ მოიყარეს.**

**ალექსანდრე ჩივაძე:**

— ჯგუფში ორი თამაში დაგვრჩა — შინ ლუქსემბურგთან და სექტემბერში სტუმრად ჰოლანდიასთან. საინტერესო ნაკრები გვყავდა. სამწუხაროა, რომ დასანანი ქულები დავკარგეთ და ჯგუფიდან გასვლის შანსი ვერ შევინარჩუნეთ. ახლა, ჩვენი მიზანია, მესამე ადგილზე დავრჩეთ. ამისთვის კი, დარჩენილ შეხვედრებში დადებითი შედეგების მოპოვებაა საჭირო. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ჯგუფში ისეთი ადგილი უნდა დაგვეკავებინა, რომელიც პლეი ოფში მოხვედრის საშუალებას მოგვცემდა. ლუქსემბურგში პირველი თამაშის მოგების შემდეგ, სლოვაკეთში წასაგები არ გვქონდა. ჰოლანდიასთან უხეში შეცდომები დავუშვით და კარგად იცით, თამაში რა ანგარიშითაც დასრულდა. თუმცა, გუნდმა მოახერხა და ორ დღეში შოტლანდიას მოვუგეთ. ეს გუნდში არსებულ ატმოსფეროზე მეტყველებს და ფეხბურთელები დავარწმუნეთ, რომ შოტლანდიასთან გამარჯვება შეიძლებოდა. ამის შემდეგ, შოტლანდიასთან სტუმრად გოლი თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გავუშვით. ამის მიუხედავად, ქვილითაიას გოლის გატანა შეეძლო. ბოლო თამაში გორში სლოვაკეთთან გვქონდა. მატჩს 1:0 ვიგებდით და ინდივიდუალური შეცდომების გამო წავაგეთ. მსაჯობაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ იმ მატჩში მსაჯს პენალტის დანიშვნა შეეძლო.

ახალგაზრდულ ნაკრებს შესარჩევ ციკლში თავისი ამოცანა ჰქონდა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ პირველი ნაკრებისთვის შევსება მიგვეცა. ამ ეტაპზე ჩვენი გუნდიდან პირველ ნაკრებს 7 კანდიდატი ჰყავს. მომავალი წლიდან, ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში უკვე 1994 წელს დაბადებულ ფეხბურთელებს უწევთ და ამიტომ, შეკრებაზე 10 ასეთი მოთამაშე გამოვიძახეთ.

ილურიძის გამოძახება მინდოდა, რომელსაც, ჩემი აზრით, ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრება შესწევს, მაგრამ ტრავმა აქვს. ძალამიძე ჩამოვა, რომელსაც, ჩემი სუბიექტური აზრით, შეუძლია მომავალში ეროვნულ ნაკრებში თამაში. გამოვიძახეთ ტარყაშვილი ბელგიის „ანტვერპენიდან“, რომელიც სტაბილურად თამაშობს ბელგიის ჩემპიონატში. ასევე, არაბული, რომელიც 19-წლამდელთა ნაკრებში ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო. მათ გარდა, თავდასხმაში ფანცულაია და ზივზივაძე გვყავს. გვინდოდა 95-წლიანების — პაპუნაშვილის, ჯიქიას, ცინცაძის გამოძახებაც, მაგრამ ამ დღეებში ვასიკო მაისურაძის 19-წლამდელებს ორი ამხანაგური მატჩი აქვთ თურქეთში და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ეს ბიჭები ამხანაგურ თამაშებს ითამაშებენ, რადგან სულ მალე ელიტრაუნდი ელოდებათ.

***— ადრეც და ახლაც უარს ამბობთ კუხიანიძის გამოძახებაზე. რა არის მისი იგნორირების მიზეზი?***

— კუხიანიძე ადრე მყავდა გამოძახებული. ახლა აქცენტს 1994 წელს დაბადებულ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ.

***— თუმცა, კვეკვესკირი ნაკრებში არის.***

— სულ პატარებს ხომ არ ვათამაშებთ? მით უმეტეს, სოლომონ კვერკველია პირველ ნაკრებში მიიწვიეს. კუხიანიძე საინტერესო ფეხბურთელია და მომავალში წარმატებას ვუსურვებ. ერთი არგამოძახებით არაფერი წყდება.

***— ლუქსემბურგი რა დონის გუნდია?***

— ევროპაში უკვე თითქმის ყველა გუნდი განსწავლულია. დღეს, ფეხბურთელებს ვაჩვენეთ ლუქსემბურგი-ჰოლანდიის მატჩში, რომელიც ჰოლანდიელებმა 1:0 მოიგეს. გუნდს, რომელიც ყოველთვის მეორე ნომრად თამაშობს, დროზე თუ არ გაუტანე, შემდეგ გატანა ძნელია.

***— ახალი ფეხბურთელების გამოძახების შემდეგ, გუნდის სათამაშო ტაქტიკა შეიცვლება?***

— მე უპირატესობას შემოქმედებით ფეხბურთს ვანიჭებ. ჯგუფში მე-3 ადგილზე ვართ და კარგი იქნება თუ ამ ადგილზე დავრჩებით. აუცილებლად მოსაგებად ვითამაშებთ.

***— შემადგენლობის ცვლილების მიუხედავად, მაინც შედეგზე იქნებით ორიენტირებული?***

— ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის საშუალებას მივცემთ, მაგრამ შედეგზე ვითამაშებთ. ჯგუფში მე-3 ადგილი უნდა დავიკავოთ.

***— შესარჩევი ციკლის დასრულებამდე ორი თამაში რჩება და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან თქვენს მომავალთან დაკავშირებით საუბარი ხომ არ გქონიათ?***

— ციკლის დასრულების შემდეგ დავჯდებით და ვისაუბრებთ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ლუქსემბურგის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 5 მარტს გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ჩატარდება და 14 საათზე დაიწყება. თამაშზე დასწრება უფასოა.

# რამაზ შენგელია: „წიგნი ხალხს, მაისური — მუზეუმს“

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წიგნის — „რამაზ შენგელია“ პრეზენტაციას უმასპინძლა. სახელგანთქმული ქართველი თავდამსხმელი 2012 წლის 21 ივნისს, 55 წლისა გარდაიცვალა.

**ლევან ყიფიანი:**

— რამაზ შენგელია ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი თავდამსხმელი იყო. მე წილად მხვდა ბედნიერება, პირადად გამეცნო ბატონი რამაზი და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არანაკლებ ბრწყინვალე ადამიანი იყო მწვანე მინდორს მიღმა. მიხარია, რომ ბატონი რამაზისადმი მიძღვნილი წიგნი ასეთი კარგი გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ის ყველა გულშემატკივრის ბიბლიოთეკაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს.

— რამდენადაც აგრესიული და შემტევი იყო მოედანზე, იმდენად თავმდაბალი გახლდათ მინდორს მიღმა. მის მხარდამხარ თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო, — ეს სიტყვები ვლადიმერ გუცაევს ეკუთვნის, რომელიც წლების მანძილზე თამაშობდა რამაზ შენგელიას მხარდამხარ.

— რამაზ შენგელია შესანიშნავი ადამიანი გახლდათ. ამ წიგნზე მუშაობა მთელი გუნდისთვის უდიდესი სიამოვნება იყო, — განაცხადა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა გია გორგოძემ.

სახელოვანი ფორვარდი თბილისის „დინამოს“ ვეტერანებმა ოთარ გაბელიამ, თენგიზ სულაქველიძემ, ნოდარ ხიზანიშვილმა, ვახტანგ ქორიძემ, სერგო კუტივაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ექს-პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, ოჯახის წევრებმა, ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა გაიხსენეს.

წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა წლებში ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, ინტერვიუები და ჩანახატები. წიგნი უხვადაა ილუსტრირებული, მათ შორის ფეხბურთელის პირად არქივში დაცული ფოტოებით. წიგნის შემდგენელია სპორტული ჟურნალისტი ლაშა გოდუაძე.

პრეზენტაციის შემდეგ სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის მეუღლემ, ქალბატონმა ლია შენგელიამ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში განთავსებულ ქართული სპორტის მუზეუმს რამაზ შენგელიას მაისური, ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის ოქროს მედალი, ფოტოალბომები და არქივი აჩუქა.

— რამაზის ოჯახისთვის მისი ყველა პრიზი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა ვფიქრობ, ქართული სპორტის მუზეუმი ის ადგილია, სადაც ასეთი ნივთები უნდა ინახებოდეს. დარწმუნებული ვარ, რამაზიც ამავეს გააკეთებდა, — განაცხადა ქალბატონმა ლიამ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# უცნაური ფორმა და ნაცნობი სიტუაცია

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ლიხტენშტეინთან მატჩის წინ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც პარალელურად ნაკრების ახალი სათამაშო ფორმის პრეზენტაციაც მოხდა.

„ადიდასის“ ფორმა ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე ეცმევა. ახალ ფორმასთან დაკავშირებით გულშემატკივარმა სხვადასხვა რეაქცია გამოავლინა. ძირითადად მათი აზრი უარყოფითია, ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ მაისურის ფერთან დაკავშირებით. რომელიც უფრო რუსეთისა და ფინეთის ნაკრების ფერებშია გადაწყვეტილი. გარდა ამისა, მაისურზე დატანებულია საქართველოს გერბი. მსგავსი ფაქტი მხოლოდ ორ ნაკრებზე — რუსეთისა და სომხეთის ნაკრებებზე გვახსენდება.

სწორედ ამ საკითხს გამოეხმაურა სფფ-ს მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი თათა ბურდული, რომელმაც ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია დააფიქსირა.

**თათა ბურდული:**

— როგორც იცით, 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი უეფას მიერ ცენტრალიზებული მარკეტინგული სისტემით ჩატარდება, რაც ერთიან მარკეტინგულ სისტემაში ჩართული ფედერაციების მიერ შესაბამისი მოთხოვნების შესრულებას გულისხმობს. უეფასა და „ადიდასის“ თანამშრომლობით მოხდა ერთიანი კატალოგის შექმნა და შესაბამისი ფორმის კონკრეტული ფედერაციებისათვის შეთავაზება. ასე მოხდა სფფ-ის შემთხვევაშიც. ცენტრალიზებულ მარკეტინგულ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, პარალელურად 2013 წლის თებერვალში დაიწყო სფფ-ის რებრენდინგის პროცესიც, რომელიც ამ დროისათვის დასკვნით ეტაპზეა და ამ მნიშვნელოვან პროექტზე უეფასა და საერთაშორისო დიზაინერულ კომპანიასთან ერთად ერთი წელია ვმუშაობთ. რებრენდინგის პროცესი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის დასრულდება. სწორედ ამიტომ, პროექტის დასრულებამდე და ძველიდან ახალ სიმბოლიკაზე გადასვლამდე, მივიღეთ გადაწყვეტილება ნაკრების სათამაშო ფორმისთვის გვესარგებლა სახელმწიფო გერბით. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის დაწყებამდე ნაკრების მაისურზე საქართველოს სახელმწიფო გერბი იქნება გამოსახული. მისი ზომა კი, შესაბამისი საერთაშორისო რეგულაციით არის განსაზღვრული და იგი სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. რაც შეეხება სათამაშო ფორმის ფერს: ნაკრებს აქვს ორი ფერის მაისური — წითელი თეთრი ზოლებით და მეორე — თეთრი ცისფერი ზოლებით. სწორედ თეთრი ფერის მაისურით ითამაშებს 5 მარტს ჩვენი გუნდი პირველ მატჩს. რაც შეეხება ცისფერ ფერს, იგი მიმდინარე რებრენდინგის ერთ-ერთი მიმართულებაა და ახალ სიმბოლიკაში აისახება.



მიუხედავად ფედერაციის მიერ გამართლებული ვერსიისა, გულშემატკივართა და ჟურნალისტთა დიდი ნაწილი ფორმის ფერებით და დიზაინით უკმაყოფილოა.

ქეცბაიამ გაიხუმრა, ნაკრებში თამაში სწორედ „ადიდასით“ დავიწყე და ამითვე მომიწევს ნაკრებში მწვრთნელობის დამთავრებაო. როდის და რა შედეგით მოუწევს მწვრთნელობის დამთავრება ნაკრებში, ამას პასუხს მომავალი შესარჩევი ეტაპი გასცემს — სავარაუდოდ, ქეცბაია კონტრაქტს აღარ გაახანგრძლივებს შედეგის მიუხედავად.

ახლა პრესკონფერენცია: თემურ ქეცბაიასთან ერთად, ჟურნალისტებს არნემის „ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშიაც შეხვდა. ქეცბაიამ არა მარტო ლიხტენშტაინთან გასამართ მატჩზე, არამედ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

**თემურ ქეცბაია:**

— ოფიციალურ მატჩებამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ წლის პირველი ამხანაგური თამაში გველის და კარგია, რომ ბევრ ფეხბურთელს ვნახავთ საქმეში, მათ შორის, ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებიც პირველად არიან გამოძახებულნი. როგორც ხშირად ხდება, ყველა გამოძახებული ფეხბურთელი ვერც ამჯერად ახერხებს ჩამოსვლას, თუმცა ეს პრობლემა პირველად არ დამდგარა. შესარჩევ ჯგუფს რაც შეეხება, გერმანია უდავო ფავორიტია, 4 გუნდი კი ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძოლებს. იმედია, ჩვენც ვიქნებით მათ შორის.

***— ლიხტენშტაინი სუსტი ნაკრებია და შესარჩევში მათზე გაცილებით ძლიერი გუნდები შეგხვდებიან. რამდენად სასარგებლო იქნება ეს ამხანაგური შეხვედრა?***

— ჩვენი სურვილი ერთია, შესაძლებლობა კი მეორე. ჩვენ კი გვსურს, რომ კარგი გუნდები აქ ჩამოვიყვანოთ, მაგრამ მათაც უნდა სურდეთ. ზოგს ჰგონია, რომ ვისაც დაპატიჟებ, ჩამოვა. ასე არაა. მუნდიალამდე ცოტა დროა დარჩენილი და შემიძლია გითხრათ, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ ამხანაგურ თამაშს აუცილებლად ვითამაშებთ. ამ დროისთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჩვენი მეტოქის შესახებ მოგვიანებით შეიტყობთ. ძალიან გვინდა, ჩვენს მოედანზე რაც შეიძლება მეტი თამაში ვითამაშოთ, მაგრამ ყველას უნდა ან საკუთარ მოედანზე გეთამაშოს, ან — ნეიტრალურზე.

***— შესარჩევში ნაკრების კაპიტანი ვინ იქნება?***

— ამას თამაშზე შეიტყობთ. ახლა ვერაფერს გეტყვით.

***— გქონდათ პრობლემები ფეხბურთელებთან, თუმცა თავადვე აღნიშნეთ, საქართველოს ნაკრებს დასაკარგი ფეხბურთელები არ ჰყავსო. ანუ, იმ მოთამაშეებს, რომლებიც ბოლოს ველარ ხვდებოდნენ ნაკრებში, დააბრუნებთ?***

— მე არავისთან არ მქონია პრობლემა. მათ ჰქონდათ ჩემთან. მეორე საკითხია, თუ კაცს არ უნდა ნაკრებში თამაში, ძალით ვერ ვათამაშებთ. ამ 4 წლის განმავლობაში სულ ვცდილობდი, ფეხბურთელებს მაქსიმალურად გამოევლინათ თავისი შესაძლებლობები. ზოგიერთმა შეატყო, რომ ერთდროულად კლუბსა და ნაკრებში თამაში უკვე არ შეეძლო, მათი აზრიც გასაგებია.

***— უპირატესობას დაცვით ფეხბურთს ანიჭებთ, თუმცა შესარჩევის საშინაო მატჩებში უშუალო კონკურენტებთან მაინც მოგიწევთ შეტევაზე წასვლა და საამისოდ მზად იქნება ნაკრები? აქვს ნაკრებს ტაქტიკის შეცვლის პოტენციალი?***

— ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა გუნდი, რომელიც გადის მოედანზე და იბრძვის, ბოლომდე იხარჯება. საქართველო 2-3 კაცის გუნდი აღარაა და აქ ყველას დიდი როლი აკისრია. ჩვენ მოვიწვიეთ ახალგაზრდები და იმედია, კიდევ გვექნება საფუძველი სხვა ახალგაზრდების გამოძახებისა. ჩვენ უფრო დინჯად, გააზრებულად უნდა ვითამაშოთ. 5 თავდამსხმელით თამაშმა კატასტროფული შედეგები მოგვიტანა.

***— განაცხადეთ, რომ კალენდრით კმაყოფილი ხართ, თუმცა ოქტომბერში შოტლანდიასთან გასვლის შემდეგ, 3 დღეში გიბრალტართან გვექნება სტუმრად თამაში. 3-დღიანი ინტერვალი და ევროპის ერთი ბოლოდან მეორეში მგზავრობა სირთულეს არ შექმნის?***

— სიმართლე გითხრათ, ამაზე უკეთეს კალენდარს ვერ ვინატრებდი. ვიწყებთ ირლანდიასთან საშინაო მატჩით. პირველი შეხვედრა შინ რომ გვექნება, ეს ძალიან კარგია. ფაქტობრივად, 6-ქულიანი მატჩი იქნება. რაც შეეხება ოქტომბრის მატჩებს, გიბრალტარსაც ჩვენსავით უწევს. ჯერ გასვლა აქვს და 3 დღეში ჩვენ გვიმასპინძლებენ.

***— ჯგუფში გვყავს ირლანდია და შოტლანდია — თქვენ ბრიტანული ყაიდის ნაკრებებთან უფრო გსურდათ შეხვედრა თუ იმავე დონის, მაგრამ სხვა სტილის ნაკრებებთან?***

— ბრიტანულ გუნდებთან სხვა მიდგომა გვექნება, მათივე სტილიდან გამომდინარე აქცენტი ორთაბრძოლებსა და ძალისმიერ ფეხბურთზე გაკეთდება. როცა მოვედი, 2 წელი ნაკრებს არ ჰქონდა მოგებული. შეიცვალა სიტუაცია, ნაკრები ბრძოლისუნარიანი გახდა.

***— ნაკრებმა ესპანეთთან 0:1 წააგო, მაგრამ კარგი პრესა ჰქონდა. ასევე იყო საფრანგეთთან 0:0-ის შემდეგ. თუმცა, ბელარუსთან და ფინეთთან შეხვედრებში 12 შესაძლებლიდან მხოლოდ 4 ქულა ავიღეთ. ანუ, კონკურენტებთან გვიჭირდა. ფსიქოლოგიური მომენტიც ხომ არ არის?***

— უშუალო კონკურენტი ასევე ფრთხილად გეთამაშება. როგორც ჩვენ ვიყავით მათ მიმართ, ისინიც ასე იყვნენ ჩვენს წინააღმდეგ. სამწუხაროდ, გარეშე ფაქტორებიც ემატება: სამწუხაროდ, ისევ იმის გამეორება მიწევს, რომ ქართულ ფეხბურთში ძალიან მწირი რესურსია და წინსვლა თითქმის არ ხდება. ახალგაზრდა ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატს არ თამაშობენ, ევროპაში გაუთავებელ სინჯებზე დადიან და ეს ძალიან გვაზარალებს. ჩვენი ინიციატივა ალბათ გახსოვთ, რომ ქართულ კლუბებს ჩემპიონატის მატჩებში ორი 21-წლამდე ფეხბურთელი მაინც ჰყოლოდათ მოედანზე, მაგრამ სამწუხაროდ, არ გაითვალისწინეს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, უხეში შეცდომები რომ არა, ჩვენ წინა შესარჩევში მესამე მატჩშივე ვინაღდებდით მესამე ადგილს. ფინეთთან და ბელარუსთან გასვლებს ვგულისხმობ. დიახ, მესამე ადგილს ვინაღდებდით და მომდევნო შესარჩევში, მესამეადგილოსანი ფლეიოფში გადის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფინეთი ცუდი გუნდია და ბელარუსი არაფერს წარმოადგენს, ძალიან ცდება. ჩემი აზრით, მაშინდელი ჯგუფი არანაკლები იყო, ვიდრე ევრო-2016-ის შესარჩევისა. ამასთან, ზოგიერთმა თქვა, რა აზრი ჰქონდა, მეოთხეზე გავიდოდით თუ მეხუთეზეო. ეს არასერიოზულობაა. ვამბობ, რომ კმაყოფილი ვარ შედეგით იმასთან შედარებით, რა სიტუაციაც მანამდე იყო. 12 წლის განმავლობაში არ ვიყავით მეოთხეზე გასულები. დღეს შეფასება ძნელია, მაგრამ აი, როცა ნაკრებიდან წავალ, მერე რა შედეგები იქნება, იმის მიხედვით შეფასდეს ჩემი მუშაობა.

**გურამ კაშია:**

— ჯგუფს რაც შეეხება, ჩემი აზრით, მოწინააღმდეგეებიდან გამომდინარე, ჯგუფში ძალიან საინტერესო მატჩები გვექნება. მთავარ მწვრთნელს დავეთანხმები, რომ გერმანია უდავო ფავორიტია. დანარჩენებმა კი, მეორე-მესამე ადგილებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

***— ნაკრების ერთ-ერთი სტაჟიანი ფეხბურთელი ხართ და ალბათ, ახალგაზრდებსაც მისცემთ მაგალითს.***

— მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი გამოცდილება გუნდს და იმ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მოვახმარო, რომლებიც ნაკრებში მოდიან. ძალიან დიდი იმედი მაქვს ჩვენი გულშემატკივრების, მათი თანადგომის. ისინი ყოველთვის ძალიან გვეხმარებიან.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ზ.პაული-უნიონი | 2:1 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ლანსი-ტური | 2:2 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| პლატანიასი-იანინა | 1:2 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-სლოვაცკო | 2:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| პოდბესკიჟიე-პოგონი | 0:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-მემფისი | 104:110 |
| ბრუკლინი-ჩიკაგო | 96:80 |
| დეტროიტი-ნიუ იორკი | 96:85 |
| მაიამი-შარლოტი | 124:107 |
| მილუოკი-იუტა | 114:88 |

ზაზა ფაჩულია: 14 ქულა, 6 მოხსნა, 5 პასი

| | |
|---|---|
| დენვერი-მინესოტა | 128:132 |
| პორტლენდი-ლეიკერსი | 106:107 |
| საკრამენტო-ნიუ ორლეანი | 96:89 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-კოლამბუსი | 1:2 |
| დალასი-ბუფალო | 3:2 |
| მინესოტა-კალგარი | 3:2 |
| ლოს ანჯელესი-მონრეალი | 2:1 |

# გაეროს უშიშროების საბჭომ რუსეთის მოქმედება დაგმო

## დასავლეთის მხარდაჭერა უკრაინისადმი გაიზრდება, — აცხადებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი

— გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა ამჯერად რუსეთის თხოვნით შეიკრიბა. დღის წესრიგში უკრაინაში შექმნილი ვითარება იყო, — იტყობინება რადიო „თავისუფლება".

კრემლი ამ სხდომაზე დიდ იმედებს ამყარებდა. საერთაშორისო იზოლაციაში მოხვედრილი პუტინი ვითარების თავის სასარგებლოდ შემობრუნებას ლამობდა. მოსკოვის სქემა უცვლელი იყო: უკრაინაში გადატრიალება მოხდა, ახალი მთავრობა არალეგიტიმურია, ქვეყანაში ქაოსმა დაისადგურა. რუსულენოვან მოსახლეობას საფრთხე ემუქრება.

ვიქტორ იანუკოვიჩი იურიდიულად უკრაინის პრეზიდენტად რჩება, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ჩურკინმა, — მან დახმარებისათვის მოგვმართა და უკრაინაშიც ჯარი ამიტომ შევიყვანეთ.

### ევგენი მარჩუკი: „რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია განახორციელა"

სამწუხაროდ, რუსულმა აგრესიამ ბევრი უკრაინელი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი დააბნია. ახალი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი აშკარად შეშინებული იყო. ისეთი გამოცდილი ექსპერტიც კი, როგორიც ჩალიია, აცხადებდა:

— უკრაინა ახალ ფინეთად უნდა გადაიქცეს. პუტინს მკაფიოდ და გარკვევით უნდა განვუცხადოთ: არავითარ ნატოში ჩვენ არ შევალთ. რაც შეეხება შავი ზღვის ფლოტს, ის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან ეტაპობრივად უნდა გაიყვანოს.

ჩალიიმ ეს ტელევიზიით განაცხადა. თვით ტელეწამყვანიც კი მწარე ღიმილს ვერ იკავებდა. ჩალიის გვერდით მეორე რესპონდენტი, უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი ევგენი მარჩუკი იჯდა. მან თქვა:

— რუსეთმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია წამოიწყო. საქმე მარტოოდენ ყირიმში როდია. მოსკოვი მთელ უკრაინას ეპოტინება.

მარჩუკი მშვიდად, საქმიანად ლაპარაკობდა. ცხადი იყო, რომ ეს კაცი კარგი პროფესიონალი და ძლიერი ნებისყოფის პიროვნებაა. გენერალმა არსებული გეოპოლიტიკური ვითარების დაწვრილებითი ანალიზი გააკეთა, ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინა დასავლეთისაკენ მიისწრაფვის და მისი ნატოში გაწევრიანებაც გარდაუვალია.

— რუსეთიც ცდილობს, ე.წ. უსაფრთხოების სარტყელი შექმნას. საქართველოსთან მიმართებით ეს წარმატებით განხორციელდა. აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკები მხოლოდ რუსული ხიშტების დახმარებით შეიქმნა. ახლა უკრაინის ჯერია. თუკი რუსეთმა ყირიმის ოკუპაცია შეძლო, შემდეგ უკვე დნესტრისპირეთს გადასწვდება.

მარჩუკმა ხაზი გაუსვა იმას, რომ უახლოეს დღეებში უკრაინაში რუსული სპეცსამსახურების მკვეთრად გააქტიურებაა მოსალოდნელი.

—მზადდება ფართომასშტაბიანი სამხედრო-პოლიტიკური ოპერაცია და ის მხოლოდ ყირიმით არ შემოიფარგლება, — განაცხადა გენერალმა. მარჩუკის აზრით, ძირგამომთხრელი აქციები განხორციელდება ლუგანსკიდან უჟგოროდამდე.

გენერლის აზრით, აუცილებელია: 1) აღიკვეთოს ყველა პროვოკაცია; 2) უზრუნველყოფილ იქნეს დასავლეთის მხარდაჭერა ანუ ის, რომ თამაშში აშშ და დიდი ბრიტანეთი ჩაერთონ; 3) უკრაინის მოსახლეობა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ რეგიონებში ქუჩაში უნდა გამოვიდეს და რუსული აგრესია გააპროტესტოს.

— ახლა, როგორც არასოდეს, აუცილებელია კონსოლიდაცია, სამშობლოს გადასარჩენად ყველანი უნდა გავერთიანდეთ, — განაცხადა მარჩუკმა.

გენერალმა უკრაინულ არმიაში შექმნილი ვითარებაც მიმოიხილა.

— დღეს ჩვენი არმია მძიმე მდგომარეობაშია, — განაცხადა მან, — მიუხედავად ამისა, ბრძოლისუნარიანი ნაწილები საკმარისად მოიძებნება.

უშიშროების ყოფილმა შეფმა ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც არმია, ისე უკრაინელი ხალხი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას დაიცავს.

—ეს რუსეთ-უკრაინას შორის ომს ნიშნავს, — განაცხადა მარჩუკმა, — ამით ყველა დაზარალდება. მხედველობაში მაქვს როგორც რუსეთი, ასევე დასავლეთიც. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე უამრავი ატომური სადგურია.

— ჩვენმა მთავრობამ ნატოს სამხედრო დახმარებისათვის უნდა მიმართოს. მხოლოდ დასავლეთის აქტიური პოლიტიკაა გარანტი იმისა, რომ ომი არ იქნება, — განაცხადა მარჩუკმა.

### ჩაშლილი გეგმა

უკრაინელი სამხედროების შემართება მოსკოვისათვის მოულოდნელი იყო. არავინ მოელოდა იმას, რომ უკრაინის აღმოსავლეთი და სამხრეთი რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამოვიდოდა. მოსკოვმა არეულობის ინსპირირება მხოლოდ ხარკოვში, დონეცკსა და ლუგანსკში შეძლო. საამისოდ რუსეთიდან შეიყვანეს სპეცნაზი და დემონსტრანტები. ამის შემდეგ „მასობრივი საპროტესტო" აქციები გაიმართა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობამ ამას მხარი არ დაუჭირა. მათი ძირითადი ნაწილი პასიური იყო. ჩამოსულებს მხოლოდ მცირე ჯგუფი შეუერთდა.

— ხარკოვში, დონეცკში, ლუგანსკში გამართული მიტინგები მთლიანად რუსული სპეცსამსახურების მიერაა ინსპირირებული. მასში რსფსრ-დან გადმოსული მოქალაქეები და რუსი სამხედროები მონაწილეობდნენ. ფაქტობრივად, აქ ყირიმული სცენარი გამეორდა, — განაცხადა იულია ტიმოშენკომ.

დონეცკი, ლუგანსკი და ხარკოვი საზღვრისპირა რეგიონებია, ამიტომ შესაძლებელია როგორც სპეცნაზის, ასევე ავტობუსებით მოქალაქეთა დიდი რაოდენობის ჩაყვანა (საზღვარი რუსეთთან ხომ გამჭვირვალეა). დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, ნიკოლაევში თუ სხვაგან ამისი გაკეთება ვერ მოხერხდა. მართალია, ადგილობრივმა პრორუსულმა ძალებმა არეულობის მოწყობა ცადეს, მაგრამ მოსახლეობამ მათ საკადრისი პასუხი გასცა. ოდესაში პრორუსულმა ძალებმა მხოლოდ 3 000 ადამიანის გამოყვანა შეძლეს, უკრაინელმა ნაციონალისტებმა კი პასუხად 6 000 მოქალაქეს მოუყარეს თავი.

— ოდესაში არეულობის მოწყობისა და უკრაინის დროშის შეურაცხყოფის უფლებას არავის მივცემთ, — განაცხადა მემარჯვენე სექტორის ოდესის ფილიალის ხელმძღვანელმა.



პრორუსულ ძალებს საკადრისი პასუხი კიროვოგრადსა და ნიკოლაევშიც გასცეს. უკრაინელი პატრიოტების მოწოდებაზე ქუჩაში 8 000-მდე მოქალაქე გამოვიდა. „ჩვენ რუსულენოვნები ვართ, — აცხადებდნენ ისინი, — მაგრამ თავს უკრაინელებად აღვიქვამთ და უკრაინის ერთიანობას მხარს ვუჭერთ!" დემონსტრანტებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები წარწერით: „პუტინ, შენი დაცვა არ გვჭირდება!" და ა.შ.

— რუსულენოვანი მოსახლეობის აჯანყება, რომლის იმედიც პუტინს ჰქონდა, ჩაიშალა. უკრაინის ხელისუფლებამ აღმოსავლეთი და სამხრეთი რეგიონების უმეტესობაში სტაბილურობა შეინარჩუნა. ცხადლივ წარმოჩნდა, რომ კრემლის ბრალდება რუსულენოვანი მოსახლეობის შევიწროების შესახებ აბსოლუტური ცილისწამებაა, — განაცხადა რადიო „თავისუფლებისათვის" მიცემულ ინტერვიუში უკრაინის დაზვერვის ყოფილმა შეფმა მალომოჟმა.

რუსული აგრესიის წინააღმდეგ პროტესტი სუმსა და ჩერნიგოვშიც გამოთქვეს. სამხედრო კომისარიატებთან უზარმაზარი რიგები დადგა. ხალხი სამშობლოს დასაცავად მზად იყო.

— იარაღი მოგვეცით! — მოითხოვდნენ ისინი.

### გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა

ამრიგად, კრემლის თეზისი, „უკრაინელი რადიკალებისაგან რუსულენოვან მოსახლეობას ვიცავთო", გაბათილდა. მოსკოვი წარმოჩნდა აგრესორად, რომელიც თავისი იმპერიული ზრახვების განხორციელებას იარაღის მეშვეობით ლამობს. აშშ-სა და ევროპაში რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე ალაპარაკდნენ. ნატო კი ხმამაღლა აცხადებდა, უკრაინას განსაცდელში არ მივატოვებთო.

იზოლაციაში მოქცეულ რუსეთს სხვა გამოსავალი აღარ დარჩა და უკან დახევა დაიწყო, თუმცა მოსკოვი მარცხთან შეგუებას არ აპირებდა. რუსეთის თხოვნით გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვიეს. მასზე რუსეთის წარმომადგენელმა ჩურკინმა განაცხადა:

—უკრაინაში ჯარის შეყვანა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა გვთხოვა! ის ძალის გამოყენებით დაამხეს! იურიდიულად იანუკოვიჩი კვლავაც პრეზიდენტია!

ჩურკინმა ააფრიალა დოკუმენტი, რაც ადასტურებს, რომ ექსპრეზიდენტმა იანუკოვიჩმა რუსებს ჯარის შემოყვანის თხოვნით მიმართა. ჩურკინი კვლავ ჯიუტად ამტკიცებდა, კიევში ფაშისტური პუტჩი მოხდა, უკრაინაში ქაოსმა და ანარქიამ დაისადგურა, რუსული მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო.

— თუკი ამერიკისათვის სხვა ქვეყნებში ჯარების შეყვანა შეიძლება, ჩვენ რა დავაშავეთ? რეიგანმა თავის დროზე გრენადის ოკუპაცია მოახდინა, ამერიკამ ერაყსა და ავღანეთში ნამდვილი სასაკლაო მოაწყო და არაფერი. ჩვენ კი ჩვენს ძირძველ მიწა-წყალს ვიცავთ! როგორ ბედავთ და აგრესორებს გვიწოდებთ! — ჩურკინს აღშფოთებისაგან ხმა უკანკალებდა.

ჩურკინის შემდეგ სიტყვა გაეროში უკრაინის ელჩმა სერგეევმა აიღო. მან რუსი კოლეგის არგუმენტები ერთმანეთის მიყოლებით გააბათილა. სერგეევმა აღნიშნა, რომ იანუკოვიჩი ხელისუფლებას პარლამენტის დადგენილებით ჩამოაშორეს. ამას გარდა, აღნიშნა, რომ უკრაინაში არავითარი ფაშისტები არ არიან, არც რუსულენოვან მოქალაქეებს დევნის ვინმე. ამისი ნათელი დადასტურებაა ოდესაში, დნეპროპეტროვსკში, ნიკოლაევში გამართული მასობრივი პატრიოტული დემონსტრაციები.

— რაც შეეხება დონეცკს, ლუგანსკსა და ხარკოვს, იქ რუსული სპეცნაზი შევიდა. დემონსტრანტები რუსეთის ქალაქებიდან ჩამოიყვანეს. მოვლენებიც, ფაქტობრივად, ყირიმული სცენარით განვითარდა, — განაცხადა სერგეევმა.

უკრაინელ დიპლომატს მხარი ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. ყველაზე რადიკალური დიდი ბრიტანეთის ელჩის გამოსვლა იყო. მან რუსეთის მოქმედებას სრულმასშტაბიანი აგრესია უწოდა.

ჩურკინს მხარი არავინ დაუჭირა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება".

### პუტინი უკან იხევს?

დასავლეთის ერთსულოვანმა პოზიციამ, უკრაინელი ერის დარაზმულობამ, უკრაინული არმიის უნარმა, დაიცვას ქვეყნის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, აიძულა პუტინი, გარკვეულწილად უკან დაეხია. რუსეთის პრეზიდენტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ სამხედრო სწავლებები უკრაინის საზღვართან დამთავრებულია. ჯარისკაცებს ვუბრძანებ, თავიანთ ბაზებზე დაბრუნდნენო.

— ამ ეტაპზე უკრაინაში ჯარის შეყვანის აუცილებლობა არ არსებობს, — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

ამავე დროს, პუტინმა ჟურნალისტებთან საუბარში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ იანუკოვიჩს უკრაინის კანონიერ პრეზიდენტად მიიჩნევს.

— მას პოლიტიკური მომავალი არა აქვს, მაგრამ ყველაფერი კანონიერად უნდა მოხდეს. ხელისუფლების ძალით დამხობა დაუშვებელია! ჩვენ ჰუმანური ხალხი ვართ, ამიტომ იანუკოვიჩი შევიფარეთ. უკრაინელი ნაციონალისტები ხომ მის მოკვლას აპირებენ, — განაცხადა პუტინმა.

უკრაინის საზღვართან მობილიზებული რუსული ტექნიკა ნელნელა გააქვთ, მაგრამ უშუალოდ ყირიმში მყოფი სამხედროები ქუჩებს კვლავაც არ ტოვებენ. გრძელდება უკრაინული სამხედრო ბაზების ბლოკირება. ყველა სტრატეგიული ობიექტი კვლავაც რუსი სამხედროების ხელშია.

— პუტინი ხვდება, რომ ამ ეტაპზე ვერც ყირიმის, ვერც აღმოსავლეთი უკრაინის ოკუპაციას ვერ შეძლებს. ახლა რუსეთის პრეზიდენტი ცდილობს, ზავის მაქსიმალურად საპატიო პირობებს მიაღწიოს. ის შეეცდება, რომ ყირიმს მაქსიმალური ავტონომია მიეცეს. ასეთივე ავტონომია უნდა მიიღოს დონბასმაც. ამით უკრაინის ფედერალიზაცია მოხდება. კრემლსაც უკრაინაზე ზეწოლის მძლავრი ბერკეტი ექნება, რომელსაც უმალ აამოქმედებს, როგორც კი ოფიციალური კიევი ნატოში შესვლას ან ევროკავშირთან დაახლოებას დააპირებს, — თვლის ვიტალი პორტნიკოვი.

რუსი პოლიტოლოგი მარკოვი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე რუსეთი დაყაბულდება, რომ ყირიმი და დონბასი უკრაინის შემადგენლობაში დარჩეს.

— ეს რეგიონები უკრაინისათვის სამუდამო თავის ტკივილი იქნება, — ამბობს მარკოვი.

ამრიგად, მოსკოვი ზეწოლისა და შანტაჟის პოლიტიკას კვლავაც განაგრძობს. თავის მხრივ, ყირიმის თვითმარქვია პრემიერი აქსიონივი აცხადებს, რომ 30 მარტს ჩატარდება რეფერენდუმი ნახევარკუნძულის სტატუსის თაობაზე. დონეცკში იქაური ექსტრემისტებიც „დონბასის სტატუსზე" რეფერენდუმის ჩატარებას აპირებენ. ოფიციალური კიევი აცხადებს, რომ ეს უკანონოა. სამაგიეროდ, მოსკოვი სეპარატისტების მხარდაჭერას განაგრძობს. დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა კი აშშ, ხაზს უსვამს იმას, რომ უკრაინას განსაცდელში არ მიატოვებს.

— დასავლეთის მიერ უკრაინისადმი მხარდაჭერა გაიზრდება, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ.

რუსულ-უკრაინული კონფლიქტი გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**


milocva

ლემონჯავების საგვარეულო ულოცავს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ღვაწლმოსილ პროფესორს

napoleon lemonjavas

დაბადების დღეს. უსურვებს ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს.

ლემონჯავების საგვარეულოს სახელით, მისი წინამძღოლი პარმენ ლემონჯავა


### კროსვორდი

**შვეულად**: 1. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 2. ტროპიკული მცენარეებისაგან მიღებული მუქი ლურჯი ფერის საღებავი; 4. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტროხელსაწყო; 5. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 6. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა პრემია ფიზიკის დარგში; 7. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 10. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 12. უძველესი ქართული ცეკვა, რომელიც ახალ წელს სრულდებოდა; 13. საველე, გეოდეზიური სახაზავი მაგიდა; 16. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ქართველ ქალთა თავსაბურავი; 18. ინდიელთა ტომის ბელადი; 19. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 21. სამკურნალო პროცედურათა დასრულებული ციკლი.

**თარაზულად**: 3. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური კომპანია; 8. სქელი შავი სითხე, შაქრის წარმოების ნარჩენი; 9. უბანი ძველ თბილისში; 11. საზღვაო მოგზაურობა; 12. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 14. ჩილელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. ფრანგ მწერალ ანრი ბეილის ფსევდონიმი; 20. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 22. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 23. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 24. გეომეტრიული ფიგურა; 25. ქართული სპორტული რადიო; 26. თაღლითი ბანქოს თამაშში; 27. მზის სისტემის პლანეტა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თაკვერი; 2. რეგტაიმი; 3. კიანტი; 5. ამონასრო; 7. ათაბაგი; 9. შინჰოფერი; 13. მოურავი; 15. ყადაღა; 16. მეთუნე; 18. დვირი.

**თარაზულად:** 4. საქსაული; 6. პრელუდია; 8. ღვინობისთვე; 10. დუბლინი; 11. ნოტი; 12. ეგრისი; 14. წყარო; 17. სფერო; 19. ოდინი; 20. ზურმუხტი; 21. იუტა; 22. საწნახელი; 23. გიენოსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შარმი; რ. პლანკი; 4. თიბათვე; 5. ტიტული; 6. პლაგიატი; 7. ვალტორნა; 10. ალენი; 12. კასკადი; 13. მონტაჟი; 16. ღიღინი; 17. ბოცმანი; 18. შამანი; 19. ბელუჩი; 21. ბერნი.

**თარაზულად:** 3. კამათელი; 8. ფლეგმა; 9. ბონისტიკა; 11. ფლინტი; 12. კალევი; 14. ტისენი; 15. პროტენი; 20. დებოში; 22. კატორღა; 23. ჯემი; 24. ფრეჟიუსი; 25. შუნი; 26. გინესი; 27. დიქტი.

# ხელოვანებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ვარია, ეს ხალხმა ბიძინა ივანიშვილთან ერთად მოიპოვა და მას გაფრთხილება და განვითარება სჭირდება, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც რაღაცნაირად ახერხებენ, მოერგონ ყველა ხელისუფლებას, ესენი არიან ორმაგი სტანდარტების მქონე, ყალბ კონფორმიზმში ჩაძირული ადამიანები, რომლებიც თბილად არიან მოკალათებული კაბინეტებში და საფრთხეს უქმნიან იმ მონაპოვარს, რასაც 2012 წლის პირველი ოქტომბერი ჰქვია. სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და ვთხოვთ, პირადად ჩაერიოს ამ საქმეში, რადგან ლობისტების გავლენა იმდენად დიდია, რომ საქმე ადგილიდან არ იძვრის, რისთვისაც ირაკლი ღარიბაშვილს ვთხოვთ და მოვუწოდებთ, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს ეს საქმე.

***– რას ითხოვთ?***

– მოვითხოვთ, გადადგეს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, სასწრაფოდ შევიდეს პროკურატურა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასწრაფოდ შეუჩერდეს უფლებამოსილება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორ გოგი მარგველაშვილს. ჩვენ გვაქვს წერილობითი დასკვნა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის იურისტ ირაკლი ნარმანიასი, სადაც მიუთითებს, რომ ჩემ მიმართ იყო სამსახურებრივი დევნა განხორციელებული და მივუთითებ არაერთ ფინანსურ დარღვევას, სასწავლო პროცესის, საორგანიზაციო დარღვევებს. ეს დოკუმენტი საჭიროებს სპეციალური ჯგუფის მიერ შესწავლას, რაშიც იგულისხმება საფინანსო პოლიცია ან პროკურატურა. ჩვენ ასევე გვაქვს კულტურის სამინისტროს წერილი, რომელსაც ხელს აწერს მინისტრი გურამ ოდიშარია. ამის შინაარსი და პროკურატურაში და საფინანსო სამსახურში არსებული მასალები ურთიერთგამომრიცხავია. უხერხულია კულტურის სამინისტროს წერილი, რომელსაც ხელს აწერს თავად მინისტრი, არადა, ეს წერილი დაწერილია კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის მიერ. მიმაჩნია, რომ მინისტრს მეტი კომპეტენცია უნდა გამოეჩინა. სანამ 2013 წლის იანვარში განცხადებას შევიტანდი საფინანსო სამსახურში, მანამდე მინისტრის სახელზე შევიტანე განცხადება სამინისტროში, სადაც საუბარია დანაშაულებრივ სქემებზე. მინისტრის სახელზე ჩაბარებული წერილი ჩაბარებიდან საათ-ნახევარში მანანა ბერიკაშვილმა მოიპარა. ამის შესახებ მასმედიის სახელით ვაცნობე ფართო საზოგადოებას. როგორც ჩანს, კულტურის სამინისტროში ან არ კითხულობენ პრესას, ან საერთოდ არ აინტერესებთ. როცა ჩავაბარე წერილი, კულტურის სამინისტროს თანამშრომელმა მითხრა, დარეკავთ საათ-ნახევარში და ნომერს გეტყვითო. რომ დავრეკე მოცემულ დროს, მითხრეს, მინისტრმა თქვენი წერილი უკვე წაიკითხა და, სამწუხაროდ, ვერ მიგიღებთ, თქვენი წერილი მანანა ბერიკაშვილის სახელზე გადაამისამართაო. ასეთი რამ არსად ხდება. ისიც მითხრეს, მანანა ბერიკაშვილმა რაც დაგვიბარა, იმას გეუბნებითო. შემდეგ დამირეკა ორ დღეში სამინისტროდან ვიღაც ქალბატონმა და მანანა ბერიკაშვილის სახელით მთხოვა, განცხადება უკან გამეტანა. როცა ჩემი ჩაბარებული წერილი მოვიკითხე, მინისტრის თანაშემწე ნინო დვალმა მითხრა, რა არ ვიბრძოლე, მაგრამ წერილი ვერაფრით მოვიპოვე და მხოლოდ ასლის გადაღება შევძელი, მანანა ბერიკაშვილმა კი გადაამისამართა სულ სხვა მისამართზეო. ასე რომ, ჩემმა წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია. დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, შევხვდი გურამ ოდიშარიას, მაგრამ შეხვედრამ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო, მირჩია, ფინანსური პოლიციისთვის მიმემართა. როცა ფინანსურ პოლიციას მივმართე, გამომძიებელმა ჩათვალა, რომ რამდენადაც კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმყოფება კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში, როგორც სახელოვნებო სასწავლებელი, პირველადი დასკვნა დადებულიყო კულტურის სამინისტროს მხრიდან მონიტორინგისა და აუდიტის მხრივ. საბოლოო დასკვნას უკვე წარმოადგენდა თავად საგამოძიებო ფინანსური პოლიცია, მაგრამ მოხდა საოცრება, აუდიტი არ შებრძანებულა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. მინისტრი ოდიშარიას ხელმოწერით არის წერილი შარშანდელ ივლისის თვეში, სადაც წერია, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმადო, ამ ინფორმაციას აწოდებს კულტურის სამინისტროს ირინე თევდორაძე, რომელიც არის თეატრალური უნივერსიტეტის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი. ამ ქალბატონის წინააღმდეგ საქმეა შეტანილი პროკურატურაში, რაზეც ვჩივივართ, ეს ფაქტები პირადად თვითნებურად დახია და გაანადგურა ამ ქალბატონმა. თავის საწინააღმდეგო დასკვნას, რასაკვირველია, თევდორაძე კულტურის სამინისტროს არ მიაწოდებდა. ერთადერთი ნიშნით ჰყავთ ირინა თევდორაძე თეატრალური უნივერსიტეტში. ის არის დოკუმენტაციების მაღალი დონის გამყალბებელი. მან მთლიანად შეცდომაში შეიყვანა კულტურის მინისტრი, კულტურის სამინისტროს აუდიტის სამსახური, მაგრამ სამინისტრომ იცოდა, რომ შეტანილი მქონდა განცხადება და თანაც უმძიმეს ბრალდებებზე, ამიტომ თევდორაძის და მარგველაშვილის წერილობით პასუხს კი არ უნდა დაყრდნობოდა, არამედ სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური პირადად უნდა დაინტერესებულიყო, შესულიყო და შეემოწმებინა კრიმინალური ფაქტები. ეს წერილი საკმაოდ უხერხულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენ ასევე გავაგზავნეთ წერილი პრემიერ მინისტრის სახელზეც, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა და მივიღეთ პასუხი, რომ 4 სამინისტროს ავალებს ირაკლი ღარიბაშვილის აპარატი ამ საქმის შესწავლას, ეს არის ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, განათლების სამინისტრო და კულტურის სამინისტრო. ლობისტების მხრიდან საკმაოდ მყარად არის დაბლოკილი საქმე. კულტურის სამინისტროში მანანა ბერიკაშვილი თავიდან ბოლომდე ბლოკავს ამ საქმეს, მაგრამ მაკონტროლებელი რგოლი ხომ უნდა იყოს? როცა მოდის კანცელარიიდან წერილი, შეისწავლეთ და გამოიძიეთო და კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს. რა ჰქვია ამას?



***– რამდენი ხანია, რაც ამას ითხოვთ?***

– წელიწადზე მეტია, ვიბრძვით ამ საქმეების გამოძიებისთვის, ბოლოს წელს 17 იანვარს წერილობით მივმართეთ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს. უფლებადამცველებმა ალექსანდრე კობაიძემ და ვასილ მამულაშვილმა გაუგზავნეს წერილობითი მიმართვა სასწრაფოდ გამოძიების დაწყების მოკვლევის საფუძველზე ფინანსთა მინისტრს და საფინანსო საგამოძიებო სამსახურის დეპარტამენტის უფროსს. როცა ამანაც შედეგი ვერ გამოიღო საქმეში ჩავრთეთ სამთავრობო კანცელარიის გამგე მაია ცქიტიშვილი, მან თავისი სახელით გადაუგზავნა ჩვენი წერილი ფინანსთა მინისტრს, რომ დაწყებულიყო გამოძიება. 5 თებერვალს მინისტრმა პირადად დაადო რეზოლუცია არსებულ საქმეებს, ჩათვალა, რომ აღნიშნული საქმე სცილდება მარტო ფინანსურ დარღვევებს, მრავალი კუთხით იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული და ყველა საქმე გადააგზავნა მთავარ პროკურატურაში, მაგრამ, საქმე ისაა, რომ დღემდე არაფერი ვიცით.

***– რას აპირებთ?***

– ჩვენი მოქმედება არის ის, რომ გადავწყვიტეთ, დავიწყოთ სამთავრობო აქციები ჩვენი კატეგორიული მოთხოვნით. ჩვენი მოთხოვნაა, გადავარჩინოთ ქართული კულტურა, ქართულ კულტურაში პროფესიონალების დაბრუნების დროა, ვუცხადებთ სრულ მხარდაჭერას საქართველოს პრემიერ მინისტრს, სასწრაფოდ გადადგეს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, ასევე ვითხოვთ, სასწრაფოდ შევიდეს პროკურატურა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. სასწრაფოდ შეუჩერდეს უფლებამოსილება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორ გოგი მარგველაშვილს! მოვუწოდებთ პარლამენტარებს ირაკლი ტრიპოლსკისა და ნუკრი ქანთარიას, გაერკვნენ არსებული საქმის ვითარებაში და დადგნენ სიმართლის მხარეს. ჩვენ შეურიგებელ პროტესტსა და ბრძოლას ვუცხადებთ დღესაც თანამდებობებზე მოთარეშე ნაცბანდას. ჩვენი ბრძოლა იქნება კორუფციის და სიბინძურის წინააღმდეგ და ამაში ვთხოვთ პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერას. ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები, რომლებიც დევს პროკურატურაში, კანონთან ქმედებაში და აღსრულებაში მოვიდეს. ჩვენ არ დავიშლებით, ჩვენი აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენი მოთხოვნები ბოლომდე არ დაკმაყოფილდება. აქციებს შემოუერთდებიან ქართული კულტურის წარმომადგენლები, თეატრალები, კინოს ხალხი, ქართული ფილმი, მუსიკოსები, ქორეოგრაფები, მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები, ყველა, ვინც ამინდს ქმნის ქართულ კულტურაში. ჩვენ გვერდითაა ყველა ის პროფესიონალი, ვინც თავის ღირსეულ საქმეს უნდა დაუბრუნდეს და თითოეული ჩვენთაგანი არის ჩვენი ქვეყნის და თავისი საქმის უდიდესი პატრიოტი და პროფესიონალი. ქართულ კულტურაში დღეს არსებული პრობლემები ყველა იყრის ერთი ადამიანის კართან თავს. ეს არის კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, რომელიც სასწრაფოდ უნდა გადადგეს.

## ცფვეუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

ოთარ თუშიშვილი და ირინა ბალავაძე თანაგრძნობას უცხადებენ თემურ, გია და დათო თათულაშვილებს დედის და ნელი და მარინას დედამთილის

**მარგო თათულაშვილი-მათიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

შვილები თემური, გია, დათო თათულაშვილები, რძლები ნაირა, ნელი, მარინა, შვილიშვილები ვალერი, ნათია, ლევანი, გიორგი, ლექსო, ანზორი ოჯახებით, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მარგო თათულაშვილი-მათიაშვილი**

პანაშვიდი: 6, 7 მარტს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 8 მარტს, 14 საათზე.
მისამართი: წყნეთი, ჭავჭავაძის ქუჩა №5.

### ჟორსედან (ჟორა) კოპალეიშვილის

### მონატრება

17 წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 5 მარტს. ამ თარიღს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ის უფრო ძლიერი და ძვირფასი ხდება. ყოველთვის ცარიელია სუფრის თავში შენი ადგილი, გიყვარდა სტუმარი და მასპინძელიც გამორჩეული იყავი. დრო ვერასდროს განკურნავს იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. შენი სახელი დღესაც მუშაობს და კიდევ დიდხანს იმუშავებს. შენი სიცოცხლე ისევ გრძელდება შენი შვილების, შვილიშვილების, ნათესავებისა და მეგობრების სახით.

ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ჟორა ბაბუ! ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ასეთი უჭკვიანესი, კეთილი, უანგარო და უღალატო კაცური კაცის – ჟორა კოპალეიშვილის შვილიშვილები გვქვია. ჩვენი პატარა ლექსით მოგილოცავთ დაბადების დღეს:



**დაბადების დღეს გილოცავთ,**
**საყვარელო ჟორა ბაბუ!**
**სად გეძებოთ, რომელ მხარეს,**
**დაგვიბრუნდი, გაგვახარე.**

**როგორ გინდოდა, ბაბუ, სიცოცხლე,**
**შენი სულისთვის მუდამ ვილოცებთ,**
**ია-ვარდებით შეგიმკობთ საფლავს,**
**არ დაგივიწყებთ, ბაბუ, იცოდე.**

მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლესა და ჩემს არდავიწყებას.

სანამ ამქვეყნად იარსებებს შენი შთამომავლობა და შენი დიდი ოჯახი, არ ჩაქრება ის ცეცხლი უსაზღვრო სიკეთისა და სიყვარულისა, რომელიც შენ დაანთე ჩვენს გულებში.

მშვიდად იძინე, შენს ხსოვნას დავიწყების ფერფლი არასდროს დაეყრება. არ დაგელოდები მომვლენებს.

*შენი მეუღლე, შვილები გია, ნანა, კახა, ხათუნა ოჯახებით, შვილიშვილები და შვილთაშვილები*

### ომარ ნოჩოს ძე შონიას გახსენება



მოულოდნელობებმა იმრავლა წუთისოფლად. ვინ იფიქრებდა, 27 იანვარს, ორშაბათის დილას, ოჯახს გამოეთხოვებოდი. გული ყველას დაგვწყვიტე და დაგვიმძიმე. ორმოცდაოთხი წელიწადი შეხმატკბილებულად ვიცხოვრეთ. კეთილსინდისიერება, სიმართლე, სითბო, სიყვარული იყო ჩვენი შრომისა და ცხოვრების თანამგზავრი. რაოდენ ძნელი ყოფილა უშენობა – გვტკივა გული.

ომარ! 2014 წლის 7 მარტს, პარასკევს, ქრისტეს ჯვარცმის დღეს, ორმოცი დღე შესრულდება. სააღდგომო მარხვის დღეებია. უფროსი შვილიშვილი უფლის ნებით ნოჯიხევის, სადაც მარიამ ღვთისმშობლის კვართი იყო დავანებული, ეკლესიაში და ორმოცამდე შენზე, ბაბუაზე ლოცვაშია. უცოდველი წუთისოფელში არავინაა. ოცდაორი წლის შვილი მამუკა თან გყავს.

გვჯერა, გვწამს, რომ სული შენი ზეციურ ნათელში იქნება. ვევედრებით უფალს, რომ ხარობდე სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

*მეუღლე ფლორა (ბულა) შანავა-შონია ოჯახის სახელით, ძმა დავით შონია*



### ჯონდი ჯღამაძის მონატრება

ჯონდო, 5 მარტს 7 წელი გავიდა, რაც დატოვე შენი საყვარელი ოჯახი. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ეს არ ყოფილა მართალი. ეს არის ჩვენთვის მოუშუშებელი ტკივილი, შენი კეთილი გულის მოგონება და მონატრება, ჩვენო კეთილო, უბოროტო და ალალმართალო ადამიანო.

ჯონდო, მიუხედავად შენი კარგი შვილებისა, თავს მაინც მარტოდ ვგრძნობ, გინთებ სანთლებს და უფალს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული და მარადიული სიმშვიდე დაგიმკვიდროს.

*შენი მეუღლე დინოზა, შვილები ლია და თეო*

ცფვეუქჯდბფვჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ჟბბქტ,ფ .ჯდქლქტ7
რდბპბს უფულფ7 !@–ლფყ !& ცფფსფულტბ

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 5 მარტი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.30, 03.30** "დღეს" **14.00, 03.30** მხ/ფ "**კუზიანი**" **17.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **17.55** **ფეხბურთი**. საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: **საქართველო – ლიხტენშტეინი** (პ/რ) **21.00** ტ/სერ. "**კომანდორთა ციხე-სიმაგრე**" **22.00, 05.30** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" **23.00** მხ/ფ "**დასაწყისი**"

**08.00, 10.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) **12.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 02.15** ქრონიკა. **10.05** სერ "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ "**სიყვარულის დრო**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **21.00** სერ. "**სილა**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **00.00** მხ/ფ "**თავშესაფარი**" **02.00** მის საქართველო **2013** – დღიური **02.25** მხ/ფ "**ქალღური ცხოვრება**" (ბ.ჰ ოსკინსი) (ტიტ)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. "**დასასრული**" **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფილმი (ტიტ.)

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან' **07.40** მარხვა და ლოცვა (მეუფე დანიელი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** დოკ.ფილმი "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" III ნაწ. ლუკას სახარება **16.10** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **17.00** კვირიაკე **18.10, 00.30** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) **19.30** პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) **19.45** დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" გად.II - ბაგრატ III და საქართველოს ეკლესია **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ვარძია" **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**მაესტრო** **0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


5 marti

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,7486

ევრო — 2,4122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9251

100 რუსული რუბლი — 4,8324

## ამინდის პროგნოზი 5 მარტისთვის




## fcnhjghjuyjpb 5 მარტისთვის

·ღტაფვ უფბსღფჯაბცობყცს=

წარმატებული დღეა

**დტპ'ბ** — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ. **რეკჯ** — სხვებზეც იზრუნეთ, ნუ იქნებით ეგოისტი. **ნ.ეგტ,ბ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **რბპხ[ბ,ბ** — არ დაიგვიანოთ, ის ყოველთვის არ დაგელოდებათ. **ქჯვბ** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **მფქოექბ** — სახლში სიახლეა, საინტერესო ამბავია მოსალოდნელი. **ცფცოჯკბ** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ქპბფყრფქბ** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ვიდბქლჯცფყბ** — არ აყვეთ სხვებს, მშვიდად იმოქმედეთ. **ს[ბც პმფ** — თქვენი საქმე წინ მიდის, გელით სიურპრიზი. **ვტპო.ექბ** — არ გადაიღალოთ, თქვენს თავზეც იფიქრეთ. **სტდ-პტ,ბ** — სახლთან ახლოს იტრიალეთ, შორს ნუ გაემგზავრებით.

უბცეჰღტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

# გურამ ოდიშარიას სასამართლოში უჩივლეს



*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას ყოფილმა პირველმა მოადგილე მარინე მიზანდარმა სასამართლოში უჩივლა. მიზანდარის ადვოკატმა საქალაქო სასამართლოში არა მარტო გურამ ოდიშარიას, არამედ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსაც უჩივლა.

მარინე მიზანდარის ინტერესებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი სულხან სალაძე იცავს. ამ სარჩელში მოთხოვნილია იმ დოკუმენტების ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც პრემიერ-მინისტრმა დააკმაყოფილა გურამ ოდიშარიას განცხადება მარინე მიზანდარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ასევე დაცვის მხარე მოითხოვს გურამ ოდიშარიას მიერ მარინე მიზანდარის მიმართ შენიშვნის დოკუმენტის გაბათილებას.

— არც ერთი გადაწყვეტილება, რომელიც კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მიზანდარის წინააღმდეგ მიიღეს, არ არის სამართლებრივად დასაბუთებული. ამ სარჩელში მოპასუხე მხარეები იქნებიან პრემიერ-მინისტრი და კულტურის სამინისტრო, — აცხადებს მარინე მიზანდარის ადვოკატი.

გურამ ოდიშარიამ მარინე მიზანდარის კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ირაკლი ღარიბაშვილს განცხადებით თებერვლის დასაწყისში მიმართა. მოტივად კი დასახელდა დაუმორჩილებლობა და პიროვნული შეუთავსებლობა. საბოლოოდ მინისტრის მოადგილე პრემიერ-მინისტრის 10 თებერვლის ბრძანების საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

სარჩელის წარდგენის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ოფისში საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული მაღაროს შესახებ გამოფენა-პრეზენტაცია მოაწყო, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს მთავრობიდან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან საყდრისი-ყაჩაღიანის შესახებ მიღებული ოფიციალური დოკუმენტები. მათ შორის გამოიფინა დოკუმენტების ის ნაწილიც, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის დღემდე არ არის ცნობილი.

# ქართველი იუმორისტები მოსკოვში წავიდნენ

საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრები მოსკოვში წავიდნენ. ამის მიზეზი 16 მარტს დაგეგმილ პრემიერლიგაა, რომელშიც ქართველების გუნდიც მონაწილეობს. მხიარულთა და საზრიანთა გუნდი საქართველოდან 16-კაციანი შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი, ხოლო კონკურსში სულ 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობს. ქართველი მან-სან-კანელების მოსკოვში ვიზიტის ორგანიზება თავის თავზე „რუსეთში ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ აიღო და ქართველების ფინანსური მხარდაჭერაც უზრუნველყო.

გუნდის ხელმძღვანელი **სოფო ბანძავა:**

— აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბოლოს 10 წლის წინ მივიღეთ მონაწილეობა, თანაც წარმატებულად. ამას ისიც ემატება, რომ ჩვენს გუნდს უკვე აქვს წარმატებები, რამდენიმე ხნის წინ ვიყავით სოჭში, ასევე უკრაინაში, სადაც ორ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა. ქართულ გუნდს იქ ძალიან ელოდებიან და იმედი გვაქვს, წარმატებულად წარვდგებით ერთ-ერთი ყველაზე პრეტენზიული მაყურებლის წინაშე.

მხიარულთა და საზრიანთა კლუბის პრემიერ-ლიგა რუსული „პირველი არხი“ საშუალებით გადაიცემა. როგორ გაიგებენ ქართულ იუმორს რუსი მაყურებლები, როგორც შეხვდებიან საქართველოს გუნდს მონაწილეები და რა შედეგებს ჩამოიტანენ ქართველი მან-სან-კანელები თბილისში, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ.

**ეკა ირემაშვილი**

## ჰვჯცღჯჰლბ ფ

**შვეულად**: 1. თვითმფრინავის ფრენის ტრაექტორია აეროდრომზე დაშვებისას; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ნახევარკუნძული მექსიკაში; 4. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მხარის, კუთხის მმართველი შუა საუკუნეების საქართველოში; 6. ხელოვნური აბრეშუმი; 11. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 13. ამირანის პროტოტიპი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. უზადო, უნიკალური ბრილიანტი; 15. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 17. კრემის გულიანი ნამცხვარი; 18. ფრანგული სამხედრომოიერიშე თვითმფრინავი; 19. მეჩეთის მსახური.

**თარაზულად**: 7. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 8. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 9. ველური ვარდი; 10. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. საჭმელი სოკო; 14. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 16. მრავალადგილიანი, თანამედროვე სამგზავრო თვითმფრინავი; 18. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 20. ხის განტოტვილი ნაწილი; 21. გრძელკუდიანი მოლაპარაკე თუთიყუში; 22. გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო; 23. რაიონული ცენტრი აჭარაში; 24. საჯარისო შენაერთი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ფაჩულია „იუტასთან“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო



ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ მატჩში ზაზა ფაჩულიამ ბრწყინვალედ ითამაშა და თავის გუნდ „მილუოკი ბაქსს“ „იუტა ჯაზის“ დამარცხებაში დაეხმარა. მილუოკელებმა შთამბეჭდავად ჩატარებული მესამე მეოთხედის შემდეგ, რომელიც 40:19 მოიგეს, გამარჯვებულის ვინაობა ვადაზე ადრე გაარკვიეს და საბოლოოდ 114:88 იმარჯვეს.

ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე მთლიანობაში 25:39 წუთი გაატარა. ფაჩულიამ მეტად აკურატულად ითამაშა, რაც მის ზუსტ სროლებსა და გამოზომილ პასებში გამოიხატა. ზაზამ 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 8-დან 8 საჯარიმო მოაყოლა და მთლიანობაში 14 ქულა დააგროვა. ამასთან ერთად ფაჩულიას 6 მოხსნა, 5 პასი და 1 დაფარება დაუგროვდა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

მილუოკელთაგან საუკეთესო თურქი ლეგიონერი, ერსან ელიასოვა იყო, რომელმაც 14-დან 13 ორქულიანი, 2-დან 3 სამიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, რამაც მთლიანობაში 31 ქულა შეადგინა. ელიასოვას შემდეგ 14-14 ქულით ფაჩულია და რამონ სეშენსი მოდიან.

მომდევნო მატჩს „მილუოკი“ 5 მარტს, შინაურ არენაზე, „საკრამენტოსთან“ გამართავს.

**მ. ჟ.**


მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი

## ფელიქს ლაპიცკი



ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით

ასწორებს:
- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს“

მკურნალობს:
- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას



ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

## მარიამ ლაპიცკი

გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს

მობ.: 598 40 53 08

